საჯარო ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბ. საოლქო
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ.
№ 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
დღის 12 საათიდან 5 საათამდე და საღამოს 8 საათიდან 12 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის . . . 14—76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.
ხელისმომწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.
საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მან., ტექსტის შიგნით — 2 მან.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; გამოცხადებული, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

სამშაბათი, 29 ივლისი 1930 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 176 (2824)

დღიური

- საფრანგეთის მუშების ბრძოლა სოციალური დაზღვევის ახალი კანონის წინააღმდეგ.
- შეტევა ბერლინის მელითონეთა წინააღმდეგ. — ხელფასის შემცირება 10 პროცენტით.
- გერმანიაში გადასახადი ხელფასზე 250 პროც. გაადიდეს.
- თეთრგვარდიელების თარეში მანჯურიაში.
- იტალიაში მიწისძვრის დროს დაიღუპა 2.142 კაცი, დაშავდა—4.551.

პარტიის მე-16 ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის

თბილისის პარტაქტივის რეზოლიუცია

თბილისის ორგანიზაციის აქტივის საქალაქო კრებამ მოისმინა ამხ. ლომინაძის მოხსენება მე-16 პარტყრილობის შედეგების შესახებ და მთლიანად მოიწონა ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი.

აქტივი აღნიშნავს იმ ხაზის სისწორეს, რომელსაც ატარებდა პარტია მე-15 და მე-16 პარტყრილობების შორის, და იმ უდიდეს წარმატებებს სოციალიზმის მშენებლობაში, რომლებსაც პარტიამ მიაღწია ნამდვილად ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, ულმობელი ბრძოლით მემარჯვენე გადახრასთან, რომელიც ყველაზე საშიშარია ეხლანდელ ეტაპზე, აგრეთვე ტროცკიზმთან, „მემარცხენე" გადახვევებთან და გადახრებისადმი შემარიგებლობასთან. აქტივი აღნიშნავს, რომ მე-16 პარტყრილობის გადაწყვეტილებანი უზრუნველჰყოფენ შემდგომ გადამწყვეტ წარმატებებს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის გზაზე.

სოციალიზმის ძლევამოსილი შეტევა მთელ ფრონტზე მიმდინარეობს ისეთ პირობებში, როგორიც არის მსოფლიო კაპიტალიზმის უღრმესი ეკონომიური კრიზისი, კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა გამწვავება მთელი ხაზით, მთელ რიგ ქვეყნებში ეკონომიური კრიზისის გადაქცევა პოლიტიკურ კრიზისად, რაც იწვევს კაპიტალიზმის ქვეყნებში და იმპერიალიზმის მიერ ჩაგრულ კოლონიებსა და ნახევრად კოლონიებში რევოლიუციონურ აზვირთებას.

ამ გარემოებებით განისაზღვრება მე-16 პარტყრილობის ისტორიული როლი. „მე-14 ყრილობა იყო უმთავრესად ინდუსტრიალიზაციის ყრილობა. მე-15 ყრილობა იყო უმთავრესად კოლექტივიზაციის ყრილობა. ეს იყო მომზადება საერთო შეტევისათვის. განვლილ ეტაპებისაგან განსხვავებით, მე-16 ყრილობის წინა პერიოდი იყო პერიოდი სოციალიზმის საერთო შეტევისა მთელ ფრონტზე, პერიოდი სოციალიზმის გაძლიერებული მშენებლობისა მრეწველობის სფეროშიაც და სოფლის მეურნეობის სფეროშიაც. მე-16 ყრილობა არის ყრილობა სოციალიზმის გაშლილი შეტევისა მთელ ფრონტზე, ყრილობა კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისა და მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელებისა". (სტალინი).

აქტივი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მე-16 ყრილობამ დაამთავრა მემარჯვენე ოპორტუნისტული ოპოზიციის იდეურ - პოლიტიკური განადგურება და გამოაშკარავა მისი კაპიტულიანტობა რეკონსტრუქციის პერიოდის სიძნელეთა წინაშე, მისი ბუნება, როგორც კულაკური აგენტურისა ჩვენი პარტიის რიგებში. აქტივი სავსებით სწორად სთვლის ყრილობის გადაწყვეტილებას მემარჯვენე ოპოზიციის შეხედულებათა შეუთავსებლობის შესახებ პარტიის რიგებში ყოფნასთან, ხოლო მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერების ახსნა - განმარტებას ყრილობაზე მათ მიერ თავიანთი შეცდომების აღიარების შესახებ (ტომსკი, რიკოვი, უგლანოვი) არადამაკმაყოფილებლად სთვლის. სოციალიზმის უდიდეს მიღწევათა წინაშე და მთელი პარტიის ურყევი წინააღმდეგობის გამო, მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილი ლიდერები მე-16 ყრილობაზე იძულებულნი გახდნენ ეღიარებინათ პარტიის გენერალური ხაზის სისწორე, მაგრამ რადგან მათ მთელი სიცხადით არ დაგმეს თავიანთი ოპორტუნისტული პლატფორმა, მათდამი პარტიის ნდობის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ მათი განცხადების გულწრფელობის გულდასმით შემოწმების საფუძველზე, რისთვისაც მათ მიეცათ საშუალება ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში ყოფნით ახლო მომავალშივე საქმით დაამტკიცონ, რომ მზად არიან დაიცვან პარტიის გენერალური ხაზი და გადაჭრით, ბოლშევიკურად იბრძოლონ მემარჯვენე ოპორტუნიზმთან, იმუშაონ პარტიასთან ხელიხელ ჩაკიდებულებმა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გაშლისათვის.

საბჭოთა კავშირის, როგორც სოციალიზმის კერის და ყველა ქვეყნის ათეული მილიონ პროლეტართა და კოლონიებისა და ნახევრად კოლონიების ასეული მილიონ მშრომელთა სოციალისტურ სამშობლოს, განმტკიცება, საბჭოთა კავშირის მუშათა და მშრომელი მასების ძმური კავშირი და სოლიდარობა კაპიტალისტური ქვეყნების მუშებთან და მშრომელებთან და საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარის ზრდა უფრო მეტად განამტკიცებს საერთაშორისო პროლეტარიატის პოზიციებს მის ბრძოლაში ბურჟუაზიისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ. აქტივის კრება აღნიშნავს, რომ უკანასკნელმა ორ წელიწადნახევარმა მთლიანად და სავსებით გაამართლა პარტიის ხაზი მუშათა საერთაშორისო მოძრაობის სფეროში, გააცამტვერა სოციალ - დემოკრატების და მემარჯვენე ოპორტუნისტების თეორია „მოწესრიგებული კაპიტალიზმის" შესახებ და გამოიწვია კომუნისტური მოძრაობის განმტკიცება მთელ მსოფლიოში.

აქტივი მთლიანად იწონებს ყრილობის გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ „სიძნელეების წარმატებით და უმოკლეს ხანში გადალახვის ძირითად პირობას წარმოადგენს სოციალისტური მშენებლობის ტემპების დაჩქარება და კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ შეტევის გაშლა მთელ ფრონტზე". მძიმე მრეწველობისა და საბჭოთა მანქანათმშენებლობის სწრაფი ზრდით ჩვენ საქმით დავამტკიცეთ, რომ შეგვიძლია უმოკლეს ისტორიულ პერიოდში „დავეწიოთ და გავუსწროთ" მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს—საკითხი იმის შესახებ, თუ „ვინ—ვის" დასძლევს მრეწველობის სფეროში საბოლოოდ და სამუდამოდ გადავწყვიტეთ სოციალისტური ფორმების სასარგებლოდ და გადაჭრით და დაჩქარებული ტემპებით ვწყვეტთ ამ საკითხს სოფლის მეურნეობის სფეროშიაც. სოფელი დაადგა სოციალისტური რეკონსტრუქციის გზას და გაფართოებულ კლასობრივ ბრძოლაში კულაკთან შენდება ახალი სოციალისტური სოფელი, ფართოვდება მუშათა კლასის დასაყრდენი კოლმეურნეობებში შესული საშუალო გლეხების სახით, რომელნიც იქცევიან საბჭოთა ხელისუფლების მკვიდრ დასაყრდენად სოფლად.

აქტივი აღნიშნავს, რომ გადამწყვეტი გამარჯვებანი სოციალიზმის მშენებლობის საქმეში მიღწეულია მუშათა კლასის აქტივობის მობილიზაციით სოციალისტური რეკონსტრუქციის სიძნელეთა გადასალახავად, მუშათა კლასის გმირული ღონისძიებებით მშენებლობის ტემპებისათვის ბრძოლაში და პროფკავშირებისა და მუშათა კლასის ყველა ორგანიზაციების მუშაობის სათანადო გარდაქმნით.

ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის შეუსუსტებელი გატარება, მძიმე ინდუსტრიის ყოველმხრივი განვითარება, ქვანახშირის და მეტალურგიის ახალი ბაზის შექმნა, ტრანსპორტის რეკონსტრუქცია, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, მსუბუქი ინდუსტრიის განვითარების გაძლიერება, ექსპორტის გაძლიერება, სამრეწველო - საფინანსო გეგმის აუცილებლად შესრულება სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის ფართოდ გაშლის საფუძველზე, შრომის რეალური ხელფასის დასახული გადიდების განხორციელება, კოოპერაციის მუშაობის ძირითადი გაუმჯობესება, ხელმძღვანელი სამეურნეო და ტეხნიკური კადრების მომზადების ფართოდ გაშლა, საყოველთაო დაწყებითი განათლება და სხვ. — ასეთია ის ძირითადი ამოცანები, რომლებიც დაგვისახა პარტიის მე-16 ყრილობამ უახლოესი პერიოდისათვის.

აქტივი სავსებით სწორად სთვლის ყრილობის მითითებას იმის შესახებ, რომ ჩვენს უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს შემდგომი შეტევა კაპიტალისტურ ელემენტებზე, კულაკობის, როგორც კლასის, საბოლოო ლიკვიდაცია, საბჭოთა კავშირის მთლიანი კოლექტივიზაცია უახლოესი წლების განმავლობაში, კოლმეურნეობებში ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობების შემდგომი ჩაბმა ნებაყოფლობის საფუძველზე, შრომის ორგანიზაციის პრობლემა კოლმეურნეობებში, მოსავლის განაწილება კოლმეურნეობებს შიგნით, საკოლმეურნეო კადრების მომზადების პრობლემა, კოლმეურნეთა მასების კულტურული დონის ამაღლება, მესაკუთრული ტენდენციების დაძლევა კოლმეურნეობებს შიგნით და კოლმეურნეობების, როგორც სოფლად სოციალისტური მშენებლობის დასაყრდენი პუნქტების, ყოველმხრივ განმტკიცება. აქტივის კრება, განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავს ყრილობის მიერ ოლქების ლიკვიდაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობას.

აქტივი იწონებს ამხ. სტალინის მიერ ნაციონალური პოლიტიკის სფეროში გადახრებთან ბრძოლის საკითხის მკაფიოდ ლენინურად დასმას და კისრულობს ვალდებულებას პარტიის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებით კიდევ უფრო განამტკიცოს ამიერ - კავკასიის ფედერაცია.

აქტივს მკაფიოდ აქვს შეგნებული, რომ მე-16 ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებას გადაეღობება ბევრი სიძნელე, რომლებიც გადალახულ უნდა იქნან მუშათა კლასის, ძველი ოპორტუნისტული ხელმძღვანელობისაგან განთავისუფლებული ამ მუშათა კლასის პროფკავშირების და ჩვენი პარტიის, თვითეული მისი წევრის და თვითეული მისი უჯრედის ერთსულოვანი და თავდადებული მუშაობით.

აქტივი მოუწოდებს მთელ თბილისის ორგანიზაციას მე-16 პარტყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისაკენ. აქტივი აღუთქვამს ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ თბილისის ორგანიზაცია მთლიანი და შეკავშირებული მთელ პარტიასთან ერთად ცენტრალური კომიტეტის და ყველგან აღიარებული ბელადის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით ლახვარს ჩასცემს მტრებს, გადაჭრით გადალახავს ოპორტუნისტულ გადახრებს პარტიის გენერალურ ხაზიდან და განახორციელებს ყრილობის მიერ მიღებულ უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებებს.

სოციალ-ფაშისტემა ჩაშალეს

მანსფელდის მუშების გაფიცვა

ხელფასი შეამცირეს 12 პროცენტით

ბერლინი, 27 ივლისი. სოციალ-ფაშისტებმა პროფბიუროკრატებმა, ბოლოს და ბოლოს, მოახერხეს მანსფელდის მუშების გაფიცვის ჩაშლა.

25 ივლისს პოლიციის თანხლებით ქარხნებში მოვიდნენ მუშათა ჯგუფები, რომელთაც მეთაურობდნენ სოციალ-ფაშისტები და ბრანდლერის მომხრეები. დირექციისა და სოციალ-ფაშისტების მოწოდების მიუხედავათ, ათასი მუშა არ გავიდა სამუშაოდ.

ჰეტშტედტში გაიმართა დემონსტრაციები რეფორმისტული პროფბიუროკრატიის წინააღმდეგ. პოლიციელები თავს დაესხენ დემონსტრანტებს და სროლა აუტეხეს მათ. ბევრი დაჭრილია.

რეფორმისტების ღალატის გამო შრომის ხელფასი 12 პროცენტით შეამცირეს.

მანსფელდის ქარხნების დირექციამ მთავრობისაგან სუბსიდიის სახით მიიღო 2 ნახ. მილიონი მარკა (ადს).

გადასახადი ხელფასზე დიდდება 250 პროც.

ბერლინი, 28 ივლისი. ბერლინ-ბრანდენბურგის ოლქის ობერ-პრეზიდენტმა, ბერლინის მუნიციპალიტეტის დაუკითხავად, გამოსცა ბრძანება გადასახადების გადიდების შესახებ. 1-ლ აპრილიდან გადასახადი ხელფასზე დიდდება 250 პროც., ბინის ქირა—4,5 პროც. (ადს).

რევოლიუციონური საგაფიცვო კომიტეტის რეზოლიუცია

ბერლინი, 27 ივლისი. რევოლიუციონურმა საგაფიცვო კომიტეტმა განიხილა რეფორმისტების მოღალატეობით შექმნილი მდგომარეობა და გადასწყვიტა მოუწოდოს ყველა მუშებს შეწყვიტონ გაფიცვა, კომიტეტმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიც აცხადებს, რომ მუშები უსაზღვრო სიძულვილს გრძნობენ პროფბიუროკრატებისადმი, რომლებმაც გააჩარწყლეს მკაცრი ბრძოლის შედეგები.

მანსფელდის საწარმოების დირექცია უკვე მიმართავს რეპრესიებს მუშების მიმართ. მარტო ვოლფის მაღაროში დათხოვნილია 35 მუშა. რეფორმისტული ქარხკომები კრინტსაც არ სძრავენ რეპრესიების წინააღმდეგ. რევოლიუციონური პროფოპოზიცია დახმარებას უწევს იმ უმუშევრებს, რომლებიც გაფიცვაში იღებდნენ მონაწილეობას და უკან აღარ მიიღეს სამუშაოზე (ადს).

კაპიტალისტების შეტევა

ბერლინი, 27 ივლისი. სიმენსის კონცერნმა გამოაქვეყნა ცნობა მუშების დათხოვნის შესახებ. ეს ცნობა იმას ნიშნავს, რომ ბერლინის ლითონის მრეწველები ახორციელებენ თავის გეგმას, რომელიც ითვალისწინებს მუშათა ხელფასის შემცირებას 10 პროცენტით და მოსამსახურეებისას—25 პროცენტით.

სიმენსის შემდეგ მუშათა მასიური დათხოვნის ჩატარებას აპირებენ ლითონის მრეწველობის სხვა მსხვილი საწარმოებიც. ბირგმანის საწარმოებში მოსამსახურეებს უკვე ათი პროცენტით შეუმცირეს ხელფასი (ადს).

პოლონელ კონსერვატორების გაზეთმა პირი იცვალა

ვარშავა, 27 ივლისი. კონსერვატორების (პილსუდსკის მომხრეების) ორგანო „ნაშ პშეგლონდ"-ი („ჩვენი მომავალი"), რომელიც მეექვსე ნომერში იცავდა უკრაინის ჩამოშორებას საბჭოთა კავშირისაგან, ამჟამად სულ სხვა ხასიათის წერილებს ათავსებს. წერილი „ბალტიისა და შავი ზღვა" ეხება არხების სისტემას, რომელიც ბალტიის ზღვას შავ ზღვასთან შეაერთებდა ვისლით, ბუგით, პრიპეტით და დნეპრით. წერილის ავტორი თავგამოდებით იცავს ამ სანაოსნო გზას, რომლის გაყვანაში, მისი აზრით, „ელრესად არის დაინტერესებული, როგორც საბჭოთა კავშირი, ისე პოლონეთი".

„თვით ფაქტი პოლონეთ-საბჭოთა კავშირის სამეურნეო შეთანხმებისა, საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე გზების ორგანიზაციის ნიადაგზე,—სწერს გაზეთი,—უფრო მეტად შეუწყობს ხელს ევროპაში მშვიდობიანობის შექმნას, ვიდრე სხვადასხვა საგარანტიო პაქტი. პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობისათვის ურყევ საფუძველს წარმოადგენს განსაზღვრა, თუ [illegible] კომინტერნი და საბჭოთა მთავრობა. არ არსებობს ისეთი რეპრესიები, რომელთა გამართლებაც არ შეიძლებოდეს ბოლშევიკებთან ბრძოლის დროს პოლონეთში, მაგრამ სულ სხვა საქმეა პოლონეთის ოფიციალური ურთიერთობა საბჭ. მთავრობასთან. ამრიგად შეიქმნება პრინციპიალური დიპლომატიური ურთიერთობა. შეიძლება მოხდეს ბრძოლა, მაგრამ ეს იქნება ბრძოლა ერთნაირი იარაღით. „თანამშრომლობა არა თუ შეიძლება,—სწერს გაზეთი, —არამედ აუცილებელიც არის, პირველ რიგში საერთო სანაოსნო გზების საფუძველზე".

საგულისხმოა, რომ ოფიციოზი, „გაზეტა პოლსკა" რამდენიმე კვირის განმავლობაში ზედი-ზედ კამპანიას აწარმოებდა ნაციონალ-დემოკრატების ლიდერის ტრომპჩინსკის წინააღმდეგ, იმის გამო, რომ მას ამავე საკითხზე (ბალტიის ზღვისა და შავი ზღვის შემაერთებელი არხის შესახებ) საუბარი ჰქონდა განსვენებულ ვოიკოვთან. ტრომპჩინსკის ბრალს სდებდნენ მრავალ ცოდვაში. მას თითქმის მოღალატესა და საბჭოთა აგენტს უწოდებდნენ (ადს).

ამერიკის პრესა უკმაყოფილოა სენატორ ფიშის კომისიის მუშაობით

მთელ რიგ გავლენიან გაზეთებს უოლენის დოკუმენტების სიყალბე დამტკიცებულად მიაჩნიათ

ფართო საგაფიცვო მოძრაობა საფრანგეთში სოც. დაზღვევის ახალი კანონის წინააღმდეგ

ამერიკის პრესა უკმაყოფილოა

ფიშის კომისიის მუშაობით

ამერიკელი გაზეთები კომისიის „მუშაობის" შესახებ

ნიუ-იორკი, 27 ივლისი. „ნიუ-იორკ ივნინგ პოსტი" აღნიშნავს, რომ ფიშის კომისია გასცილდა თავის რწმუნებათა ფარგლებს, როცა ხელი მოჰკიდა „ამტორგის" წმინდა კომერციული საქმიანობის გამოძიებას. გაზეთი სწერს, რომ გუშინ, როცა კომისია „ამტორგის" ვითომდა პოლიტიკური მოქმედების გამოძიებით კმაყოფილდებოდა, მან მიიღო იმის საკმაო დამამტკიცებელი საბუთები, რომ უოლენის დოკუმენტები ყალბია. „ამასთან დაკავშირებით,—სწერს გაზეთი,—ფიშის კომისიამ ფრთხილად უნდა იმოქმედოს „ამტორგ"-ის მუშაობის სახელის გატეხის გზაზე".

„ნიუ-იორკ ტელეგრამ"-იც სწერს, რომ გუშინდელმა მოწმეებმა ნათლად დაამტკიცეს უოლენის დოკუმენტების სიყალბე. გაზეთის სიტყვით, ფიშის კომისიამ მოახერხა „თავისი უვიცობის, ცრუმორწმუნეობისა და ზოგჯერ ბოროტების დამტკიცება" (ადს).

ბურჟუაზიული გაზეთები დასცინიან ფიშის კომისიას

ნიუ-იორკი, 27 ივლისი. ნიუ-იორკის გაზეთები სასტიკად ილაშქრებენ ფიშის კომისიის წინააღმდეგ და აღნიშნავენ ამერიკა-საბჭოთა ვაჭრობის მნიშვნელობას.

ანტი-საბჭოთა „უოლ-სტრიტ ჯორნალ"-იცკი დასცინის კომისიის გალაშქრებას „ამტორგ"-ის წინააღმდეგ და ბრალს სდებს კომისიას ნაადრევ გაზვიადებულ შიშში, რომ საბჭოთა კავშირი ეკონომიურ საფრთხეს უქმნის შეერთებულ შტატებს. „ჩვენ შეგვიძლია,—სწერს გაზეთი, — უარი ვსთქვათ საქმიან ურთიერთობაზე რუსეთთან, რადგან ჩვენ არ მოგვწონს მისი პოლიტიკა და დამოკიდებულება რელიგიისადმი. მაგრამ ეს უარის თქმა ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს მის პოლიტიკაზე ამ საკითხებში. რუსეთი თავის კომერციულ საქმიანობას სხვა ქვეყნებში გადაიტანს".

ხერსტის ტრესტის გაზეთები აცხადებენ, რომ ძნელია შეერთ. შტატებმა შეიძულოს ქვეყანა, რომელიც 9 თვის განმავლობაში 114 მილიონი დოლარის საქონელს იძენს.

„უორლდ"-იც ილაშქრებს კომისიის წინააღმდეგ „ამტორგ"-ის საქმიანობის გამოძიებისათვის.

ამხ. ბოგდანოვის განცხადება.

ნიუ-იორკი, 27 ივლისი. „ამტორგ"-ის ხელმძღვანელი ბოგდანოვი, მოლაპარაკე კინო-ფილმების საზ-ბის — „პარამუნტ"-ის თხოვნით გამოვიდა სიტყვით საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ვაჭრობის შესახებ. ბოგდანოვმა გამოსთქვა რწმენა, რომ შეერთებული შტატების საზოგადოებრივი აზრი დარწმუნდება უოლენის დოკუმენტების სიყალბეში და „ამტორგ"-ისათვის წაყენებულ ბრალდებათა სრულ უსაფუძვლობაში (ადს).

კულიჯის განცხადება

ნიუ-იორკი, 28 ივლისი. შეერთ. შტატების ყოფ. პრეზიდენტი კულიჯი გაზეთებში სწერს: „თუ ამტორგ"-ის გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ამ საზოგადოებამ მისთვის ვაჭრობისათვის მინიჭებული სტუმართმოყვარეობა გამოიყენა ჩვენი წესების წინააღმდეგ მიმართულ საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად, ჩვენი მთავრობა შესაფერ დასკვნებს გააკეთებს ამ ფაქტიდან. მანამდე კი, სანამ საბოლოო დასკვნებს გავაკეთებდეთ, უნდა ველოდოთ დამამტკიცებელ საბუთებს".

ხუცესი „შეუგნებლობას" სწამებს ჰენრიხ ფორდს

ნიუ-იორკი, 27 ივლისი. ფიშის კომისიამ სხდომები გახსნა დეტროიტში. კეფლინმა, პროტესტანტების პასტორმა, ჩვენების მიცემის დროს განაცხადა, რომ ფორდი შეუგნებლად ხელს უწყობს კომუნიზმის გავრცელებას და ამის საბუთად მოიყვანა ფორდის შეთანხმება საბჭოთა მთავრობასთან (ადს).

ჟურნალისტი ჯონ სპივაკი ამხელს უოლენს

ნიუ-იორკი, 27 ივლისი. ფიშის კომისიამ დაჰკითხა ჟურნალისტი ჯონ სპივაკ.

კომისია ხშირად აწყვეტინებდა სიტყვას სპივაკს, ხელს უშლიდა მას იმის დამამტკიცებელი საბუთების მოყვანაში, თუ როგორ გამოარკვია მან უოლენის დოკუმენტების სიყალბე.

სპივაკის სიტყვით ჯამგაროვმა უამბო მას თავისი მეგობრული ურთიერთობის შესახებ უოლენთან და მისცა მას ჟურნალისტის ყალბი მოწმობა. ჯამგაროვს უთქვამს სპივაკისათვის, რომ მან უოლენის დოკუმენტების არსებობა იცოდა ოთხი თვით ადრე მათ გამოქვეყნებამდე. შემდეგ სპივაკი აღნიშნავს, რომ გენერლუმისის ცოლი (სტიმსონის ცოლის და) ფულად დახმარებას უწევდა ჯამგაროვს.

სპივაკი უამბობს კომისიას, რომ უოლენის ყალბი დოკუმენტების შესახებ მას საუბარი ჰქონდა რობერტ კელლისთან, საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის საქმეთა აღმოსავლეთის განყოფილების თანამშრომელთან. კელლის უთქვამს, რომ სტიმსონმა იცის, რომ მისი ცოლის და დახმარებას უწევს რუს თეთრგვარდიელებს, რომელთა ლიდერი არის ჯამგაროვი.

კერიინი, შრომის სამინისტროს შემარიგებელ პროცედურის დეპარტამენტის დირექტორი გამოუტყდა სპივაკს, რომ უოლენის ყალბი დოკუმენტები მან ნახა გამოქვეყნებამდე 6 კვირით ადრე.

სპივაკი მიუთითებს, რომ ჯამგაროვი მჭიდრო კავშირში იმყოფება არა მარტო პოლიციასთან, არამედ ნაციონალურ სამოქალაქო ფედერაციასთან.

იზლიმ, ნაციონალური სამოქალაქო ფედერაციის მდივანმა უოლენის ყალბი დოკუმენტები ნახა 6 კვირით ადრე მათ გამოქვეყნებამდე; წინათ კი იგი ჩარეული იყო ბრაზოლის ყალბი დოკუმენტების საქმეში (ადს).

თეთრგვარდიელები ფიშის კომისიის მრჩევლების როლში

ნიუ-იორკი, 27 ივლისი. ნიუ-იორკის სტამბის პატრონმა ვაგნერმა ფიშის კომისიაში დაკითხვის დროს აღიარა, რომ ბლანკები, რომელზედაც დაბეჭდილია ნიუ-იორკის პოლიციის ყოფ. უფროსის უოლენის დოკუმენტები, დამზადებულია მის სტამბაში თეთრგვარდიელ იაზვას დაკვეთით.

მიუხედავად იმისა, რომ ფიშის კომისიის სხდომები საჯაროთ ითვლება, შეერთებული შტატების კომპარტიის წარმომადგენელი დენი სხდომის დარბაზში არ დაუშვეს.

ფიშის კომისიას სხდომების დროსაც კი კავშირი აქვს რუს თეთრგვარდიელებთან. ვინმე ბერნარდსკი, რომელსაც ნიუ-იორკში რუს თეთრგვარდიელებისათვის აზარტულ სათამაშოთა კლუბი აქვს მოწყობილი, განუწყვეტლივ ესაუბრებოდა კომისიის წევრებს. [illegible] წარმომადგენლებმა, რომლებიც სხდომას დაესწრნენ, აღნიშნეს, რომ როცა კომისიას ჩვენებას აძლევდნენ „ამტორგ"-ის წარმომადგენლები, ბერნადსკი და მეორე თეთრგვარდიელი ჯამგაროვი თამაშობდნენ არა მარტო თარჯიმნების იურისკონსულტების, რომელთაგან ერთი ლაპარაკობს რუსულად, პროტესტს აცხადებენ იმის გამო, რომ ბარნადსკი ჩვენების გადათარგმნის დროს, განზრახ სტოვებს ჩვენების ზოგიერთ ადგილებს, ამახინჯებს მათ და სხვ.

შემდეგ კომისიამ დაჰკითხა „ამტორგ"-ის იურისკონსულტ მაიკლს, რომელმაც მიუთითა მთელ რიგ გრამატიკულ შეცდომებზე უოლენის „დოკუმენტებში", ძველი ორთოგრაფიით სარგებლობაზე და დატების არევაზე მასში (ადს).

ინგლის-საბჭ. ვაჭრობის გაფართოება

ლონდონი, 27 ივლისი. ვაჭრობის სამინისტროს საპარლამენტო მდივანმა აცნობა თემთა პალატას, რომ საბჭოთა კავშირთან საექსპორტო სქემის მიხედვით დადებული ხელშეკრულებები 1-ლ ივლისისათვის შეადგენენ 3.500.000 გირ. სტერლინგს. ინგლისის მთავრობის ვალდებულებები ამ ხელშეკრულების მიხედვით შეადგენს 2.220.000 გირ. სტერლინგს, ე. ი. 60 პროცენტს. შემდეგ სამინისტროს მდივანმა განაცხადა, რომ ახალშენებისათვის 1-ლ იანვრიდან 12 ივლისამდე მიცემული კრედიტები უდრის 179.706 გირ. სტერლინგს, წინააღმდეგ 3 მილიონ გირ. სტერლინგისა, რომელიც საბჭ. კავშირს მიეცა (ადს).

თეთრგვარდიელებმა კვლავ წამოყვეს თავი

თეთრგვარდიელების ორი რაზმი

ტოკიო, 27 ივლისი. „ხარბინ ნიცი-ნიცი" იუწყება, რომ მანჯურიაში მოქმედობს თეთრგვარდიელთა ორი რაზმი, ერთი, პეშკოვის მეთაურობით, ძარცვა გლეჯას აწარმოებს ტრიოხრეჩიეს რაიონში. მეორე, ზიკოვის მეთაურობით, მხეცურად უსწორდება საბჭოთა მოქალაქეებსა და ჩინელებს ხაილარის რაიონში (ადს).

რეპრესიები საბჭოთა მოქალაქეების წინააღმდეგ.

ტოკიო, 26 ივლისი. ხარბინიდან მიღებული ცნობით, საბჭოთა კავშირში დაბეჭდილი წიგნების აღმოჩენასთან დაკავშირებით, იქ კვლავ დაიწყო რეპრესიები საბჭოთა მოქალაქეების წინააღმდეგ. საბჭოთა მოქალაქეებს მანჯურიაში აკრძალული აქვთ რომელიმე საბჭოთა წიგნის ან ჟურნალ-გაზეთის მიღება, წაკითხვა და შენახვა. აკრძალულია საბჭოთა მთავრობის ოფიციოზი — „იზვესტია"-ც. საბჭოთა მოქალაქეებს, რომლებსაც საბჭოთა გამოცემებს უპოვნიან, ყველას კომუნისტებად აცხადებენ და სასტიკად სჯიან (ადს).

თათბირი ხარბინში

ტოკიო, 26 ივლისი. ხარბინიდან მიღებული ცნობით, იქ შესდგა ადგილობრივ ჩინური გაზეთების წარმომადგენელთა თათბირი, მოწვეული რუს თეთრგვარდიელების და კერძოთ, გაზ. „გუნ-ბაო"-ს (ჩინური ოფიციოზი რუსულ ენაზე) რედაქციის ინიციატივით.

თათბირმა გამოიტანა რეზოლიუცია ხარბინის ჩინურ გაზეთ „დუნხვა"-ს დახურვის შესახებ იმის გამო, რომ ამ გაზეთის რედაქტორი შენ-ცზი-ჩი ილაშქრებს ნანკინის წინააღმდეგ და სახელს უტეხს ჩინელ ჟურნალისტებს მანჯურიაში. დადგენილება მოითხოვს შენ-ცზი-ჩის განდევნას ჩინეთიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრება „გაზეთებისა და დეპეშათა სააგენტოების დემონსტრატიული გაფიცვით".

ბრძოლა გავლენისათვის ერთა ლიგაში

ბერლინი, 26 ივლისი. „ბერლინერ ტაგებლატ"-ის ჟენეველი კორესპონდენტი იუწყება იმ ბრძოლის შესახებ, რომელიც ერთა ლიგის სამდივნოს რეორგანიზაციისა და მისი ხელმძღვანელობის საკითხის გარშემო სწარმოებს.

აქამდე ლიგის ფაქტიური ბატონ-პატრონები იყვნენ ლიგის გენერალური მდივანი ინგლისელი ერიკ დრუმონდი და მისი მოადგილე ფრანგი ავინოლი. გენერალური მდივნის დანარჩენი თანაშემწეები — იტალიის, გერმანიის და ზოგიერთ სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლები, თუმცა „თეორეტიულად" ისეთივე უფლებებით იყვნენ აღჭურვილნი, როგორც გენერალური მდივანი და მისი მოადგილე, სინამდვილეში კი ასრულებდნენ წმინდა ტეხნიკურ სამუშაოს — განაგებდნენ ლიგის განყოფილებებს და არა თუ არ აწარმოებდნენ დიდ პოლიტიკურ მუშაობას, არამედ მათ არც აცნობდნენ ამგვარ საკითხებს.

გერმანიამ და იტალიამ შეიტანეს წინადადება ლიგის სამდივნოს რეორგანიზაციის შესახებ იმგვარად, რომ ყველა სახელმწიფოთა წარმომადგენლები, რომლებიც მასში იქნებიან წარმოდგენილნი, იყვნენ ლიგის პოლიტიკური მუშაობის კურსში. გენერალური მდივნის პოსტი უნდა გაუქმდეს და მისი ფუნქციები მორიგეობით უნდა შეასრულონ მდივნის თანაშემწეებმა.

უმრავლესობა ბრძოლას აწარმოებს რეორგანიზაციის ამ პროექტის წინააღმდეგ და იცავს ძველ წესრიგს (ადს).

ტყვიამფრქვევები გაფიცულთა წინააღმდეგ

ბერლინი, 27 ივლისი. „ფიატ"-ის საავტომობილო ქარხნებში (იტალია) 600 მუშის დათხოვნის გამო გაფიცვამ იფეთქა. პოლიციასა და მუშებს შორის მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკება, რომელიც შუაღამემდე გაგრძელდა. პოლიციამ ტყვიამფრქვევებით გამოვიდა მუშათა წინააღმდეგ (ადს).

მუშათა პარტია უძლურია

უმუშევრობასთან ბრძოლაში

ლონდონი, 28 ივლისი. ინგლისის მუშათა პარტიის ყოველწლიური ყრილობა შესდგება ოქტომბერში. წინასწარი დღის წესრიგი მოწმობს, რომ **პარტიული მასა შეშფოთებულია უმუშევრობის ზრდით. არა ნაკლებ 44 რეზოლიუციისა** მიიღეს ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ამ საკითხზე, მაგრამ არც ერთი რეზოლიუცია არ აყენებს ახალ წინადადებას უმუშევრობასთან საბრძოლველად. (ადს)

საფრანგეთის მუშების ბრძოლა

ყაჩაღური სოცდაზღვევის კანონის წინააღმდეგ

პარიზი, 27 ივლისი. 80.000 მუშის გაფიცვა სოციალური დაზღვევის ახალი კანონის წინააღმდეგ ძველი სიმტკიცით გრძელდება. ლილში სამოცათასიან საპროტესტო მიტინგზე სიტყვით გამოვიდა საფრანგეთის კომპარტიის მდივანი ტორეზი, რომელმაც გამოაშკარავა რეფორმისტების მანევრები სოც. დაზღვევის კანონის გარშემო.

მიტინგის შემდეგ მუშებმა მოაწყვეს დემონსტრაცია ქალაქის ქუჩებში ერთიანი ფრონტის, საბჭოთა კავშირის დაცვის ლოზუნგებით.

სენ-კანტენში დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 8.500 მუშამ, რომლებმაც წითელი დროშებით და „ინტერნაციონალის" სიმღერით გაიარეს ქალაქის ქუჩებში (ადს).

პიონერთა საერთაშორისო შეკრება

ბურჟუაზია სასტიკ რეპრესიებს მოითხოვს

ბერლინი, 27 ივლისი. შესდგა პიონერკორესპონდენტების კონფერენცია უცხოეთის დელეგატების, „როტე ფანე"-სა და რევოლიუციონური მწერალთა კავშირის წარმომადგენლების მონაწილეობით. ნასადილევს რამდენიმე ათასი პროლეტარული ბავშის თანდასწრებით, ნეიკელნის სტადიონზე გაიხსნა ბავშთა სპარტაკიადა. სტადიონზე შესასვლელ კარებთან იდგნენ პოლიციელები, რომლებიც სულ უმნიშვნელო საბაბით სარგებლობდნენ პიონერების მიმართ სასტიკ რეპრესიულ ღონისძიებათა გამოსაყენებლად.

ბურჟუაზიული პრესა, განსაკუთრებით „ბერლინერ ბერზენ ცეიტუნგი" და „ლოკალ ანცეიგერ"-ი, გააფთრებულ კამპანიას აწარმოებენ შეკრების წინააღმდეგ.

„ბერზენ ცეიტუნგ"-ი სწერს, რომ „გერმანიის დედა ქალაქი კვლავ გადაიქცა სახელმწიფოსა და მშვიდობიან მოქალაქეთა წინააღმდეგ მიმართული მკაცრი აგიტაციის ასპარეზად". გაზეთი მოითხოვს, რომ ბერლინის პოლიციის უფროსმა დაუყოვნებლივ აკრძალოს პიონერების და ბერლინის მუშების ხვალინდელი დემონსტრაციები და მიტინგები „სპორტის სასახლეში" (ადს).

უკანასკნელი სხდომა

ბერლინი, 28 ივლისი. პროლეტარულ ბავშთა საერთაშორისო კონგრესის უკანასკნელი სხდომის წინ სწარმოებდა მუშაობა სექციებში.

უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა ცნობა სოციალისტური შეჯიბრების საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების შესახებ (ადს).

საარჩევნო სამზადისი გერმანიაში

მრეწველები ეხმარებიან ფაშისტებს

ბერლინი, 27 ივლისი. საარჩევნო სამზადისი გაჩაღებულია. ბურჟუაზიულმა პარტიებმა პირველ რიგში ხელი მოჰკიდეს ფონდების შექმნას არჩევნებისათვის. გერმანიის მრეწველთა კავშირი ფინანსიურ დახმარებას უწევს ნაციონალისტებს, (ფაშისტები) და „ფოლადის მუზარადის" ორგანიზაციას.

„ველტ ამ აბენდ" იუწყება, რომ ნაციონალისტები არჩევნებისათვის სუბსიდიას იღებენ აგრეთვე მძიმე მრეწველობის მთელ რიგ წარმომადგენლებისაგან (ადს).

მე-48-ე მუხლის ძალით

დამთავრდა საფინანსო ღონისძიებათა განხილვა

ბერლინი, 27 ივლისი. გერმანიის მთავრობამ დაამთავრა განხილვა საფინანსო კანონპროექტებისა, რომლების განხორციელებაც მოხდება პრეზიდენტის დეკრეტით, კონსტიტუციის 48-ე მუხლის თანახმად. ჰინდენბურგმა ხელი მოაწერა მთავრობის მიერ წარდგენილ კანონპროექტებს, რის შემდეგაც მათ კანონიერი ძალა მიეცათ. კანონების ოფიციალურად გამოქვეყნება მოხდება ხვალ ან ზეგ (ადს).

გერმანიის სახელმწიფო ბიუჯეტი

ბერლინი, 27 ივლისი. პრეზიდენტმა ჰინდენბურგმა დაამტკიცა სახელმწიფო ბიუჯეტი. დეფიციტი უდრის 760 მილიონ მარკას და იგი დაფარული იქნება უმუშევრობისგან დასაზღვევი ანარიცხების გადიდებით, „გაჭირვების გამო შემოწირულებისა და უცოლოებზე გადასახადების შემოღებით (ადს).

ვოლდემარასის გაძევება

კოვნო, 28 ივლისი. ლიტვის ყოფილი პრემიერი ვოლდემარასი ერთი წლით გადაასახლეს დაბა პლატეიაში (კრეტინგენის მაზრა). (ადს)

ორი მთავრობა ჩინეთში

ტოკიო, 26 ივლისი. პეკინიდან მიღებული ცნობით, უახლოეს დღეებში ვან-ტინ-ვაის ჩამოსვლასთან დაკავშირებით, პოლიტიკურ წრეებში თვლიან, რომ ჩრდილოეთის მთავრობის შექმნის მოსამზადებელი პერიოდი დამთავრებულია, თუმცა ჩრდილოეთის კოალიცია იძულებულია აღიაროს, რომ ნანკინის განადგურების გეგმა ჯერ განხორციელებული არ არის.

ამრიგად ჩინეთში იარსებებს ორი მთავრობა.

იმპერიალისტური სახელმწიფოების წარმომადგენლები პეკინში ამ ფაქტის ოფიციალურ [illegible] და ზოგიერთ სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლების პოზიციაში შემჩნეულია სურვილი ანგარიში გაუწიოს შექმნილ მდგომარეობას, ე. ი. ორივე მთავრობის ცნობა არაოფიციალურად (ადს).

მიწისძვრა იტალიაში

რომი, 27 ივლისი. მიწის ძვრის დროს დაიღუპა 2,142 კაცი, დაიჭრა 4.551 კაცი (ადს).

კლასობრივი სასამართლო

ბერლინი, 28 ივლისი. ლეიპციგის სასამართლომ „როტე ფანე"-ს პასუხისმგებელ რედაქტორს **გუსმანს** მიუსაჯა დაპატიმრება 21 თვით; მას ბრალდებოდა „სახელმწიფო ღალატის მომზადება" და წერილის გამოქვეყნება უმუშევრობისაგან დაზღვევის პირობების გაუარესების შესახებ.

იმავე სასამართლომ გერმანიის კომპარტიის კელნის ორგანო „სოციალისტიშე რესპუბლიკ"-ის პასუხისმგებელ რედაქტორს მიუსაჯა დაპატიმრება 2 წლით; მას ბრალდება წერილების გამოქვეყნება ზევერინგის (სოციალ-დემოკრატი, სრულიად გერმანიის მთავრობის ყოფ. შინაგან საქმეთა მინისტრი) ტერორისტულ ღონისძიებების წინააღმდეგ.

დრეზდენში ანტიფაშისტური გვარდიის 7 წევრს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და თავდასხმისათვის მიუსაჯეს დაპატიმრება 3-დან 8 თვემდე. **ბრალდებულები — მუშები. ნამდვილად მათ დაესხნენ თავს ფაშისტები და ისინი მხოლოდ თავს იცავდნენ.**

ცვიკაუში სასამართლომ 11 მუშას საერთოდ მიუსაჯა 71 თვით დაპატიმრება 6 მარტს უმუშევართა დემონსტრაციებში მონაწილეობისათვის.

კულტურული მშენებლობის ამოცანები

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილება

მოსკოვი, 28 ივლისი. საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული სიმწვავით ისმება ამოცანა იმის შესახებ, რომ სახალხო განათლების მთელი სისტემა შეეფარდოს მასების გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებას, სოციალისტური მშენებლობის სწრაფ ტემპებს და კადრების მომზადების პრობლემას. მასებისათვის კულტურული სამსახურის გაწევის მთელ საქმეს უნდა მიეცეს ისეთი ახალი გაქანება, რომელიც შეესაბამება სამეურნეო მშენებლობის ტემპებს. კულტურული მშენებლობის ყველა საფეხურებზე უნდა დამყარდეს უფრო მტკიცე კავშირი კულტურულ მუშაობასა და მეურნეობის მოთხოვნილებას შორის. ამ თვალსაზრისით ცენტრალურ კომიტეტს სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიაჩნია პარტიის პროგრამის იმ მოთხოვნათა განხორციელების ტემპები, რომლითაც შეეხებიან 17 წლის ასაკამდე ყველა ბავშების მიერ საერთო პოლიტეხნიკური განათლების მიღებას და პროფგანათლების განვითარებას პოლიტეხნიკურ ცოდნასთან დაკავშირებით.

ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ მთელი სისტემა სახალხო განათლებისა, კერძოდ მასიური სკოლა ჯერ კიდევ მოწყვეტილია წარმოებას, ჯერ კიდევ შორს არის ლენინის იმ მოთხოვნისაგან, რომ სწავლების ყოველი ნაბიჯი შეუერთდეს მუშების და გლეხების შრომას. სავალდებულო საყოველთაო სწავლების შემოღებასთან ერთად, როგორც უმნიშვნელოვანესი ღონისძიება, საჭიროა:

1. სახალხო განათლების სისტემაში ყოველნაირად განმტკიცდეს 7 წლედის (საფაბრიკო-საქარხნო სკოლა ქალაქებისათვის და გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა სოფლისათვის) ხვედრითი წონა, ამასთან შვიდწლედი მიჩნეულ იქნას წინასწარ მინიმუმად და საგანმანათლებლო პოლიტეხნიკურ მომზადებად როგორც ტეხნიკუმებში, საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში და პარტსკოლებში მიღებისათვის, ისე იმ მოზარდთათვის, რომელნიც უშუალოდ წარმოებაში შედიან. 1930-31 წელს დაწყებულ იქნას სავალდებულო ზოგადი 7 წლიანი განათლების შემოღება მუშათა რაიონებში და სამრეწველო ქალაქებში იმ პირობით, რომ მახლობელ წლებში მიღწეულ იქნას 7 წლედის ბაზაზე გადასვლა საფაბრიკო-საქარხნო სკოლების მთელი ქსელისა,—სკოლების, რომლებიც წარმოადგენენ მუშებისა და მოზარდების წარმოებისათვის მომზადების უპირატეს ფორმას.

2. პირველი 5 წლედის დანარჩენი წლების მანძილზე მოხდეს რეორგანიზაცია მეორე საფეხურის სკოლების მეორე კონცენტრების (მერვე და მეცხრე ჯგუფების) და ტეხნიკუმებისა, რომელნიც შრომის განსაზღვრული დარგების დამთავრებულ კვალიფიკაციას იძლევიან; ეს რეორგანიზაცია მიჩნეულ იქნას პოლიტეხნიზმის გაძლიერებად სახალხო განათლების სისტემის საშუალო რგოლებში და ხელის შეწყობად კადრების მომზადების ამოცანის გადაჭრისათვის.—ამ რეორგანიზაციასთან ერთად სახალხო განათლების მთელ სისტემაში უზრუნველყოფილ უნდა იქნას ზოგად-განათლების პოლიტეხნიკურ ცოდნათა მინიმუმი. უკუგდებულ უნდა იქნას როგორც გაზეპირებაზე დამყარებული სკოლის დაცვის ცდა,—ისეთი სკოლის, რომელიც მოწყვეტილია შრომასა და წარმოებას,— ისე ვიწრო ხელოსნობისაკენ მიმართული ტენდენცია და საზოგადოებრივ-პოლიტიკური და პოლიტეხნიკური მომზადების სათანადოდ არ შეფასება. მეორე საფეხურის სკოლის რეორგანიზაცია უნდა მოხდეს სამეურნეო ორგანოების აქტიური მონაწილეობით და მატერიალურ და ფინანსიურ შესაძლებლობასთან შეფარდებით. რეორგანიზაციის კონკრეტული გეგმა სასწრაფო წესით უნდა დასახონ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახკომსაბჭოებმა.

3. კადრების მომზადების, მშრომელთა მასიური კვალიფიკაციის და კულტურულ-პოლიტიკური დონის ამაღლების ამოცანებთან დაკავშირებით, საჭიროა მასიური განათლების სისტემა და დამატებითი დაუსწრებელი სწავლება გავრცელდეს გამოუკლებლივ ყველა მუშებზე და კოლმეურნეებზე, რისთვისაც უნდა მოეწყოს სხვ. სახის სკოლები და კურსები მუშებისათვის და საკოლმეურნეო უნივერსიტეტები, რომელნიც უნდა შეეფარდონ მუშათა და კოლმეურნეთა მომზადების მხრივ სხვადასხვა ჯგუფების მოთხოვნილებებს და წარმოების პირობებს (7 საათის სამუშაო დღე და განუწყვეტელი კვირა). მასიური კულტურული მუშაობის ჩატარების საქმეში პარალელიზმისა და შეუთანხმებლობის თავიდან ასაცილებლად, ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია სახალხო განათლების ორგანოების, კოოპერაციის და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების კულტურული მუშაობის საქმეში განახორციელდეს მთლიანი გეგმის პრინციპი. კულტურული მუშაობის მთლიანი გეგმის შემუშავებისა და განხორციელებისათვის ხელის შესაწყობად და საბჭოთა საზოგადოებრიობის მობილიზაციისათვის კულტურული მშენებლობის ამოცანათა ირგვლივ მოწყობილ იქნას სახალხო განათლების ორგანოებში და საბჭოებში კულტურული მშენებლობის შექმნა (ადს).

საყოველთაო-სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლების შემოღება

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილება

„სოციალისტური მშენებლობის განვითარება და მასთან დაკავშირებული უდიდესი ამოცანები კადრების მოსამზადებლად კულტურულ - ტეხნიკური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის და ფართო მასების კომუნისტური აღზრდისათვის მოითხოვენ საყოველთაო სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლების დაჩქარებით გატარებას, რაც უდიდესი გამარჯვება იქნება არა მარტო კულტურულ, არამედ პოლიტიკურ და სამეურნეო ფრონტებზედაც კი" (სტალინი). მიუხედავად იმისა, რომ პირველდაწყებითმა სკოლამ, რევოლიუციის წინა დროსთან შედარებით, ბავშთა საგრძნობლად დიდი რაოდენობა ჩააბა სკოლაში, ც. კ.-ი სრულიად არადამაკმაყოფილებლად სთვლის საყოველთაო პირველდაწყებითი სავალდებულო სწავლების გატარების მომზადების ტემპს. ც. კ. აღნიშნავს რა, რომ რესპუბლიკების უმრავლესობასა და ოლქებში სუსტად მუშაობენ საყოველთაო პირველდაწყებითი სწავლების შემოსაღებად საბჭოთა ორგანოები, განსაკუთრებით კი განათლების კომისარიატები და მათი ორგანოები ადგილებზე, აღმასკომები, აგრეთვე იმას, რომ სრულიად არადამაკმაყოფილებელია ის ყურადღება, რომელსაც ამ მუშაობას პარტიული, პროფესიონალური და სხვა ორგანიზაციები აქცევენ, და ის დახმარება, რომელსაც მას უწევენ, საჭიროდ სცნობს:

1) შემოღებულ იქნას 1930-31 წლიდან 8-9-10 წლის ბავშების საყოველთაო პირველდაწყებითი სავალდებულო სწავლა და შემდეგ 1931-32 წელს გავრცელდეს სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლება 11 წლის ბავშებზე. ყოფა-ცხოვრების თავისებურებისა და საორგანიზაციო ხასიათის სიძნელეებთან დაკავშირებით, ცალკე ნაციონალურ რესპუბლიკებისა და ოლქებისათვის („ობლასტ"-ი), აგრეთვე რამდენიმე ცალკე რაიონის ქალაქს გარეთ დასახლებულ ადგილებისათვის დაშვებულ იქნას გადახვევა (არა უმეტეს 1-2 წლისა) საყოველთაო პირველდაწყებითი სწავლების ზემოხსენებული ვადიდან იმ პირობით, რომ თვითეულ ცალკე შემთხვევაში ეს საკითხი გადაჭრას სათანადო მოკავშირე რესპუბლიკის მთავრობამ. 1930-31 წლიდან შემოღებულ იქნეს ვადაგადაცილებულ მოზარდთა (11-დან 15 წლამდე, რომელთაც არ გაუვლიათ დაწყებითი სკოლის კურსი) სავალდებულო სწავლა სწავლების დაჩქარებული წესის საფუძველზე: ერთწლიანი და ორწლიანი სკოლა-კურსებით. 1930-31 წლიდან დაწყებულ იქნეს საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღება შვიდწლედის სკოლის ფარგლებში სამრეწველო ქალაქებში, საფაბრიკო - საქარხნო რაიონებში და მუშებით დასახლებულ ადგილებში,და დაწესდეს სავალდებულო სწავლება შვიდწლედის სკოლაში იმათთვის, ვინც წელს ამთავრებს პირველდაწყებით სკოლას (პირველ საფეხურს). განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საქარხნო - საფაბრიკო შვიდწლედების ქსელის გაფართოებას. გაძლიერდეს კოლმეურნე ახალგაზრდობის სკოლების, (როგორც დღის, ისე საღამოს სკოლების) გაშლა, იმ ვარაუდით, რომ ხუთწლედის დამლევისათვის ამ სკოლებმა მოიცვას კოლმეურნე ახალგაზრდობის მთელი ძირითადი მასა.

2) შემდგომი სწავლების უზრუნველსაყოფად და განსახორციელებლად, საბიუჯეტო ასიგნობათა საგრძნობლად გადიდებასთან ერთად, საყოველთაო სწავლებისათვის ფინანსირ[illegible] სკოლების შენებლობის, შეკეთებისა და მოწყობის საქმეში ჩაბმულ იქნენ სამეურნეო, პროფკავშირული, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ფართო მასების ინიციატივა (სოც. შეჯიბრება, სპეციალური ანარიცხები, კოლექტიურად მოხნული კულტურული ჰექტარების შემოსავალი, შეფების დახმარება, უფასო შრომითი მონაწილეობა და სხვ.). დაწესდეს, რომ სამეურნეო ორგანოების მსხვილი კაპიტალური მშენებლობის სამრეწველო - საფინანსო გეგმებში გათვალისწინებულ იქნას მოკავშირე რესპუბლიკების სახკომსაბჭოების დადგენილებანი კაპიტალურ დაბანდებათა შესახებ საყოველთაო სწავლების მშენებლობისათვის. საგრძნობლად გადიდებულ იქნას პირველდაწყებითი სწავლების სკოლათა მშენებლობის ფონდები სპეციალური დოტაციების გაღებით საერთო საკავშირო ბიუჯეტიდან საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით. ამ დოტაციების რაოდენობას აწესებს საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭო საყოველთაო სწავლების გეგმასთან შეფარდებით. განთავისუფლებულ იქნას პირდაპირი დანიშნულებისათვის გამოსაყენებლად სხვა საჭიროებისათვის დაჭერილი სკოლის შენობები და გამოყენებულ იქნას პირველ რიგში სკოლისათვის მემამულეთა ყოფილი სახლკარი, კულაკების ჩამორთმეული სახლები და სხვა. სკოლის მშენებლობაზე სახსრების ხარჯვის დროს მხედველობაში მიღებულ იქნას ის, რომ პირველ რიგში დაკმაყოფილებულ უნდა იქნას ძირითადი ინდუსტრიალური რაიონების, მუშათა ცენტრების. მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებისა და ყველა კულტურულად ჩამორჩენილი ნაციონალური რაიონების საჭიროება.

3) იმ მიზნით რომ საყოველთაო პირველდაწყებითი სკოლები უზრუნველყოფილ იქნან საჭირო პედაგოგიური კადრებით: ა) სასწრაფოდ გაფართოვდეს პედაგ. ინსტიტუტების, პედტეხნიკუმების, სპეციალური პედაგოგიური კურსებისა და პედაგოგთა მოსამზადებელი სხვა სასწავლებლების ქსელი და კონტინგენტები. ბ) რადგან მასწავლებლობას ახალი ამოცანები ეკისრება, საგრძნობლად გაუმჯობესდეს პირველდაწყებითი სწავლების პედაგოგიური კადრების მატერიალური მდგომარეობა. დაწესდეს სოფლის სკოლის მასწავლებელთათვის მუშათა მომარაგების ნორმები. მიღებულ იქნას ზომები პედაგოგთა შორის კომუნისტურ მუშაობა ძირითადი კადრის გასაძლიერებლად. წინადადება მიეცეს კომკავშირის ც. კ.-ს სამი წლის განმავლობაში გამოყოს და მობილიზაციის წესით გზავნოს ყოველწლიურად კომკავშირის 20.000 წევრზე არა ნაკლები საყოველთაო სწავლების სკოლებში სამუშაოდ სასწავლებელთა პედაგოგიური კომპლექტის შესავსებად.

4) იმ მიზნით, რომ სკოლა ნამდვილად ხელმისაწვდომი გახდეს, ამაღლდეს სწავლების ხარისხი და მოხერხდეს გადამწყვეტი ბრძოლა მეორე წელს დარჩენისა და სწავლის მიტოვების წინააღმდეგ 1930-31 წლიდან საგრძნობლად გაძლიერდეს მატერიალური დახმარება პირველდაწყებით სკოლებში (უფასოდ მიწოდება სასწავლო ხელსაწყოსი, ფეხსაცმელის, ტანისამოსის, უფასო კვება, ტრანსპორტი და სხვ.) მოსწავლე ნაკლებად უზრუნველყოფილი მუშების, მოჯამაგირეებისა და ღარიბთა ბავშებისათვის საბიუჯეტო ასიგნობათა გადიდების საშუალებით და ამ დახმარების საქმეში საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახსრების ჩაბმით, აგრეთვე იმ ფონდების ხარჯზე, რომლებიც სპეციალურად იქნება სამისოდ დაარსებული საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს მიერ განსაზღვრული წესის თანახმად. ამასთან ერთად ფართოდ იქნას გამოყენებული ჯგუფებთან მეცადინეობის პრაქტიკა, რომ ამით შესაძლებელი გახდეს მუშების, მოჯამაგირეების და სოფლის ღარიბთა შვილების მომზადება სკოლაში შესასვლელად.

5) რათა გაძლიერებულ იქნას საყოველთაო სავალდებულო სწავლების საქმის ხელმძღვანელობა პარტორგანიზაციების მხრით, ც. კ.-ი წინადადებას აძლევს ყველა პარტორგანიზაციებს: ა) საყოველთაო სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლების შემოღება ჩასთვალონ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ კამპანიად მთელი მახლობელი პერიოდის განმავლობაში; ბ) განახორციელდეს პარტიის წევრთა აქტიური მონაწილეობა საყოველთაო სავალდებულო სწავლების ხელშემწყობ კომიტეტების მუშაობაში და სკოლის არჩეულ ორგანიზაციებში (სასკოლო საბჭოები, ხელშემწყობი საბჭოები, მშობელთა კომიტეტები და სხვ.);

გ) პარტკომებმა წელიწადში ორჯერ მაინც უნდა მოისმინონ აღმასკომებისა და საბჭოების ფრაქციათა მოხსენებანი პარტუჯრედების საერთო კრებებზე საყოველთაო სავალდებულო სწავლების გაშლა-გაფართოების გარშემო წარმოებული მუშაობის შესახებ და სისტემატიურად წამოაყენონ საკითხები საყოველთაო სავალდებულო სწავლების პრაქტიკულად გატარების შესახებ ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით (საქარხნო-საფაბრიკო რაიონის, ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების, სოფლის).

6) საყოველთაო სწავლების განხორციელება უმოკლეს ვადაში დაკავშირებულია მთელ რიგ უდიდეს სიძნელეებთან. ამ სიძნელეთა გადაჭრით დაძლევა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საყოველთაო სწავლების განხორციელების საქმე გადაიქცევა მასიურ საზოგადოებრივ - პოლიტიკურ კამპანიად, რომელიც დაემყარება მთელი პროლეტარული საზოგადოებრიობის ინიციატივასა და თვითმოქმედებას, მუშაობის ისეთ მეთოდების გამოყენებას,როგორიც არის კულტლაშქრობა, სოც. შეჯიბრება, საწარმოთა შეფობა სკოლებზე, საზოგადოებრივი დათვალიერება,მასიური კონფერენციები და სხვ. მიზნით, რომ მოხდეს ძალთა და სახსართა მობილიზაცია საყოველთაო სწავლების განხორციელებლად საჭირო მუშაობისათვის. ც. კ.-ი საჭიროდ სთვლის ქალაქისა და სოფლის საბჭოებთან, საფაბრიკო-საქარხნო ადგილების აღმასკომებთან და საბჭოებთან მოეწყოს საყოველთაო სავალდებულო სწავლების ხელშემწყობი კომიტეტები, რომლებშიაც მონაწილეობა უნდა მიიღონ სახალხო განათლების განყოფილებებმა, პროფკავშირის ორგანიზაციებმა, კომკავშირმა, კულტმუშაკებმა აქტივისტებმა მოწინავე მუშებმა და კოლმეურნეებმა. ც. კ.-ი წინადადებას აძლევს ცენტრალური და ადგილობრივი ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებს—ფართოდ გაშალონ კამპანია საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარების საკითხების შესახებ და სისტემატიურად გააშუქონ ამ მუშაობის მიმდინარეობა (ადს).

მოსკოვი, გადმოცემულია ტელეგრაფით

მოსკოვი

(ტელეგრაფით ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ქარუმიძის დაპატიმრება

მოსკოვი, 28 ივლისი. „იზვესტია"-ს ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება: ბერლინის გაზეთების ცნობით, ბერნში (შვეიცარია) დააპატიმრეს ქარუმიძე. არსებული ცნობით ქარუმიძის დაპატიმრება არ მომხდარა გერმანიის ხელისუფლების მოთხოვნით, ვინაიდან ქარუმიძის მისამართი სასამართლომ ოფიციალურად არ იცოდა. ქარუმიძე დააპატიმრეს კერძო პანსიონში. ალბათ მისი დაპატიმრება გამოწვეულია რაიმე სისხლის სამართლის დანაშაულით, რომელიც მან შვეიცარიის ტერიტორიაზე ჩაიდინა, ან გერმანიის მთავრობის წინანდელი მოთხოვნის მიხედვით.

ამერიკელი სპეციალისტი ჩვენი საბჭოთა მეურნეობების შესახებ

მოსკოვი, 28 ივლისი. „ზერნოტრესტი"-ს საბჭოთა მეურნეობებს დათვალიერების შემდეგ მოსკოვში დაბრუნდა ცნობილი ამერიკელი სპეციალისტი, ამერიკაში უდიდესი სასოფლო-სამეურნეო ფერმის ორგანიზატორი კემპბელი. „ზერნოტრესტ"-ის მუშაკებთან საუბარში კემპბელმა განაცხადა: „ის, რაც მე ახლა ვნახე, სჭარბობს ჩემს ყოველგვარ მოლოდინს. ამერიკაში არსებული უდიდესი ფერმები კარლიკებია „ზერნოტრესტი"-ს ყველაზე პატარა საბჭოთა მეურნეობებთან შედარებით. განსაცვიფრებელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე მშენებლობის მასშტაბმა, მუშაკების ენტუზიაზმმა და საბჭოთა მეურნეობების მექანიზაციამ. ფაქტები მოწმობენ ინჟენერების და ადმინისტრაციის მიერ საქმის ცოდნას. განსაკუთრებით სასიხარულო შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე სამეცნიერო-გამოკვლევითი მუშაობამ.

საბჭოთა მეურნეობების წინაშე ამჟამად დგას ნარჩენების გამოყენების და გვალვებიან რაიონში მორწყვის საკითხის მოგვარების ამოცანა".

შეკითხვებზე პასუხის მიცემის დროს კემპბელმა სთქვა, რომ ყველაზე მტკივნეულ ადგილს მის მიერ დათვალიერებულ მეურნეობებში წარმოადგენს მოწყობილობების ცუდი მოვლა. საუკეთესო მუშაკები დაჯილდოვებულ უნდა იქნან, მანქანებისადმი უყურადღებობისათვის დამნაშავენი უნდა დაისაჯონ. ტრაქტორი მეტ მოვლას და ყურადღებას მოითხოვს, ვიდრე ავტომობილი. დანარჩენ ნაკლოვანებებს, კემპბელის განცხადებით, არა აქვს დიდი მნიშვნელობა. ეს ნაკლოვანებები აღმოფხვრილი იქნება მუშაობის პროცესში, გამოცდილების დაგროვებასთან ერთად. დასასრულ კემპბელმა განაცხადა, რომ უახლოეს დღეებში მიემგზავრება ამერიკაში, სადაც ფართოდ გააცნობს საზოგადოებას იმ ახალს, რაც მან საბჭოთა კავშირში ნახა.

საკოლმეურნეო — კოოპერატიული სისტემის რეორგანიზაცია

მოსკოვი, 28 ივლისი. საბჭოთა კავშირის მიწსახკომმა შეადგინა ოპერატიული კომისია, რომელსაც დაევალა საკოლმეურნეო - კოოპერატიული სისტემის რეორგანიზაციის ჩატარება. რეორგანიზაცია ოლქებსა და რესპუბლიკებში უნდა დამთავრდეს 1-ლ სექტემბრისათვის. საჭიროდ არის ცნობილი „ტაბაკსოიუზ"-ის და „პჩელოვოდსოიუზ"-ის გაერთიანება „პლოდოცენტრთან" ერთ მთლიან საკავშირო ცენტრში. სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის კავშირთა კავშირი, რჩება მხოლოდ ამიერ - კავკასიასა და უკრაინაში.

დაწესებულებებს შორის დავალიანების ლიკვიდაციის შესახებ

სამეურნეო ანგარიშზე მყოფ დაწესებულებებსა, კოოპერაციის და სააქციო საზოგადოებათა (უცხო კაპიტალის მონაწილეობის გარეშე) საქონლის სესხათ გაცემისა და სხვადასხვა სამსახურის კრედიტით გაწევის გამო გამოწვეულ ურთიერთ დავალიანებათა ლიკვიდაცია საკრედიტო რეფორმასთან დაკავშირებით

(საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს 1930 წ. 26 ივლისის დადგენილება)

თანახმად საბჭოთა კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს 1930 წ. 30 იანვრის დადგენილებისა საკრედიტო რეფორმის შესახებ, საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სამეურნეო ანგარიშზე მყოფმა სახელმწიფო ორგანოებმა, კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა და სააქციო საზოგადოებებმა, რომელშიაც არ მონაწილეობს უცხო კაპიტალი, ლიკვიდაცია უნდა უყონ ურთიერთ დავალიანებას საქონლის გაგზავნისა და ერთმანეთისათვის ნისიად სამსახურის გაწევის დარგში შემდეგი წესით:

ა) კრედიტორები ვალდებული არიან ხუთი დღის ვადაში აცნობონ ბანკს, სადაც აქვთ მათ საკონტოკორენტო ანგარიშები, და აგრეთვე იმ ბანკს, სადაც არის დებიტორების საკონტოკორენტო ანგარიშები, ასლი მათ მიერ თავიანთ მევალეებისათვის წარდგენილ მოთხოვნილებებისა დავალიანების დაფარვის შესახებ; ასლს დართული უნდა ჰქონდეს ამონაწერი დებიტორების ანგარიშებიდან. თუ მოთხოვნილებები დღემდე არ ყოფილა წარდგენილი, კრედიტორები ვალდებული არიან წარუდგინონ თავიანთ მევალეებს შვიდი დღის ვადაში მოთხოვნილებები და მათი ასლები გადაუგზავნონ ზემოაღნიშნულ ბანკებს. აღნიშნული ვადები გამოანგარიშებული უნდა იქნეს ამ დადგენილების სამოქმედოთ შემოღების დღიდან.

ბ) მევალეებმა პასუხი მათთვის კრედიტორების მიერ წარდგენილ მოთხოვნილებებზე უნდა წარადგინონ არა უგვიანეს 1930 წლის 5 აგვისტოსი, თუ მოთხოვნილებები წარდგენილი იყო ამ დადგენილების სამოქმედოთ შემოღებამდე, და არა უგვიანეს 15 აგვისტოსი, თუ მოთხოვნილებები წარდგენილია ამ დადგენილების სამოქმედოთ შემოღების შემდეგ. პასუხი მევალეებმა უნდა გაუგზავნონ კრედიტორებს, ასლი—ბანკს, სადაც არის დებიტორის საკონტოკორენტო ანგარიში და აგრეთვე იმ ბანკს, სადაც არის კრედიტორის საკონტოკორენტო ანგარიში. დებიტორების პასუხში სიზუსტით აღნიშნული უნდა იყოს თუ რა თანხა მიაჩნიათ მათ სადაოთ წაყენებულ მოთხოვნილებიდან.

გ) თუ ბანკი, სადაც არის დებიტორის საკონტოკორენტო ანგარიში, არ მიიღებს 12 აგვისტომდე დებიტორების პასუხს ამ დადგენილების სამოქმედოთ შემოღებამდე წარდგენილ მოთხოვნილებებზე და 22 აგვისტომდე—პასუხს იმ მოთხოვნილებებზე, რომლებიც წარდგენილი იქნა მისი სამოქმედოთ შემოღების შემდეგ, ბანკი ფარავს უდაო დავალიანებას სათანადო თანხების გადარიცხვით მევალეს ანგარიშიდან კრედიტორის ანგარიშზე მევალეს ლიმიტის ფარგლებში.

დ) დავას დავალიანების შესახებ სწყვეტენ საარბიტრაჟო კომისიები. სარჩელი კრედიტორებს უნდა წარედგინოთ ხუთი დღის ვადაში მევალის პასუხის მიღების შემდეგ. საარბიტრაჟო კომისიები მოვალენი არიან საქმეები ამ დავათა გამო გადასწყვიტონ 10 დღის ვადაში სარჩელის წარდგენის დღიდან, ხოლო იმ საქმეების გამო, რომლების განსაჩივრებაც დასაშვებია მიიღონ დადგენილება გადაწყვეტილების წინასწარ შესრულების შესახებ.

ე) თუ კრედიტორი არ წარუდგენს მევალეს მოთხოვნას ვალის დაფარვის შესახებ 7 დღის განმავლობაში ამ დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან ან არ შეიტანს სარჩელს ხუთი დღის ვადაში მევალის პასუხის მიღების დღიდან, კრედიტორი ჰკარგავს მევალისათვის სარჩელის წარდგენის უფლებას. თუ მევალე თავის პასუხს არ წარადგენს „ბ" პუნქტში აღნიშნულ ვადებში, იგი ჰკარგავს კრედიტორის მოთხოვნათა გამო გამოდავების უფლებას.

შენიშვნა: ამ მუხლის „ა" და „ბ" პუნქტებით გათვალისწინებული ვადები დაცულად ჩაითვლება, ამ ვადების გასვლამდე სათანადო დოკუმენტები ფოსტას გადაეცემა საგზავნად.

2. ეს დადგენილება არ ვრცელდება დავალიანების იმ სახეებზე, რომლებსაც სახელმწიფო ბანკი, სათანადო უწყებებთან და ორგანიზაციებთან შეთანხმებით, საკრედიტო რეფორმის გატარების დროს როგორც გამონაკლისი, არ შესცვლის საბანკო კრედიტით.

3. სახელმწიფო ბანკს წინადადება ეძლევა—ორი დღის განმავლობაში გაავრცელოს ამ დადგენილებით გათვალისწინებული ვადები იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი მხარე (კრედიტორი ან მევალე) იმყოფება საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ შორეულ ადგილას.

4. ეს დადგენილება ძალაში შედის დეპეშით.

საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე რიკოვი.

მოსკოვი გადმოცემულია ტელეგრაფით

ნახიჩევანის ს. ს. რესპუბლიკის 10 წლისთავი

მისალმებები ნახიჩევნის მშრომელთ

ა.-კ. ცაკისაგან

ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმი ამიერ-კავკ. ს.ფ.ს.რ.-ის მშრომელთა სახელით მხურვალე სალამს უძღვნის ნახიჩევანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მოძმე მშრომელ მასებს ნახიჩევანის ს.ს.რ.-ის დაარსების დღიდან ათი წლის შესრულების გამო. ათი წლის განუწყვეტელი ბრძოლით სოციალისტური მშენებლობისათვის ნახიჩევანის ს.ს.რ.-ის მშრომელებმა უდიდეს წარმატებას მიაღწიეს და ეს წარმატება გზას უხსნის უფრო ფართო პერსპექტივებს შემდგომი სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობისათვის. ამ.-კავკ. ს.ფ.ს.რ.-ის ცაკის პრეზიდიუმი დარწმუნებულია, რომ ნახიჩევანის ს.ს.რ. შემდეგში წარმატებით გადაჭრის მეურნეობის, ყოფა-ცხოვრებისა და სოციალ-კულტურული მშენებლობის რეკონსტრუქციის მის წინაშე დასახულ უდიდეს და უძნელეს ამოცანებს.

გაუმარჯოს ნახიჩევანის ს.ს.რ.-ს—სოციალიზმის მშენებელ ქვეყანას!

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე: ს. კასიანი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. იაკუბოვი.

ა.-კ. სახკომსაბჭოსაგან

ნახიჩევანის რესპუბლიკის დაარსების ათი წლის თავის გამო, ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ელიავამ ნახიჩევანის ს.ს.რ. ცაკის და სახკომსაბჭოს სახელზე გაგზავნა შემდეგი დეპეშა:

„ამიერ-კავკ. ს.ფ.ს.რ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ძმურ სალამს უგზავნის ნახიჩევანის ს.ს.რ. მშრომელებს ნახიჩევანის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის დაარსების ათი წლისთავის გამო.

ნახ. ს.ს. რესპუბლიკას უტყუარი მიღწევები აქვს როგორც ეკონომიურ, ისე კულტურულ ფრონტზე, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. საჭიროა ნახიჩევანის ს.ს. რესპუბლიკის საუკუნოებით ჩამორჩენილი და დაჩაგრული მშრომელი მოსახლეობის მთელი სახალხო მეურნეობის გარდაქმნის საქმეში რაც შეიძლება მალე გაუთანასწორდეთ დიდი საბჭოთა კავშირის სხვა ნაწილებს.

სახალხო კომისართა საბჭო სრულ რწმენას გამოსთქვამს, რომ ნახიჩევანის სს. რესპუბლიკის მშრომელნი, მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების დახმარებით და საკ. კ.პ. (ბ) ხელმძღვანელობით მომავალშიაც წარმატებით დასძლევენ ახალ უდიდეს ამოცანებს მთელი სახალხო მეურნეობისა და ნახიჩევანის ს.ს. რესპუბლიკაში ყოველგვარი ურთიერთობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში.

გაუმარჯოს ნახიჩევანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკას!

ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე — ელიავა.

რამდენი სტუდენტი იქნება მიღებული

ა.-კ. უმაღლეს სასწავლებლებში

მოსკოვი, 27 ივლისი. ამჟამად გადამწყვეტისამ ამხ. შმიდტის თავმჯდომარეობით დამტკიცა ამიერ-კავკასიის უმაღლეს სასწავლებლებში მიღების კონტინგენტები 1930-31 წლისათვის.

სულ ამიერ-კავკასიის უმაღლეს სასწავლებლებში მიღებული იქნება 3.900 კაცი. აქედან: ინდუსტრიალურ უმაღლეს სასწავლებლებში — 1.320, ეკონომიურ — 310, სასოფლო-სამეურნეო — 900, პედაგოგიურ —800, საექიმო — 420 და სხვ. 150 კაცი.

ამიერ-კავკასიის ტეხნიკუმებში 1930-31წ. მიღებული იქნება 12.960 კაცი (ადს).

საფრანგეთ-იტალიის მოლაპარაკება

რომი, 28 ივლისი. ავტორიტეტულ წყაროებიდან მიღებულ ცნობებით. საფრანგეთ-იტალიის მოლაპარაკება მეტად ნელის ტემპით მიდის და ჯერ კიდევ ტეხნიკური მომზადების სტადიაში იმყოფება. ამჟამად სწარმოებს მხოლოდ სამხედრო ექსპერტების პირველი თათბირები საზღვაო და ხმელეთის შეიარაღების სადაო საკითხების განსახილველად. (ადს)

„დეილი უორკერ"-ის დასაცავად

ლონდონი, 27 ივლისი. ტრაფალგარის მოედანზე გაიმართა მძლავრი საპროტესტო დემონსტრაცია „მუშათა" მთავრობის მიერ კომუნისტური ორგანოს „დეილი უორკერ"-ის დევნის წინააღმდეგ. დემონსტრანტები მოითხოვდნენ „დეილი უორკერ"-ის დაპატიმრებული თანამშრომლების განთავისუფლებას. (ადს).

შაქრის მრეწველობის ამოცანები

შაქრის ქარხანა გორის ოლქში მზად იქნება 1932 წელს და დღე-ღამეში გადაამუშავებს 10.000 ცენტნერ ჭარხალს

მოსკოვი, 28 ივლისი. „სოიუზსახარ"-ს თავის საკონტროლო ციფრებში 1930-31 წლისათვის გათვალისწინებული აქვს ჭარხლის თესვის გაფართოება ახალ რაიონებში. ამ ახალ რაიონებს შორის „სოიუზსახარ" განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საქართველოს, რომელიც მომავალში უნდა გადაიქცეს შაქრის მრეწველობის ბაზად ამიერ-კავკასიაში. „სოიუზსახარ"-ის ამ განზრახვამ თავისი დადასტურება ჰპოვა შაქრის მრეწველობის საცდელ-საგამომკვლევო ინსტიტუტის უკანასკნელ დასკვნებში, რომლებიც საბოლოოდ ადასტურებენ საქართველოში ჭარხლის თესვის შესაძლებლობას. 1931 წ. პირველად ჩატარდება პირველი ცდები ამ მიმართულებით. „სოიუზსახარს" განზრახული აქვს მომავალ წელს საქართველოში დასთესოს 1.000 ჰექტარი ჭარხალი იმ მიზნით, რომ ჭარხალი გავრცელებული იქნეს გლეხთა მეურნეობაში და გლეხებმა ისწავლონ ჭარხლის მოვლა. ჭარხლის დამთესი მიეცემა თესლი, მიწის სასუქი და სხვ. და მათ გაუწევენ ფართო აგრონომიულ დახმარებას. ჭარხლის მთელ ნათესებზე გავრცელდება კონტრაქტაცია. ჭარხლის ნათესები განთავისუფლებული იქნება სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან. განზრახულია შაქრის ქარხნის მშენებლობის დაჩქარება გორის ოლქში იმ ანგარიშით, რომ ქარხანა მზად იყოს 1932 წლისათვის, როცა ჭარხლის თესვა საქართველოში მიიღებს ფართო სამრეწველო ხასიათს. ამ დღეებში საბჭოთა კავშირის ვაჭრობის კომისარიატმა საბოლოოდ განსაზღვრა საქართველოს შაქრის ქარხნის სიმძლავრე. ქარხანა დღე-ღამეში გადაამუშავებს 10.000 ცენტნერ ჭარხალს. ქარხნის მოწყობილობა უკვე დაკვეთილია. ქარხანასთან მოეწყობა სამანქანო-სატრაქტორო სადგური ჭარხლის მთესველ-გლეხების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ელექტრო-სადგური ახლო-მდებარე სოფლების ელექტროფიკაციისათვის.

დაწინაურებულთა საკავშირო შეკრება

მოსკოვი, 28 ივლისი. გაიხსნა საბჭოთა აპარატში დაწინაურებული მუშების პირველი საკავშირო შეკრება.

ნიადაგმცოდნეთა კონგრესის დელეგატები

მოსკოვში

მოსკოვი, 28 ივლისი. ლენინგრადიდან ჩასული ნიადაგმცოდნეობის მეორე საერთაშორისო კონგრესის დელეგატები უკვე ჩამოვიდნენ მოსკოვში.

კონგრესს მოსკოვის სახელით მიესალმა ამხ. ლოგინოვი. საპასუხო სიტყვით გამოვიდა პროფესორი ხისინკი, რომელმაც მთელი კონგრესის სახელით მადლობა გამოუცხადა საბჭოთა მთავრობას გულმხურვალე მიღებისათვის.

სხდომის შემდეგ დელეგატები დაათვალიერებენ კრემლს (ადს).

რაიონული გაზეთები

მოსკოვი, 27 ივლისი. ოლქების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, საკ. კ.პ. (ბ) ცეკას კულტურულ-საპროპაგანდო განყოფილების ბეჭდვითი სიტყვის სექტორი ამუშავებს საოლქო, სამხარეო და რაიონული გაზეთების ქსელის საკითხს. გაუქმებულ საოლქო გაზეთების მაგიერ განზრახულია რაიონული გაზეთების (800-დე) ფართო ქსელის შექმნა. თუ ოლქის ან მხარის ცენტრში რჩება საერთო პოლიტ. საკოლმეურნეო (გლეხური) კომკავშირული და პიონერთა გაზეთი, რაიონში, როგორც წესი, იქნება ერთი გაზეთი.

ამასთან ერთად სწარმოებს დიდი მუშაობა პოლიგრაფიული წარმოების საშუალებათა მობილიზაციისათვის. (ადს).

„ხუთწლიანი გეგმა—ოთხ წელიწადში"

სახელმწიფო სესხების ხელისშემწყობი კომისიების მუშაობის შემოწმება

მოსკოვი, 28 ივლისი. საკავშირო პროფსაბჭომ წინადადება მისცა ყველა პროფორგანიზაციებს—დაუყოვნებლივ შეამოწმონ საოლქო საქარხნო-საფაბრიკო სესხების ხელისშემწყობი კომისიების მუშაობა. პროფესიონალურ პრესაში გაძლიერებულ უნდა იქნას პროფ-კავშირთა წევრებს შორის რეალიზაციის მსვლელობის გაშუქება.

საკავშირო პროფსაბჭომ და ფინანსთა სახ. კომისარიატმა დაადგინეს დააჯილდოვონ წარმოებანი და საბჭოთა მეურნეობანი რეალიზაციის სწრაფად ჩატარებისათვის იმ პირობით, თუ რეალიზაციის დროს მთლიანად დაცული იქნება ნებაყოფლობის პრინციპი. ჯილდოდ წესდება საკ. პროფსაბჭოს და ფინსახკომის ერთი „ინდუსტრიალიზაციის გარდამავალი დროშა" და ხუთი პრემია, თითო 20.000 მანეთის რაოდენობით (ადს).

ახალი სესხის რეალიზაცია და შემნახველი სალაროები

15 ივლისს დაიწყო კამპანია ახალი სესხის რეალიზაციისათვის და ინდუსტრიალიზაციის პირველი და მეორე სესხის და გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციების გადასაცვლელად ახალი სესხის ობლიგაციებზე.

ჩვენი უკანასკნელი დიდი სესხები დანიშნული იყო სამეურნეო მშენებლობისათვის. ამ ლოზუნგით ვრცელდებოდა მშრომელთა უფართოეს მასებში ინდუსტრიალიზაციის სესხეი, რომლებიც უმთავრესად ქალაქის მშრომელ მოსახლეობაში გასაღდა. ასეთივე ლოზუნგით გასაღდა გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი და ჩატარდა სოფლის მოსახლეობის თავისუფალი საშუალების მიზიდვა სამეურნეო მშენებლობაში.

ის მიღწევები სამეურნეო მშენებლობის ფრონტზე, რომელზედაც ბევრი ითქვა XVI პარტყრილობაზე უმთავრესად იმ დახმარების შედეგს წარმოადგენენ, რომლებიც მშრომელმა მასებმა აღმოუჩინეს პროლეტარულ სახელმწიფოს თავისი მონაწილეობით სახელმწიფო სესხების რეალიზაციაში.

საბჭოთა კავშირის შემდგომი სამეურნეო ზრდა, რომელსაც ამავე დროს თან სდევს მშრომელი მასების კეთილდღეობის გაუმჯობესება, ხელსაყრელ პირობებს ქმნის მშრომელთა შორის ახალი სესხის რეალიზაციისათვის.

მაგრამ მშრომელთა დანაზოგი თანხების შეკრება, მათი თავმოყრა ახლად გამოშვებული საშუალებით, შესაძლებელია მხოლოდ მთელი საფინანსო აპარატის მჭიდრო, შეთანხმებული და ინტენსიური მუშაობით და სახელმწიფო სესხებისა და საშემნახველო საქმის ხელისშემწყობი კომისიების გარშემო დარაზმული მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის აქტიური დახმარებით.

ამჟამად ჩვენმა სახელმწიფო სესხებმა საკმაოდ ფართო გავრცელება ჰპოვა ქალაქის მუშებში. ქალაქის დარაზმული პროლეტარიატის დაახლოვებით 90 პროცენტი უკვე არის ჩვენი სახელმწიფო სესხების მონაწილე. ახალი სესხი რეალიზაციის მიმდინარე კამპანიის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დარაზმული პროლეტარიატის მთელი ასი პროცენტი გავხადოთ ამ სესხის რეალიზაციის მონაწილე.

გაცილებით მეტი სიძნელეები მოგველის სოფლად სესხის რეალიზაციის დროს. დღემდე სესხების რეალიზაციაში ჩაბმულია სოფლის მეურნეთა 40 პროცენტი.

კოლექტივიზაციის პროცესმა ხელსაყრელი პირობები შექმნა სესხების რეალიზაციისათვის სოფლად. ამასთან ერთად კოლექტივიზაცია ნიადაგს ქმნის აგრეთვე სესხის რეალიზაციისათვის სოფლის მოსახლეობის შეუკავშირებელ ნაწილში. ახალი სესხის რეალიზაციის კამპანიის დროს შემნახველი სალაროები გამოდიან გაცილებით უფრო დამოუკიდებელ როლში, შედარებით მათ ფაქტიურ მონაწილეობასთან წინანდელი სესხების რეალიზაციაში. შემნახველი სალაროების სისტემის როლი საფინანსო ფრონტის ამ მნიშვნელოვან ნაწილზე ადიდებს თვითეული საორგანიზაციო ერთეულისა და თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობას ახალი სესხის რეალიზაციის საქმეში. მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშონ შემნახველმა სალაროებმა სესხის რეალიზაციაში ეგრედ წოდებულ მიწერილი სალაროების სახით, რომელთაც ეკისრებათ საპასუხისმგებლო ამოცანა ხელის მოწერის ჩატარებისა სამრეწველო საწარმოებში და დაწესებულებებში.

ახალი სესხის რეალიზაციასთან ერთად სწარმოებს ობლიგაციების გადაცვლა. ობლიგაციების გადაცვლა მიზნად ისახავს სახელმწიფო სესხების საქმის მმართველ ტექნიკის მოწესრიგებას.

ობლიგაციების გადაცვლის დროს მიღებული იქნება ზომები იმისათვის, რომ ობლიგაციების პატრონებს მიეცეს ჯერ მოუკითხავი ის 45 მილიონი მანეთი, რომელიც მათ ეკუთვნით პროცენტებისა და მოგებათა სახით. ეს ღონისძიება თვალსაჩინოთ დაარწმუნებს მოსახლეობას, რომ ჩვენი სახელმწიფო სესხები სახელმწიფოს დახმარებასაც წარმოადგენენ და მშრომელთათვის შემოსავლიან საქმესაც.

ახალი სესხის წარმატებით რეალიზაცია და ობლიგაციების გადაცვლის ოპერაციების წარმატებით ჩატარება ბევრად არის დამოკიდებული საკრედიტო აპარატის და ხელისშემწყობი კომისიების შეთანხმებულ და აქტიურ მუშაობაზე.

განვლილმა პერიოდმა დაამტკიცა სოციალისტურ შეჯიბრების და დამკვრელობის უდიდესი როლი სახელმწიფო კრედიტის ფრონტზე. ახალი სესხის რეალიზაცია ჩვენ უნდა ვაწარმოოთ შეიარაღებულებმა ამ ნაცადი მეთოდებით.

ტ. ნ—ძე.

როგორ მიმდინარეობს ახალი სესხის რეალიზაცია

2 მილიონი მანეთის ობლიგაციის რეალიზაცია

ბაქო, 27 ივლისი. ხელის მოწერის კამპანია სესხზე „ხუთწლედი—ოთხ წელიწადში" წარმატებით მიდის. არასრული ცნობებით კამპანიის 10 დღის განმავლობაში ბაქოს სამრეწველო რაიონში ხელის მოწერის საერთო თანხამ ორ მილიონ მანეთს მიაღწია. ამხ. შმიდტის სახელობის ფაბრიკაში ხელის მოწერის თანხამ 25 ათას მანეთს მიაღწია, ლენინის სახელობის ფაბრიკაში—20 ათას მანეთს, მონტინის სახელობის ქარხანაში—12 ათას მანეთს. უკანასკნელ დღეებში ნავთის სარეწაოებიც მჭიდრო შეუდგნენ ხელის მოწერის საქმეს. ქალაქის რაიონმა მოაწერა 1 მილ. მანეთზე, ლენინის რაიონმა—250 ათასზე, საქარხნო რაიონმა—200 ათასზე, სადგურის გადაღმა რაიონმა—150 ათასზე და სხვ. (ადს).

საკონტროლო ციფრებს გადააჭარბებენ

ბათუმი, 27 ივლისი. საკონტროლო ციფრებით აჭარისტანში სესხი „ხუთწლედი—4 წელიწადში" უნდა გასაღდეს 681.000 მანეთის რაოდენობით. კამპანია წარმატებით იშლება (ადს).

რეალიზაცია წარმატებით მიმდინარეობს

საქ. ფინანსთა სახ. კომისარიატის ცნობით ახალი სესხის რეალიზაცია თბილისში დიდი წარმატებით მიმდინარეობს. რეალიზაციის კამპანიის პირველ 5-7 დღის განმავლობაში ხელის მოწერამ სესხზე 1,5 მილიონს გადააჭარბა. რეალიზაცია პროვინციალურ ქალაქებშიაც დაიწყო. სოფლებში მოსამზადებელი კამპანია ფართოდ მიმდინარეობს.

მოსავლის აკრეფის კამპანიის დეფექტები

ამიერ-კავკასიაში

ამიერ-კავკასიის მიწსახკომმა ხელმძღვანელ ორგანოებს წარუდგინა მოხსენება მოსავლის აკრეფის კამპანიის მიმდინარეობის შესახებ ამიერ-კავკასიაში, რომელშიაც აღნიშნულია მთელი რიგი დეფექტები ამ დარგში.

უპირველეს ყოვლისა ადგილებზე საგრძნობია სამკელი მანქანების ნაკლებობა, რომელთა დიდი ნაწილი უკვე დაძველებული და გაცვეთილია. იგივე მდგომარეობაა ძნების საკრავი მანქანების მხრივ. ახალი სისტემის სამკელი მანქანების მიღებას მეტად დააგვიანდა. ამას გარდა ეს მანქანები („ახალი იდეალი") მეტად ცუდი ხარისხის აღმოჩნდა: მისი ცალკე ნაწილები ფუჭდება მუშაობის დაწყებისთანავე.

რაც შეეხება თავის დროზე შეკვეთილ ძნების საკრავ მანქანებს, ისინი მიღებული იქნა დაგვიანებით და უბორბლოთ, რაც მეტად აფერხებდა მუშაობას.

სამკელი მანქანების სათადარიგო ნაწილები მიღებულია არა საკმაო რაოდენობით; ამასთანავე ყველა სათადარიგო ნაწილები გამოგზავნილია რატომღაც მხოლოდ მარჯვენივ მჭრელ მანქანებისათვის მაშინ, როდესაც ამიერ-კავკასიაში ბლომად მოიპოვება მარცხნივ მჭრელი მანქანებიც. ძნების საკრავ მანქანების ზოგიერთი სათადარიგო ნაწილები, რომლებიც თავის დროზე იქნა შეკვეთილი მიღებული იქნება 30 აგვისტოსათვის, ე. ი. როდესაც მოსავლის აკრეფის კამპანია უკვე დათავრებული უნდა იქნეს.

ადგილებზე მომზადებული არ ყოფილა ძნების საკრავ მანქანებზე მომუშავე მექანიკოსების და მუშების საჭირო კადრი, რის გამო ადგილი აქვს მანქანების დაზიანების მეტად მაღალ პროცენტს და მათ სუსტ ნაყოფიერებას.

რაც შეეხება მოსავლის გალეწვას, მოხსენება აღნიშნავს, რომ ადგილებზე საგრძნობია სალეწი მანქანების ნაკლებობა და [illegible] მანქანების მომარაგების დაგვიანება. ახალი მანქანები მიღებული იქნება აგვისტოს ბოლო რიცხვებისათვის, როდესაც ლეწვა უმეტეს რაიონებში უკვე დამთავრდება. ცუდ გავლენას ახდენს მუშაობაზე სალეწი მანქანების სისტემის სიჭრელე (მუშაობს 6 სხვადასხვა სისტემის სალეწი მანქანები), რაც აძნელებს მათ მომარაგებას სათადარიგო ნაწილებით და შეკეთებას, დაზიანების შემთხვევაში.

ადგილობრივი ორგანიზაციები უმეტეს შემთხვევაში არ არიან დაინტერესებული მოსავლის აკრეფის კამპანიით და მონაწილეობას არ იღებენ მასში.

ბაქოს ორგანიზაცია ბოლშევიკურად შეასრულებს მე-16 ყრილობის გადაწყვეტილებებს

ბაქოს პარტიული აქტივის კრება

ამხ. ჩაპლინის მოხსენება

ბაქო, 28 ივლისი. 26 ივლისს საღამოს თურქული კულტურის სახლში შესდგა ა. კ. პ. (ბ) ბაქოს აქტივის კრება, რომელზედაც განხილული იქნა მე-16 პარტყრილობის შედეგები.

მე-16 ყრილობის მუშაობისა და გადაწყვეტილებების შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა საკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ჩაპლინმა; მოხსენება გაგრძელდა სამი საათი.

ამხ. ჩაპლინმა დაახასიათა ის ანალიზი, რომელიც გაუკეთა ყრილობამ კაპიტალიზმის მდგომარეობას და რევოლუციონური მოძრაობის წინაშე დასმულ ამოცანებს, შეჩერდა ყრილობის გადაწყვეტილებებზე, რომლებიც გაუსაზღვრავენ სოციალისტური მშენებლობის გზებს და მკაცრი კრიტიკის ქარცეცხლში გატარა მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნისტების შეხედულებები.

თავისი მოხსენების თვალსაჩინო ნაწილი ამხ. ჩაპლინმა უძღვნა იმ ამოცანებს ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციის და საბჭოთა აპარატის გაუმჯობესების დარგში, რომლებიც დასვა ყრილობამ მთელი პარტიის წინაშე. შემდეგ იგი შეჩერდა ამიერ-კავკასიის და აზერბეიჯანის ორგანიზაციების მიერ ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების გზებზე.

ამხ. ჩაპლინმა მოითხოვა ბაქოს აქტივისაგან შეკავშირებული მუშაობა და ბოლშევიკური ტემპები მე-16 ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. მქუხარე ტაში საუკეთესო პასუხი იყო მოწოდებაზე სოციალისტური შეტევის გაშლისა და დაჩქარებული მუშაობისაკენ.

თავის მოხსენებაში ამხ. ჩაპლინმა აცნობა აქტივს, რომ საკ. კ.პ. (ბ) ცეკამ დაადგინა განათავისუფლოს აზერბეიჯანის ორგანიზაციაში მუშაობისაგან ა.კ.პ. (ბ) ცეკას მდივანი ამხ. გიკალო და ცეკას წევრები ამხ.: ბაგიროვი, მამედოვი, ამასი, გოლდბაუმი, ალიხანოვი და სტოლიაროვი. საკ. კ.პ. (ბ) ცეკას ურჩევს აზერბეიჯანის ორგანიზაციას ა.კ.პ. (ბ) ცეკას მდივნებათ ამხ. პოლონსკის და მუსტაფა ნარიმანოვის. საკ. კ.პ. (ბ) ცეკა ურჩევს აზერბეიჯანის ორგანიზაციას ამხ. პოლონსკი არჩეულ იქნეს პირველ მდივნად.

ამხ. პოლონსკი—პარტიის წევრია 1912 წლიდან, ამჟამად საკ. კ.პ. (ბ) ცეკას კანდიდატია. პარტია მას იცნობს განსაკუთრებით მოსკოვის კომიტეტის მდივნათ მუშაობით და უკანასკნელი წლის განმავლობაში (1929 წლის შემოდგომიდან) საკავშირო პროფსაბჭოს მდივნის თანამდებობაზე მუშაობით.

ამხ. ნარიმანოვს აზერბეიჯანის ორგანიზაცია იცნობს მისი წინანდელი მუშაობით ბაქოში. ა.კ.პ. (ბ) ცეკას მესამე მდივნად რჩება ამხ. მუსეინ რახმანოვი.

რეზოლიუცია ამხ. ჩაპლინის მოხსენების გამო

ბაქოს პარტორგანიზაციის აქტივის კრებამ მოისმინა და განიხილა ამხ. ჩაპლინის მოხსენება საკ. კ.პ. (ბ) მე-16 ყრილობის შედეგების შესახებ. კრება მთლიანად და სავსებით იწონებს ყრილობის გადაწყვეტილებებს და მოუწოდებს მთელ პარტორგანიზაციას მტკიცედ, შეურყევლად და სწრაფად გაატაროს ცხოვრებაში ეს გადაწყვეტილებები. მე-16 ყრილობამ ნამდვილი ლენინური ანალიზი გაუკეთა სოციალიზმის მშენებლობას საბჭოთა კავშირში იმ დროის განმავლობაში, რომელიც გავიდა მე-15 ყრილობიდან, საერთაშორისო იმპერიალიზმის განვითარებას და რევოლუციონური ალტყინების ზრდას. მთლიანად და სავსებით გამართლდა გათვალისწინება კაპიტალისტური სტაბილიზაციის ეხლანდელი დაშლისა თანდათან გაძლიერებულ საერთაშორისო სამეურნეო კრიზისის საფუძველზე,—კრიზისის, რომელიც ზოგიერთ ქვეყნებში პოლიტიკურ კრიზისად გადაიქცა; ეს წინასწარ გათვალისწინებული იყო მე-15 ყრილობის, კომინტერნის მეექვსე კონგრესის და კომინტერნის აღმასკომის ყველა შემდგომი პლენუმების მიერ წინააღმდეგ „მოწესრიგებული კაპიტალიზმის" მემარჯვენე ოპორტუნისტულ თეორეტიკოსებისა.

საერთაშორისო ეკონომიური კრიზისი უკიდურესობამდე ამწვავებს წინააღმდეგობებს კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, გამარჯვებულ და დამარცხებულ ქვეყნებს შორის მეტროპოლიასა და კოლონიებს შორის.ამ თანდათან გამწვავებულ ბრძოლას მსოფლიოს ხელახლა გასაყოფად, რომელიც სწარმოებს კაპიტალისტურ მტაცებლებს შორის, აუცილებლად მიგყავართ ახალ იმპერიალისტური ომების მომზადებისაკენ, ამავე დროს მწვავდება წინააღმდეგობანი დაღუპვისაკენ მიმავალ კაპიტალისტურ მსოფლიოსა და საბჭოთა კავშირს შორის.

კრება ესალმება ყრილობის გადაწყვეტილებას, რომლითაც მან მოიწონა მშვიდობიანობის პოლიტიკა, რომელსაც საბჭოთა მთავრობა აწარმოებს და ამავე დროს აღნიშნა ჩვენი წითელი არმიის და ფლოტის ყოველმხრივ განმტკიცების აუცილებლობა საშიშრო მომენტში გადამწყვეტი წინააღმდეგობის გასაწევად კაპიტალისტური სახელმწიფოების საბჭოთა კავშირზე შეიარაღებული თავდასხმის ყოველგვარი ცდებისათვის.

მემარჯვენე ოპორტუნიზმთან და „მემარცხენე" სექტანტობასთან ბრძოლაში, შეურიგებელი ბრძოლით სოციალ-ფაშიზმის წინააღმდეგ კომუნისტურმა ინტერნაციონალმა, რომელიც სწმენდდა და ამაგრებდა თავის რიგებს, დიდ შედეგებს მიაღწია; ის ლენინურ ხაზის საფუძველზე რაზმავდა მუშათა კლასის ძალებს მომავალ და ახალ გადამწყვეტ ბრძოლებისათვის ძალა-უფლებისა და პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის მთელ მსოფლიოში.

კრება სთვლის, რომ ყრილობამ სწორად გაუსვა ხაზი ნაკლოვანებებს ჩვენი მოძმე კომპარტიების მუშაობაში და წამოაყენა მათ წინაშე ამოცანა—დაიპყრონ მუშათა კლასის უმრავლესობა და გადაჭრით განამტკიცონ ორგანიზაციულად კომინტერნის გაძლიერებული იდეურ-პოლიტიკური გავლენა კაპიტალისტური ქვეყნების ფართო პროლეტარულ მასებში. მხოლოდ ამ ამოცანის შესრულებას შეუძლია უზრუნველყოს კომინტერნის და მისი სექციების ბრძოლის უნარიანობა საერთაშორისო მუშათა კლასის მოახლოებულ გადამწყვეტ ბრძოლებში პროლეტარული დიქტატურისათვის. მე-15 პარტყრილობის შემდეგ განვლილ 2 ნახევარი წლის განმავლობაში ჩვენმა პარტიამ, ლენინური ცეკას გამოცდილი მტკიცე ხელმძღვანელობით მიაღწია უდიდეს შედეგებს თავისი გენერალური ხაზის განხორციელების და ჩვენი ქვეყნის აგრარულ ქვეყნიდან ინდუსტრიალურ ქვეყნად გადაქცევის საქმეში. სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით შესრულებამ სავსებით შესაძლებელი გახადა ხუთწლიანი გეგმის შესრულება ოთხ წელიწადში, მრეწველობის ცალკე დარგებში კი—კიდევ უფრო მოკლე დროის განმავლობაშიც (ნავთის მრეწველობაში 2 ნახევარ წელში). პარტიის სწორმა პოლიტიკამ რომელსაც მხარს უჭერს მუშათა კლასის შრომითი ენტუზიაზმი, უკუაგდო ჩვენი კლასობრივი მტრების და პარტიაში მათი აგენტურის—მემარჯვენე ოპორტუნისტების ყველა წინასწარმეტყველებანი იმის შესახებ, რომ ჩვენ ვერ დავსძლევდით ჩვენ მიერ აღებულ ინდუსტრიალიზაციის ტემპებს. სოციალისტური ინდუსტრიის წარმატების, სახალხო მეურნეობაში მისი ხელმძღვანელი როლის განმტკიცების საფუძველზე და შეურიგებელი დაუნდობელი ბრძოლით ყოველგვარი გადახრების წინააღმდეგ პარტიამ მიაღწია გადამწყვეტ გარდატეხას სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში. სოფლის ძირიანმა მობრუნებამ სოციალიზმისაკენ, მილიონ ღარიბ და საშუალო მეურნეობათა მასიურმა საკოლმეურნეო მოძრაობამ შექმნეს შესაძლებლობა დავმდგარიყავით სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაციის გზაზე და ამ საფუძველზე დაგვეწყო კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია, გააფთრებულ კლასობრივ ბრძოლებში, ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის ნაშთებზე სოციალისტური შეტევის ფართოდ გაშლით პარტიამ და ხელისუფლებამ სოფლად მოიპოვეს ნამდვილი მტკიცე დასაყრდენი კოლმეურნეობათა მასის სახით.

ჩვენი სოფლად მუშაობისათვის ამჟამად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საკოლმეურნეო მოძრაობაში ღარიბ-საშუალო მასების შემდგომ ჩაბმას ნებაყოფლობით საფუძველზე, საშუალო გლეხთან კავშირის განმტკიცებას, არსებულ კოლმეურნეობების გამაგრებას, საბჭოთა მეურნეობების მშენებლობას, კლასობრივ ძალების გაერთიანების მარტივ ფორმების განვითარების საფუძველზე. სოციალისტური სექტორის უდიდეს ზრდას მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში თან სდევდა მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესება და უმუშევრობის შემცირება, ამ ზრდამ შექმნა მტკიცე საფუძველი საბჭოთა კავშირის მშრომელი მასების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ხორბლეულის პრობლემის გადაწყვეტასთან ერთად პარტია მტკიცედ იწყებს მესაქონლეობის აღორძინების და ტექნიკური კულტურების გაფართოების ამოცანის გადაწყვეტას, რომლებიც საჭიროა მსუბუქი ინდუსტრიის გაშლის გაძლიერებისათვის. პარტიის და მუშათა კლასის ყველა ორგანიზაციების მორიგი და მნიშვნელოვანი ამოცანაა—მუშათა მომარაგების საქმის გადაჭრით გაუმჯობესება და მსხვილი ნაკლოვანებების აღმოფხვრა სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობაში.

პარტაქტივის კრება მოუწოდებს მთელ ორგანიზაციას და მშრომელ მასებს შემოქმედებითი აქტივობის მობილიზაციისაკენ სიძნელეთა გადასალახავად სოციალისტური მშენებლობის ტემპების დაჩქარების გზით მე-16 ყრილობის მთავარი ლოზუნგის განსახორციელებლად—კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ მთელ ფრონტზე შეტევის გასაგრძელებლად და ამ შეტევის ბოლომდე—სოციალიზმის გამარჯვებამდე,—მისაყვანად. მუშათა კლასის კულტურულ - პოლიტიკური დონის აწევა, ყველა მუშების, ხოლო მათ შემდეგ ყველა მშრომელთა ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობაში, კადრების პრობლემის გადაჭრა, საყოველთაო დაწყებითი სწავლის დაჩქარებით შემოღება ქალაქად და სოფლად, ყველა მასიური ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნა, დაწყებული პროფკავშირებიდან, სოციალისტური მშენებლობის ტემპებთან შეფარდებით და მათი ნამდვილად მობრუნება პირით წარმოებისაკენ და სამეურნეო მშენებლობის მიმართ სისტემატიური მუდმივი ხელმძღვანელობისაკენ; ბრძოლა სამრეწველო-საფინანსო გეგმისათვის და სამეურნეო ფრონტზე ჩამორჩენათა ლიკვიდაციისათვის, ბიუროკრატიზმის აღმოფხვრა, პარტიის რიგების განმტკიცება, მტკიცე პარტიული ორგანიზაციის შექმნა სოფლად და მისთვის დახმარების გაწევა მოწინავე მუშა კომუნისტების,—პარტიის საუკეთესო კვალიფიციური მუშაკების გაგზავნის საშუალებით—ასეთია უმნიშვნელოვანესი წინასწარი პირობები პარტიის გენერალური ხაზის პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

პარტაქტივის კრება მთლიანად იწონებს ყრილობის გადაწყვეტილებას ოლქების გაუქმებისა და რაიონების გამაგრების შესახებ, როგორც იმ ზომას, რომელიც ხელს უწყობს პარტიის წინაშე სოფლად მდგომი ურთულესი ამოცანების გადაჭრას, პარტაპარატის გაუმჯობესებას, გამარტივებას და გაიაფებას, მშრომელთა მასების მიმართ ხელმძღვანელობის გაძლიერებას და მათთან კავშირის განმტკიცებას და საჭიროდ სთვლის დაუყოვნებლივ დაიწყოს ამ რეფორმის პრაქტიკულად განხორციელება აზერბეიჯანში. პარტიის გადამწყვეტი წარმატებების მიღწევა აზერბეიჯანის ს.ს. რესპუბლიკაში სოციალიზმის მშენებლობის საქმეში შესაძლებელი იყო მხოლოდ შეურიგებელი ბრძოლით ორ ფრონტზე, პირველ რიგში მემარჯვენე ოპორტუნიზმთან, როგორც მთავარ საფრთხესთან და მისდამი შემარიგებლობასთან. ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, ამხ. სტალინის მეთაურობით, პარტიამ გაანადგურა კონტრ-რევოლუციონური ტროცკიზმი და მემარჯვენე ოპოზიცია, რომელიც კულაკურ აგენტურას წარმოადგენს ჩვენი პარტიის რიგებში, თავის დროზე უკუაგდო საშუალო გლეხის საწინააღმდეგო „მემარცხენე" გადახვევები, რომელნიც კულაკს და მემარჯვენე ოპორტუნიზმს უწყობენ ხელს, და მე-16 ყრილობაზე გამოააშკარავა თავისი რიგების ურყევი მთლიანობა და ფოლადისებური შემჭიდროება. აქტივი ესალმება ყრილობის გადაწყვეტილებას მემარჯვენე ოპორტუნისტების შეხედულებათა შეუთავსებლობის შესახებ პარტიის წევრობასთან; ამ გადაწყვეტილებამ საზღვარი უნდა დაუდოს მემარჯვენე ოპორტუნისტების ორ სკამზე ჯდომას.

პარტაქტივის კრება მოითხოვს მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილი ლიდერებისაგან საბოლოოდ გასწყვიტონ კავშირი თავიანთ წარსულთან, მთლიანად შეუერთდნენ პარტიას და მთელ პარტიასთან ერთად მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით იბრძოლონ მემარჯვენე გადახრასთან, იბრძოლონ მე-16 ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

პარტაქტივის კრება კმაყოფილებით აღნიშნავს იმ განსაკუთრებულ ერთსულოვნებას, რომლის ატმოსფერაშიაც მიმდინარეობდა მე-16 ყრილობა. ეს ყრილობა ერთ-ერთია ჩვენი პარტიის იმ არამრავალრიცხოვანი ყრილობებიდან, რომელზედაც არ იყო „ჩამოყალიბებული და მჭიდროდ დარაზმული ოპოზიცია, რომელიც შესძლებდა თავისი განსაკუთრებული ხაზი დაეპირისპირებია პარტიის გენერალური ხაზისათვის" (სტალინი).

პარტაქტივის კრება აღნიშნავს, რომ მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილი ლიდერების მიერ გაკეთებული განცხადებები მათი შეცდომების შესახებ არ არის საკმაოდ დამაკმაყოფილებელი. პარტაქტივი მთლიანად იწონებს ყრილობის მიერ მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილი ლიდერების გამოსვლების გაკრიტიკებას და უერთდება ამ კრიტიკას.

აქტივის კრება მოუწოდებს ორგანიზაციას შემდგომი ბრძოლისაკენ პარტიის გენერალური ხაზის ყოველგვარ გამრუდებებსა და გადახრებთან და ყრილობის დადგენილებების მთელი სიმტკიცითა და თანამიმდევრობით გატარებისაკენ პარტიის იმ წევრების მიმართ, რომელნიც ორ სკამზე ჯდომის პოლიტიკას განაგრძობენ, აგრეთვე იმათ მიმართ, რომელნიც სცდილობენ თავი დაიძვრინონ პასუხისმგებლობის შეცდომების ფორმალურად აღიარებით, საქმით კი ბრძოლას აწარმოებენ პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ. ვიდრე დამლეული არ არის კულაკობის წინააღმდეგობა პარტიის პოლიტიკის მიმართ, ვიდრე საბოლოოდ არ აღმოფხვრილან კაპიტალიზმის ფესვები ჩვენს ქვეყანაში, საჭიროა გადამჭრელი ბრძოლა მემარჯვენე გადახრასთან, როგორც მთავარ საფრთხესთან, რომელიც აფერხებს სოციალიზმის ძლევამოსილ მშენებლობას. ამასთან ერთად, წინანდებურად საჭიროა ბრძოლა ტროცკიზმის ყოველგვარ რეციდივებთან და მემარცხენე გადახვევებთან.

ყრილობა აღნიშნავს მე-16 ყრილობის მიერ ნაციონალური საკითხის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა უდიდეს პრინციპიალურ მნიშვნელობას. პარტიულმა ორგანიზაციამ მთავარი ცეცხლი უნდა მიმართოს დიდმპყრობელური შოვინიზმის წინააღმდეგ, ამავე დროს გადაჭრით იბრძოლოს ადგილობრივ ნაციონალიზმთან, რომელიც ასუსტებს საბჭოთა კავშირის ხალხების მთლიანობას, და შემარიგებელ დამოკიდებულებასთან როგორც ერთი, ისე მეორე ნაციონალისტური გადახრისადმი, მან უნდა გამოააშკარავოს კონტრ - რევოლუციონური ნაციონალისტური პარტიების (მუსავატისტები, დაშნაკები, იტიხადისტები, მენშევიკები) იდეოლოგიის ყოველგვარი გამოხატულება და ნაშთები და შემდეგში ყურადღება მიაპყროს პარტიის ნაციონალური პოლიტიკის ლენინური პრინციპების პრაქტიკულად განხორციელებას, იმ პოლიტიკის, რომელიც მიზნად ისახავს ნაციონალური უთანასწორობის საბოლოოო აღმოფხვრას, მკვიდრ ეროვნებათა მშრომელ მასების აქტიურ სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმას, ნაციონალური კულტურების ფართოდ განვითარებას, ამიერ-კავკასიის ფედერაციის განმტკიცებას, მშრომელთა ინტერნაციონალურ ძმურ შეკავშირებას, პარტიის ხელმძღვანელობას რეკონსტრუქციის პერიოდის ამოცანების მიმართ.

აქტივის კრება მოუწოდებს ორგანიზაციას მთელი ყურადღება მიაპყროს საქმიან მუშაობას პარტიის მე-16 ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის და მოითხოვს ბაქოს ბოლშევიკებისაგან უმოკლეს ვადაში მიაღწიონ ჩამორჩენათა სრულ ლიკვიდაციას ნავთის ამოღებაში.

კრება პარტიისა და მთელი მუშათა კლასის წინაშე დანაშაულად სთვლის ზოგიერთი ამხანაგების ცდებს—ჩამოაშორონ ორგანიზაციის ყურადღება სოციალისტური მშენებლობის დიად ამოცანებს უპრინციპო დაჯგუფებათა და ინტრიგებით, რაც დღემდე კიდევ დაძლეული არ არის ორგანიზაციების მიერ.

კრება უერთდება აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის, ბაქოს კომიტეტის ბიუროს და ა. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომის გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ პარტიის ის წევრები, რომელნიც სცდილობენ ჩამოაშორონ ორგანიზაციის ყურადღება მის საქმიან მუშაობას დაჯგუფებითა და ინტრიგებით, ყოველგვარი ხმების გავრცელებისათვის, რაც ხრწნის პარტიის რიგებს, დაუყოვნებლივ უნდა იქნენ მიცემულნი უსასტიკეს პასუხისგებაში პარტიის ხაზით, რა მაღალი თანამდებობაც არ უნდა ეჭიროთ მათ. ნამდვილი თვითკრიტიკის განვითარება, რკინისებური ბოლშევიკური დისციპლინის განმტკიცება იმის თავდებია, რომ ბაქოს ორგანიზაცია შეასრულებს იმ ბუმბერაზულ ამოცანებს, რომლებსაც პარტია აკისრებს ბაქოს პროლეტარიატს. ბაქოს ორგანიზაცია დარაზმავს მუშათა კლასის ყველა ძალებს სოციალიზმისათვის საბრძოლველად, ლახვარს ჩასცემს პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ყველა მტერს, გადაჭრით გადალახავს ოპორტუნისტულ გადახრებს გენერალური ხაზიდან და შესძლებს შეაკავშიროს ქალაქ ბაქოს მთელი პროლეტარიატი მე-16 ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად და ლენინის დიადი პარტიის პირველ რიგებში გასწევს წინ, ახალი ბრძოლისა და ახალი გამარჯვებებისაკენ (ადს).

XVI ყრილობის ერთ-ერთი შედეგი

თავის პოლიტიკურ ანგარიშში მე-16 ყრილობაზე ამხ. სტალინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ბრძოლის გაძლიერება ნაციონალურ გადახრებთან ჩვენი პარტიის რიგებში. ეს მითითება სრულებითაც არ ატარებდა შემთხვევით ხასიათს. ჩვენი პარტიისათვის, რომელიც ისეთ მრავალეროვან სახელმწიფოში მუშაობს, როგორიც არის საბჭოთა კავშირი, ნაციონალურ საკითხს ჰქონდა და აქვს უდიდესი მნიშვნელობა, როგორც საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის ინტერესების თვალსაზრისით, ისე საერთაშორისო რევოლუციის, განსაკუთრებით კოლონიალური ქვეყნების რევოლუციის, ინტერესების თვალსაზრისით. ტყუილად როდი სვამდა ჩვენი პარტია ამ საკითხს თავის რამდენსამე ყრილობასა და კონფერენციაზე (1917 წლის აპრილის კონფერენცია, მე-8 ყრილობა პროგრამის განხილვის დროს, მე-X და მე-XII ყრილობები).

რა შეიტანა ახალი საბჭოთა კავშირის ნაციონალური საკითხის დასმაში რეკონსტრუქციის პერიოდმა, გაშლილმა სოციალისტურმა შეტევამ მთელ ფრონტზე, მთლიანი კოლექტივიზაციისა და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკის გატარებამ?

კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას ჩვენში და კულაკებისა და ბურჟუაზიული ინტელიგენციის მიერ ჩვენი სოციალისტური მშენებლობისათვის თავგამოდებული წინააღმდეგობის გაწევას არ შეიძლებოდა არ გამოეწვია ანტისაბჭოთა შოვინიზმის გაძლიერება უწინარეს ყოვლისა ექსპლოატატორულ ელემენტებსა და მათ იდეოლოგებს შორის.

განსაზღვრულ მომენტამდე რუსეთის ინტელიგენციის თვალსაჩინო ნაწილი იზიარებდა „სმენავეხ"-ურ იდეოლოგიას და იმედს ამყარებდა საბჭოთა კავშირის გადაგვარებაზე და მთლიანი განუყოფელი რუსეთის აღდგენაზე.

ჩვენმა უკანასკნელი წლების პოლიტიკამ გააცამტვერა „სმენავეხ"-ელთა იდეოლოგია და მის წარმომადგენელთა თვალსაჩინო ნაწილი ანტისაბჭოთა ბანაკში გადაისროლა, ვინაიდან ისინი აშკარად დარწმუნდნენ, რომ ძველ მთლიან რუსეთს—ხალხთა საპყრობილეს—არ აღადგენენ ბოლშევიკები, ხოლო რეკონსტრუქციის პერიოდი მისი აღდგენის ყოველგვარ იმედს ასამარებს.

სწორედ ეს ელემენტები უდგანან სათავეში აქტივიზაციის გზაზე დამდგარ დიდმპყრობელურ შოვინიზმს.

განსაზღვრულ მომენტამდე უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, სომხეთის და სხვ. ინტელიგენციის სოციალისტ. განწყობილ ნაწილს შეეძლო თავი ენუგეშებია იმ იმედით, რომ საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა დამოუკიდებელ რესპუბლიკებად, რომელნიც ბურჟუაზიული დემოკრატიის გზას დაადგებოდნენ. ზოგიერთს ეჩვენებოდა, რომ ბოლშევიკების ნაციონალურ პოლიტიკას აქეთკენ მივყავართ, ეხლა სრული სიცხადით გამოირკვა, რომ რეკონსტრუქციის პერიოდი კი არ ასუსტებს—არამედ ამაგრებს კავშირს საბჭ. რესპუბლიკებს შორის და საბოლოოდ აცლის ნიადაგს კაპიტალისტურ რესტავრაციას არა თუ საბჭოთა კავშირის მასშტაბით, არამედ ცალკე ნაციონალური რესპუბლიკების მასშტაბითაც. არაფერია საკვირველი, რომ ადგილობრივი ნაციონალიზმი აქტივდება და თავგამოდებული ეძებს დახმარებას საბჭოთა საზღვრებს გარედ.

დიდმპყრობელური და ადგილობრივი ნაციონალიზმის აქტივიზაცია საბჭოთა ქვეყანაში ბუნებრივად იწვევს ნაციონალური გადახრების აქტივიზაციას პარტიის შიგნით. ეს გადახრები აფერხებენ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების იმ სწორი პოლიტიკის გატარებას, რომელიც მიმართულია ნაციონალური უთანასწორობის ელემენტების დაძლევისაკენ, საბჭოთა კავშირის ხალხების ერთსულოვანი თანამშრომლობის უზრუნველყოფისაკენ, მათი ნაციონალური კულტურების ფართოდ განვითარებისაკენ, ყველა ეროვნების კაპიტალისტური ელემენტების აღმოფხვრისაკენ და მთელ საბჭოთა ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისაკენ. პარტია მუშათა ახალ კადრებს იძენს ადგილობრივი მოსახლეობიდან. თუ დავაკვირდებით საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის ნაციონალური შემადგენლობის ევოლუციას, უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსების ხვედრითი წონა ამ შემადგენლობაში კლებულობს. ამავე დროს კი, ჩვენი პროფკავშირების, ხოლო ზოგჯერ პარტიული ორგანიზაციების მუშაობაც საკმაოდ არ უწევს ანგარიშს ნაციონალურ განსხვავებას პროლეტარიატში. საჭიროა გადამჭრელი გარდატეხა ამ სფეროში.

ჩვენ შევედით მთლიანი კოლექტივიზაციის და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პერიოდში. ეს ამოცანა სდგას ნაციონალური რაიონებისა და ოლქების წინაშე. მაგრამ ამ ამოცანის განხორციელებას აქ მთელი რიგი უაღრესად სერიოზული სიძნელენი აბრკოლებენ (რაც აღნიშნული იყო ცენტრალური კომიტეტის 5 იანვრის დადგენილებაში). და არა მარტო იმიტომ, რომ ნაციონალური რესპუბლიკების უმრავლესობა ეკონომიურად ჩამორჩენილია, არამედ იმიტომაც, რომ საბჭოთა აპარატი ამ რესპუბლიკების თვალსაჩინო ნაწილში საკმაოდ არ არის დაკავშირებული ადგილობრივ მუშებთან და გლეხებთან, იქ დღემდე ჯერ კიდევ ბევრია რუსი მოხელე-კოლონიზატორი, რომელნიც აფერხებენ ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის მშრომელი მასების ჩაბმას სოციალისტურ მშენებლობაში. კოლონიზატორულ ელემენტებთან ერთად იქ არიან შოვინისტებიც ადგილობრივი ინტელიგენციიდან, რომელნიც დაკავშირებულნი არიან მოლებთან, ბაებთან და ნეპმანებთან, და არა მუშებთან და გლეხებთან.

იმისათვის, რომ ავამოძრაოთ ნაციონალური რესპუბლიკების ღარიბ და საშუალო გლეხთა ნაწილი თავიანთი კულაკის, თავიანთი ბურჟუაზიის და თავიანთი ნაციონალისტური ინტელიგენციის წინააღმდეგ, დაუღალავად უნდა განვავითაროთ მათ შორის ფართო კულტურული და პოლიტიკური მუშაობა მშობლიურ ენაზე, უნდა მოგვეპოვებოდეს ისეთი საბჭოთა და პროფესიონალური აპარატი, რომელსაც უნდა შეეძლოს ამ მუშაობის წარმოება, უნდა მოვამზადოთ და აღვზარდოთ ადგილობრივ მოსახლეობასთან მჭიდროთ დაკავშირებული კომუნისტებისა და საბჭოთა მუშაკების მტკიცე და საიმედო კადრები. ამის შესახებ საკმაოდ იყო ნათქვამი ჩვენი პარტიის მე-X და მე-XII ყრილობების დადგენილებებში.

მაგრამ განსაკუთრებით აქტუალური ეს საკითხი გახდა ეხლა, როდესაც ნაციონალურ რესპუბლიკებში, მათ შორის ყველაზე ჩამორჩენილებშიაც, ფართოდ გაიშალა ძველ ეკონომიურ ურთიერთობათა ძირიანი რღვევა, რაც თავისი წარმატებისათვის მოითხოვს ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის მაქსიმალურ აქტივობას.

ზოგიერთ ჩვენ ნაციონალურ რესპუბლიკაში კი ამ ბოლო დროს თავი იჩინეს თვალსაჩინო დეფექტებმა ნაციონალურ პოლიტიკის გატარებაში. დიდმპყრობელური შოვინიზმის გავლენის ქვეშ მოქცეულ მუშაკთა ლიკვიდატორულ განწყობილებებს საკმაო პასუხი არ ეძლეოდა. ბევრი ამხანაგი „თვითდინებაზე" ამყარებდა იმედს და ფიქრობდა, რომ აპარატში თავისთავად მოექცეოდნენ მკვიდრი ეროვნებანი და კადრები თავისთავად აღიზრდებოდნენ. გასულ წელს აზერბეიჯანის და უზბეკისტანის ცენტრალურ კომიტეტებისა და [illegible] და თათართა ოლქების საოლქო კომიტეტების მოხსენებათა მოსმენის შემდეგ საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა სახელმწიფო აპარატის მკვიდრი ეროვნებებით განმტკიცების საქმეში. ამ აპარატის ზოგიერთ საფეხურზე ადგილობრივ ეროვნებათა პროცენტი არა თუ არ გადიდდა, არამედ შემცირდა კიდეც. კერძოდ, აზერბეიჯანის ძველი პარტიული ხელმძღვანელობა, რომელიც გამოცვლილ იქნა შარშან, სრულიად არასაკმაო მუშაობას ეწეოდა თურქი პროლეტარიატისა და გლეხობის შორის და მეტისმეტად მცირე ყურადღებას აქცევდა თურქთა კადრების აღზრდას.

1923 წელს მეოთხე ნაციონალურ თათბირზე ამხ. სტალინმა აღნიშნა, რომ ნაციონალური პოლიტიკის გატარების საქმეში საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებს შორის უკრაინას ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი ეჭირა. მას შემდეგ უკრაინის პარტიულმა ორგანიზაციამ დიდ შედეგებს მიაღწია ნაციონალური პოლიტიკის გატარებაში. კოლექტივიზაციის, პურის დამზადებისა და თესვის უკანასკნელი კამპანიის წარმატებით ჩატარება ცხადჰყოფენ, თუ რამდენად მჭიდროდ დაუკავშირდა უკრაინის საბჭოთა ხელისუფლება ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობას.

რომ ნაციონალური პოლიტიკის სწორად გატარება აქ უდიდეს როლს თამაშობდა, ყოველ ეჭვს გარეშეა. მაგრამ ჩვენს საბჭოთა აპარატში მოიპოვებიან ისეთი მუშაკები, ზოგჯერ კომუნისტებიც კი, რომელნიც იჩენენ განწყობილებას, რომ უკრაინის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტს უკრაინიზაციის მტკიცედ გატარებისათვის ბრალი დასდონ ნაციონალიზმში მხოლოდ იმიტომ, რომ რუსული ენა ეხლა უკრაინაში ჰკარგავს იმ პრივილეგიურ მდგომარეობას, რომლითაც იგი ცარიზმის დროს სარგებლობდა. სავსებით ცხადია, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს რუსული ნაციონალიზმის პირდაპირ გამოხატულებასთან.

მაგრამ უკრაინაშიაც, სადაც ნაკლები დეფექტები გვაქვს ნაციონალური პოლიტიკის გატარების საქმეში, ვიდრე სხვა რესპუბლიკებში, ანტისაბჭოთა ელემენტები გადახვევების დროს ცალკე შემთხვევებში იყენებდნენ ჩამორჩენილი ფენების ნაციონალისტურ განწყობილებას, რასაც ჰყვებავს კულაკობის და, საერთოდ, კაპიტალისტური ელემენტების გავლენა. მაგრამ თვალსაჩინო წარმატება ასეთ აგიტაციას ჰქონდა აზერბეიჯანში, უზბეკისტანში, კაზაკსტანში და სხვაგან,სადაც ჩვენ საკმაოდ ღრმად ვერ გავავრცელეთ ჩვენი მუშაობა მკვიდრი მოსახლეობის, განსაკუთრებით გლეხობის, მასებში.

მარტო ეს ფაქტი ცხადჰყოფს, თუ რამდენად დროულად მოსცა ამხ. სტალინმა თავის პოლიტიკურ ანგარიშში იმ ელემენტებს, რომელნიც ლიკვიდატორულ განწყობილებას იჩენენ ნაციონალური პოლიტიკის და თვით ნაციონალური რესპუბლიკების არსებობის მიმართ, განწყობილებას, რომ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალ რესპუბლიკებს შორის კავშირის განმტკიცება ახსნან, როგორც ამ რესპუბლიკების ლიკვიდაციის შესავალი, განწყობილებას, რომ საბჭოთა კავშირის ყველა ქვეყნების კულტურათა განვითარება (პროლეტარულ და სოციალისტურ საფუძველზე) შესცვალონ ერთი „ინტერნაციონალური" რუსული კულტურის განვითარებით.

აქ ჩვენ საქმე გვაქვს არა მარტო იმასთან, რომ ქედს იხრიან კონტრ-რევოლუციონური რუსული ნაციონალიზმის წინაშე, რომელსაც სურს უსათუოდ შეინარჩუნოს რუსული ენის პრივილეგიური მდგომარეობა საბჭოთა კავშირში, შეინარჩუნოს ყოფილი განაპირა ოლქების აპარატში ძველი მეფის ჩინოვნიკების კადრები და ამით გაადვილოს მთლიანი განუყოფელი რუსეთის აღდგენა. აქ ჩვენ საქმე გვაქვს იმასთანაც, რომ ხელს უწყობენ ადგილობრივ ნაციონალიზმს, სცდილობენ ბრალი დასდონ საბჭოთა ხელისუფლებას ცარიზმის იმ პოლიტიკის განგრძობაში, რომლის მიზანიც იყო ნაციონალური შუღლის გაღვივება საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის, და საგარეო ინტერვენცია.

საბჭოთა კავშირის წარმატებითი სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის განვითარება და გარდაქმნა სოციალისტურ საფუძვლებზე, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია და მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელება,—ყოველივე ეს მოითხოვს ნაციონალური პოლიტიკის გადამჭრელად გატარებას და საბჭოთა კავშირის ხალხების ნაციონალურ კულტურათა უაღრესად ფართოდ განვითარებას, ვინაიდან მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი, რომ ამ ხალხების მშრომელი მასები ნამდვილად და მთლიანად ჩაებან სოციალისტურ მშენებლობაში.

მოვა დრო, როდესაც მთელ მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ, სახელმწიფოს მოსპობის შემდეგ და მთლიანი კომუნისტური საზოგადოების მსოფლიო მასშტაბით შექმნის შემდეგ, გაქრებიან ნაციონალური განსხვავებანი, სხვადასხვა ხალხების კულტურები გაერთიანდებიან და მსოფლიოს მთელი მოსახლეობა ერთ ენაზე ალაპარაკდება. ერთ-ერთი ეხლანდელი ყველაზე გავრცელებული ენა იქნება ეს, თუ კაცობრიობა რაიმე ახალ ენას გამოიმუშავებს—ამის თქმა ეხლა ძალიან ძნელია. ყოველ შემთხვევაში ეხლანდელი მომენტისათვის ეს აქტუალური საკითხი არ არის.

ეხლანდელი მომენტი გვიკარნახებს ბოლშევიკურ ტემპებს ნაციონალურ პოლიტიკაში, ეს ტემპები უნდა შეეფერებოდნენ ჩვენ მიერ სოციალისტურ მშენებლობაში აღებულ ტემპებს, ვინაიდან უამისოდ შეუძლებელია ნაციონალური რესპუბლიკების მშრომელი მასების მოკლე ხანში და მთლიანად ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობაში.

ნაციონალური პოლიტიკის გატარების ერთ-ერთ ძირითად შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენს შოვინიზმი, — დიდმპყრობელური და ადგილობრივი. დიდმპყრობელური შოვინიზმი ეყრდნობა რუს კულაკობას და ბურჟუაზიული ინტელიგენციის, სპეციალისტებისა და ყოფილი მოხელეების თვალსაჩინო ფენებს. იგი ერთგვარ გამოძახილს პოულობს საშუალო გლეხობის ზოგიერთ ფენაში და ჩამორჩენილ მუშებშიაც კი. მასთან ბრძოლა პირველ რიგში უნდა იდგეს. იგი წარმოადგენს მთავარ საფრთხეს. პარტიის ბრძოლაში ნაციონალური გადახრების წინააღმდეგ. ამ საკითხში მე-XVI ყრილობის გადაწყვეტილებათა რევიზიის ყოველგვარი ცდას პარტია გადაჭრით უკუაგდებს.

ადგილობრივი შოვინიზმი თავის მხრივ ეყრდნობა კულაკურ-კაპიტალისტურ ფენებს ნაციონალურ რესპუბლიკებში; იგი სცდილობს გავლენა მოახდინოს მშრომელ მასებზედაც. მას თვალსაჩინოდ ჰყვებავს და ხელს უწყობს დიდმპყრობელური ნაციონალიზმი. მასთანაც საჭიროა გადამჭრელი ბრძოლა.

ნაციონალური პოლიტიკის გატარების ტემპის გაძლიერება, დიდმპყრობელურ და ადგილობრივ შოვინიზმთან ბრძოლის გაძლიერება და მთავარი ყურადღების პირველ საკითხზე მიმართვა,—ასეთია მე-XVI ყრილობის დირექტივა, რომელიც ყველა ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა განუხრელად უნდა შეასრულონ.

„პრავდა", 27 ივლისი.

აბრეშუმის თესლის მეორედ დარიგება

დამტკიცებულია აბრეშუმის თესლის დარიგების გეგმა აბრეშუმის ჭიის მეორედ გამოსაყვანად ა.-კ. ს. ფ. ს. რ-ში. სულ დარიგდება 10.300 კოლოფი. გეგმის მიხედვით, ნედლი პარკი მიღებულ უნდა იქნას 254,4 ტონას რაოდენობით. ჭიის მეორედ გამოყვანის წასახალისებლად (პირველი ცდაა ამ წელიწადში) თესლი ყველას (გარდა კულაკებისა) უფასოდ ურიგდება. მომწესრიგებელმა ორგანოებმა მიწერილობა დაგზავნეს—გააძლიერონ პარკის დამამზადებელი რაიონების მომარაგება სამრეწველო საქონლით (ჩაბარებული ერთი ფუთი პარკი უფლებას აძლევს ჩამბარებელს მიიღოს 12 მეტრი მანუფაქტურა) (ადს).

საკონტროლო ციფრების დამუშავება

1930-31 წლის საკონტროლო ციფრების თავის დროზე დამუშავების მიზნით ამიერ-კავკ. პროფორგანიზაციებმა საერთოდ სათანადო მუშაობა ჩაატარეს. მუშათა მასებმა ფართო მონაწილეობა მიიღო საკონტროლო ციფრების დამუშავებაში და განსაკუთრებული შემოქმედებითი ინიციატივა გამოიჩინა.

ამიერ-კავკ. პროფკავშირთა საბჭომ განიხილა საკონტროლო ციფრების დამუშავების საკითხი და წინადადება მისცა ამიერ-კავკ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, მიუთითოს სამეურნეო ორგანიზაციებს იმის შესახებ, რომ უზრუნველყოფილ იქნას შემდეგისათვის ნორმალური პირობები საკონტროლო ციფრები დამუშავებისათვის და აგრეთვე სპეციალური ბრიგადების გაგზავნა, როგორიც ამ შემთხვევაში მოიქცა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო.

შემოდგომის ნათესების კონტრაქტაცია

ამიერ-კავკასიაში

ამიერ-კავკასიის მიწსახკომის კოლეგიამ განიხილა შემოდგომის ნათესების კონტრაქტაციის გეგმა და დაადასტურა, რომ ეს კონტრაქტაცია ჩატარებული იქნება მხოლოდ იმ რაიონებში, სადაც უმთავრესად მარცვლეული მეურნეობებია. სხვა რაიონებში, სადაც მებამბეობა, მეთამბაქოობა და მესაქონლეობა უმთავრეს დარგებს წარმოადგენს მარცვლეულის კონტრაქტაცია აკრძალული იქნება. კონტრაქტაციის საბოლოო გეგმა დამტკიცებულია 285.000 ჰექტარის რაოდენობით—235.000 ჰექტარი პური და 50.000 ჰექტარი ქერი. რაიონებად, სადაც იწარმოებს შემოდგომის ნათესების კონტრაქტაცია, დამტკიცებულია: აზერბეიჯანში: ლენქორანის, კუბის, სალიანის, განჯის და ბაქოს რაიონები, სომხეთში—ლენინაკანის, სევანის და ერევანის რაიონები და საქართველოში—კახეთის, გორის, ახალქალაქის რაიონები და ყოფ. ბორჩალოს მაზრა. საკონტრაქტაციო ხელშეკრულებები პირველ რიგში დაიდება კოლექტიურ სექტორთან, ხოლო შემდეგ ინდივიდუალურ მეურნეობებთან. კულაკური მეურნეობები დაკონტრაქტებული არ იქნებიან—მათ მიმართ გამოყენებული იქნება მტკიცე დავალებები, როგორც თესვის და აგრომინიმუმის მხრივ, ისე სახელმწიფოსათვის ზედმეტი პურის ჩაბარების მხრივ.

ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკაში (როგორც სამომხმარებლო რაიონში) კონტრაქტაციის ჩატარების დროს მოსალოდნელია მთელი რიგი სიძნელეები, გამწევი ძალის ნაკლებობა და ნიადაგის დამუშავების სიძვირე, ამიტომ გადაწყდა გასაცემ ავანსების რაოდენობა ღარიბ ხელმოკლე მეურნეობებისათვის აყვანილი იქნეს 8 მანეთამდე ჰექტარზე. ამასთანავე დაწესებულია, რომ მთელი საკონტრაქტაციო ფართობის ერთი მეოთხედი უნდა მოდიოდეს ღარიბ-ხელმოკლე კოლმეურნეობებზე და ცალკე მეურნეობებზე. ამ კატეგორიის მეურნეობებისათვის ფინანსიური დახმარების გაძლიერების მიზნით, ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს.რ. რესპუბლიკაში გამოიყოფა 560.000 მანეთი, რომლიდანაც, საწარმოო კრედიტის გარდა, გაიცემა კიდევ 8 მანეთი ჰექტარზე. გარდა ამისა, ცენტრის წინაშე აღძრულია შუამდგომლობა დამატებითი თანხების გადადების შესახებ 360.000 მანეთის რაოდენობით ღარიბ მეურნეობებისათვის ავანსების მისაცემად.

ავანსები პირველ რიგში მიეცემა იმათ, ვინც ნაადრევი ხვნა ჩაატარა. იმ კოლმეურნეობებისათვის, რომლებმაც საკონტრაქტაციო ხელშეკრულებები დასდვეს, მომავალი წლის მოსავლის ზედმეტი სასაქონლო პროდუქციის ჩაბარების ნორმა დაწესებულია არა უმეტეს მთელი მოსავლის ერთი მეექვსედისა. ღარიბ მეურნეობებისათვის, სადაც ზედმეტი სასაქონლო პროდუქციის აღრიცხვა არ სწარმოებს, ჩაბარების ნორმა არ წესდება. დანარჩენი მეურნეობებისათვის დაწესებულია 2 ცენტნერი ჰექტარიდან.

ხარისხოვანი მარცვლეულის ჩაბარებისათვის დაწესებულია განსაკუთრებული პრემია. კონტრაქტაციის რაიონებში სასოფლო-სამეურნეო მანქანების და სასუქის თავის დროზე შემოზიდვის პასუხისმგებლობა მთლიანად „ზაკსელხოზსნაბ"-ს ეკისრება.

აღძრულია შუამდგომლობა, რათა კონტრაქტაციაში ჩაბმულ მეურნეობების მოსამარაგებლად, ოქტომბერ-დეკემბერში გაცემული იქნეს 570.000 მანეთის სამრეწველო საქონელი.

საკონტრაქტაციო კამპანიის ჩატარება ეკისრება „საკსელსოიუზ"-ს, რომელიც ამას განახორციელებს რესპუბლიკანურ მემინდვრეობის კავშირების საშუალებით. საკონტრაქტაციო ხელშეკრულების გეგმის სოფლამდე მიყვანის ვადა დაწესებულია 15 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე (ადს).

დამამზადებელი აპარატი ყველგან არ არის მზად ახალი პურის მისაღებად

კახეთში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი „წვრილმანი" დეფექტები: ზოგიერთ დამამზადებელ პუნქტებს არ აქვთ სათანადო სასწორები, პუნქტებთან მოწყობილი არ არის ღამის გასათევი ბინა პურის ჩამბარებელ გლეხებისათვის, არ არის მოწყობილი სახანძრო რაზმები დამზადებულ პურის ცეცხლისაგან დასაცავად და სხვ.

ძირშივე აღვკვეთოთ კულაკური მავნებლობა პურის დამზადებაში

პურის დამზადება კახეთში

პური — აი სიტყვა, რომელიც დღეს კახეთში ყველას ენაზე აკრავს.

— პურის მოსავალს საერთოდ არა უშავს რა, — ამბობს გახარებული კახელი გლეხობა.

— პურს ჩავაბარებთ მთავრობას, ამბობენ საშუალო და ღარიბი გლეხები, ოღონდ ცოტა ფართალი და რკინეულობა მოგვცენ.

— პურს? ერთ მარცვალსაც არ ჩავაბარებთ ნებით, გაიძახიან ზრაზ-მორეული კულაკები.

— პურის აკრეფისა და დამზადების კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვედით — ამბობენ კახეთის სოფლებში გაფანტული მრავალრიცხოვანი ბრიგადები.

რადიო - ბრიგადაც პურის საქმისთვისაა ჩასული. ჯერ ის კიდევ კახეთშია. ცხელა. მთელი კახეთი ელვარებაშია გახვეული. მხურვალე მზის სხივები მეტეავზე გადადიან. წამოუქროლებს ხოლმე ალაზნიდან ნელი სიო, რომელიც შეარხევს სასიკვდილოდ გამზადებულ პურის თავთავებს და ისევ მიყუჩდება. მოსწყინდა თავქარიანულ ყანას ქვეყნად ცხოვრება. ის დიდი ხნით ელის გლეხის ბარაქიან ხელს. გულგაღიღილი გლეხებიც ლამაზად ნამგლებით ხელში მაც მეომრებივით უტევენ მას. ისმის სამკალსალეწ მანქანების გუგუნიც, დაუსრულებელი ჟრიამული. მაგრამ შიგა, და შიგ არიან თითო ოროლა მოწყენილი სახეებიც: ისინი ბრძანდებიან კულაკები და გაკოტრებული ყოფილი თავად - აზნაურები. ალბად აგონდებათ შორეული წარსული: უშრომლად მოღებული ღალები, კეთილი ცხოვრება, მათ წინაშე ქედ მოხრილი გლეხობა, რომელიც დღეს უკვე წელში გასწორდა და დაეპატრონა თავის თავს.

კულაკი მანქანის წინააღმდეგ

განსაკუთრებით კარგი სანახავია კოლექტიურ მეურნეობათა ყანები. აქ უკვე ნამდვილი ზეიმია. უზარმაზარი ძნები გოლიათივით სდგანან ყანებში. კოლექტივებში გაერთიანებული გლეხობა უკვე აღარ კადრულობს ნამგლით პურის მომკას, აქ ისმის მანქანა - იარაღების დაუსრულებელი გუგუნი.

— მე-3—4 დღეა ვმკი ამ ვერანა ყანასა და მაინც ვერ დავატანე ბარაქა, აგერ, შეხედეთ ერთ საათში რამოდენა ყანა მომკეს კოლექტივში, ამბობს ერთი ნიკრიანელი გლეხი.

— ხო, შენ ისინი ყოველთვის გჯობნებენ ხვნასა და მკაში.

— აი, აი, რომ გვჯობნის, შენდი ჩემ ყანას და ამ კოლექტივს ყანებსაც, დახე რა მშვენიერია!?

— შენც შეგიძლია ინათხოვრო კოლექტივიდან სამკელი მანქანა - იარაღები.

— კი შემიძლია, მაგრამ მეშინია...

— რისა გეშინიან?

— რისა და იმისა, რომ, ამბობენ, მანქანით მომკილი და გალეწილი პური მწარე ცხვება.

— ხა, ხა, ხა!

— რა გეცინებათ ასე გულიანათ, სიცრუეა თუ!

— აი, აი, რომ სიცრუეა, ჩემო გოლა! მითხარ თუ ძმახარ, სიდან გაიგე შენ, რომ მანქანით გალეწილი პური მწარე ცხვება?

— ეს მე მითხრა ჩვენებიანთ ფიდომ.

— ვინ არის ეს ფიდო?

— ფიდო?.. ეს ერთ დროს დიდი შეძლებული გლეხი იყო, ეხლა რომ კულაკს ეძახიან.

— ოო, მეც ასე ვფიქრობ. ეს უთუოდ კულაკების ახალი ჭორებია. არ უჯდო მას ყური, ეხლავე წადი და ინათხოვრე კოლექტივიდან სამკელ - სალეწი მანქანა, თორემ შენ ამ ყანის მომკას დიდხანს მოუნდები.

— ვნახოთ, — მითხრა მან და მოწყენით განაგრძო მკა.

კულაკობა მანქანა - იარაღებს უტევს. სწორედ ამაზეა ნათქვამი „წყალ წაღებული ხავს ეჭიდებოდაო".

სინანული

ნუკრიანი ძალიან დიდი სოფელია, იქაურ კოლექტივში 400 კომლზე მეტია გაერთიანებული. მას ეწოდება „ლენინის ანდერძის" კოლექტივი. ის კიდევაც ამართლებს ამ სახელწოდებას — თვითეულ მის წევრს ნათლად აქვს შეგნებული, რომ მისი ხსნა მხოლოდ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაშია.

ამ კოლექტივს მკა უკვე გათავებია, ლეწავენ და ანიავებენ პურს, რა თქმა უნდა მანქანებით. შორით უნდა ყოფილიყო სავსე გლეხი მიხო ფიდოაშვილი, რომელიც კოლექტივის გვერდით თავის ზურგ მოტყაულ ცხენით ლეწავდა პურს. სცემს საწყალ ცხენს დაუზოგავად, აგინებს გამჩენს, მაგრამ ცხენი მაინც უძრავად დგას. ის მხოლოდ ცდილობს თავისი ქეციანი კუდით იბერი ბუზები მოაშოროს მოტყავებულ ზურგს, მაგრამ ბუზთა ლაშქარი მისთვის დაუძლეველია.

— არ გერჩია მიხო, შენც კოლექტივში ყოფილიყავ, შევეკითხე მას. დიდხანს პასუხი არ გამცა, ბოლოს კი მითხრა:

— ალბად, რომ მერჩია, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— მაგრამ ისა, რომ ვიყავი და გამოვედი.

— რატომ გამოხვედი?

— მიტომ გამოვედი შენი ჭირიმე, რომ გული გამიტეხეს.

— რაო, რა გითხრეს?

— რაო და, აღარც ქათამი გეყოლებაო, აღარც ძროხა, აღარც ცხვარიო, მტრისედაც ხელი უნდა აიღო და მოყვარისედაცაო, ყველამ ერთ საბნის ქვეშ უნდა დაიძინოთ და რავიცი კიდევ რეები არ მითხრეს.

— ეხლა ხომ დარწმუნდი, რომ ყოველივე ეს სიცრუე იყო?

— ეხლა კი ვნანობ, მაგრამ რაღა დროს.

— რათა? ახლაც შეგიძლია შეხვიდე კოლექტივში.

— ხო შევალ თუ მიმიღეს.

სინანულშია არა მარტო ჩვენი ნაცნობი მიხო ფიდოაშვილი, არამედ სხვა ბევრიც, რომლებიც კოლექტივიზაციის „კარგად" ჩატარების ხელმძღვანელთა წყალობით გაიქცნენ კოლექტივიდან...

წითელი დროშები ძნებზე

დაუბრუნდეთ ისევ მოსავლის აკრეფას. წელს სიღნაღის რაიონში აიკრიფება პური 24 ათას ჰექტარიდან. დიდი ყურადღება მოექცევათ კოლექტიურ მეურნეობებს კულტურულ ნათესებისათვისაც: ბამბა დათესილია 818 ჰექტარზე; თამბაქო 425 ჰექტარზე, თითეულ ჰექტარზე მოელიან დაახლოვებით 70—80 ფუთ თამბაქოს; მებრინჯეობაც არ არის დატოვებული უყურადღებოდ: სულ სიღნაღის რაიონში გამოუყენებიათ 446 კოლოფი თესლი; მომავალში ეს მეურნეობა კიდევ უფრო გაფართოვდება. ამ მიზნით კოლექტივებს გაუშენებიათ თუთის ხის ახალი პლანტაციები.

პურის დამზადებაც დიდის წარმატებით მიმდინარეობს. სულ სიღნაღის რაიონში დამზადდება წელს 160.200 ფუთი პური.

პურის დამზადების კამპანიის უკეთ ჩატარებისათვის იწვევენ ღარიბ გლეხთა კრებებს, რომლებზედაც უმარტავენ მათ პურის დამზადების პოლიტიკურ მნიშვნელობას. პურის 8 დიდი საწყობი უკვე მზად არის. კოლექტიური მეურნეობანი პირველობას იჩენენ პურის დამზადებაში: მარტო ზემო - ქედის კომუნა ამზადებს 12 ათას ფუთ პურს. საერთოდ ეს კომუნა სამაგალითოდ ითვლება კახეთში; ის აერთიანებს 800 გლეხურ მეურნეობას. მოწყობილია კულტურულადაც: აქვს რამოდენიმე სკოლა, სახალხო სახლი, საბავშო ბაღი და სხვა.

კოლექტივები დიდის ხალისით აბარებენ პურს. მათ მიერ შეგროვილ ძნებზე და პურით დატვირთულ ურმებზე ფრიალებს წითელი დროშები.

წითელი ქარავანი

ასეთი სახელი უწოდებია საგარეჯოს გლეხობას პურის მომზიდველ ურმების კოლონებისათვის. საერთოდ საგარეჯოს რაიონში კარგად მიმდინარეობს პურის დამზადების საქმე. პურის დამზადების დროს სავსებით დაცულია ნებაყოფლობის პრინციპი. გლეხებს უმარტავენ პურის დამზადების მნიშვნელობას. ღარიბ გლეხთა კრებებზე იმართება აზრთა გაცვლა - გამოცვლა პურის დამზადების გარშემო, რითაც გლეხები მეტად კმაყოფილნი არიან.

საგარეჯოს რაიონში გლეხებმა ჯერ-ჯერობით მტკიცე ფასებში მოაგროვეს 3.500 ფუთი პური. დახარჩენ პურის საფასურის ანგარიში გლეხებს მიიღებს სამრეწველო საქონელი. განსაკუთრებით აქ დიდი მოთხოვნილებაა ბაწარზე, ლურსმანზე და საერთოდ რკინეულობაზე. ამ საგნებით მომარაგებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს სამომხმარებლო კოოპერაციამ. გუშინ რამოდენიმე ასეული ფუთი პური ჩააბარეს კოლექტივებმა საგარეჯოს დამამზადებელ პუნქტს. ტომრებითა და პურის საწყობებით საგარეჯოს რაიონი უზრუნველყოფილია.

დაუდევრობის ნიმუშები

დაუდევრობა და საერთო გულგრილობა ახასიათებს ზოგიერ ჩვენ მიერ ჩატარებულ კამპანიას; ამ სენიდან უზრუნველყოფილი არ არის არც პურის აკრეფისა და დამზადების კამპანია. მაგალითად, თელავის რაიონის ზოგიერთ სოფელში უმოქმედოთ აგდია ესა თუ ის მანქანა დროზე შეუკეთებლობის გამო. წნორის - წყალზე არსებული მანქანების შემკეთებელი სახელოსნო არ ჩქარობს. შალაურის კოლექტივში გაუგზავნიათ სალეწი მანქანა უტრაქტოროთ. სადგურ თელავთან მეტად ხელის ტემპით შენდება პურის საწყობი და კაცმა არ იცის როდის დამთავრდება ის. დრო კი არ ითმენს, პური სოფლად უკვე შეგროვილია და ელის საიმედო თავშესაფარს. ტომრის საკითხიც მწვავედ სდგას. ძალიან დაფაცურება მართებთ ადგილობრივ ორგანიზაციებს, რომ დროზე მოაგვარონ ეს მტკივნეული საკითხები.

ცუდი კოლექტივი

როცა დაუდევრობაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ანაგის კოლექტივის უხეირო საქმიანობას. თავიდანვე არ დაყოლია „ბედი" ამ კოლექტივს: მის პირველ თავმჯდომარეს საკმაოდ ჩაუყლაპავს კოლექტივის ქონება. მის ახალ ხელმძღვანელსაც ვერ გაუუმჯობესებია მდგომარეობა. ამ კოლექტივის უგეგმო მუშაობისა და უყაირათობის წყალობით 32 დესეტინა პური ილუპება მოუმკალი. 26 ივნისს კოლექტივს დაუდგენია — 27-ს დაიწყო პურის მკა, მაგრამ სწორედ ამ დღეს კოლექტივის გამგეობა „აფენის" სასადილოში ქეიფობდა მთელი დღე; სამაგიეროდ გამგეობის გალეშილი წევრები ასეთი სიმღერით ინუგეშებდნენ თავის თავს:

„ბინაცვალე კოლექტივო,
ღარიბების ბედის წყალო,
დღეს შენით ვიქეიფე—
ზეგალაც უნდა გამახარო".

ჩვენ ვფიქრობთ ასეთ კოლექტივის გამგეობის არსობდეს არ უწერია სიხარული. მათი ასეთი საქციელი გაახარებს მხოლოდ კულაკებს, რომლებიც მუდამ [illegible] ელიან კოლექტივების დაღუპვას.

საჭიროა მოხდეს ამ კოლექტივის გადახალისება და ხელმძღვანელობის გამოცვლა.

თაგვი, ხვლიკი, წყალი

აი, სამი დიდი მტერი, რომელსაც წელს დიდი ზარალი მოუყენებია კახეთის ოლქში ნათესებისათვის. თაგვისა და ხვლიკის წინააღმდეგ ზოგიერთ რაიონებში უწარმოებიათ ბრძოლა, მაგრამ საბოლოო გამარჯვება თაგვს და ხვლიკს დარჩენია; მათ მიერ მიყენებული ზარალი განსაკუთრებით საგრძნობია ალაზნის ველზე და საგარეჯოს რაიონში. წყალდიდობას კი გაუნადგურებია თელავის რაიონის ზოგიერთ სოფლებში ნათესები. ზარალი ჯერ - ჯერობით კიდევ გამოურკვეველია.

მასთან ერთად საშემოდგომო თესვასაც არ ივიწყებენ. ხშირად შეხვდები ადგილებს, სადაც ერთ მხარეზე მკიან, მეორე მხარეზე ხნავენ. ტრაქტორებისაგან გულგადაღრღნილი მიწა შავად გამოიყურება. გლეხს ცალ ხელში ნამგალი უჭირავს, მეორეში გუთანი, მაგრამ საქმეს აბრკოლებს ტრაქტორების ნაკლებობა; რაიონებში არ არის იმდენი ტრაქტორი, რომ მოხნან მიწები და მომკან პური. არსებული ტრაქტორებიც არ არის წესიერად განაწილებული. საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება ტრაქტორების წესიერად განაწილებლად, და ზრუნვა მათი შეკეთებისათვის.

დასკვნა: თუ ადგილობრივი ორგანიზაციები გამოიჩენენ სათანადო უნარიანობას, თუ ასეთივე ტემპით ბოლომდე განაგრძობენ ისინი საქმიანობას, ცხადია, პურის აკრეფისა და დამზადების გეგმა მთლიანად იქნება შესრულებული. ამის საუკეთესო თავდებია კახეთის ოლქის ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების აქტივობა.

რადიო-მუშაკი.

პურის დამზადების ზოგიერთ ტექნიკურ საკითხებზე

(კახეთი)

პურის დამზადების კამპანიის მსვლელობის დროს ადგილობრივ მომუშავე ამხანაგების წინაშე იჩენება მრავალი სხვადასხვა პრაქტიკული საკითხები, რომელთა გადაჭრა — მოგვარებას ზოგ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს და რომელთა შესახებაც სათანადო ახსნა-განმარტებანი არ მოეპოვებათ ადგილებს.

ჩვენ აღვნიშნავთ აქ რამოდენიმე ასეთ საკითხს: 1) მეტად სერიოზულად სდგას საკითხი პურის მიმღებ პუნქტების მოწყობის შესახებ. ცენტრალური ორგანოების დირექტივების თანახმად, პურის მიმღებ პუნქტებზე უნდა მოიწყოს ფარდულები, სასწორები, პურის ჩამბარებელ გლეხებისათვის და მათი საქონლისათვის ღამის სათევი ბინები და სხვა.

ამ მხრივ კახეთში შემდეგ დაბრკოლებებს აქვს ადგილი. მიმღებ პუნქტებზე ზოგიერთ რაიონებში (მაგ. სიღნაღის რაიონის ზოგიერთ სოფლებში) აქვთ ძველი სასწორები, ძველი ცირებით. განკარგულების თანახმად კი პური უნდა აიწონოს მხოლოდ ახალ სასწორზე და წონის ძირითად ერთეულად მიღებულია ცენტნერი. როგორ უნდა მოიქცნენ ის მიმღები პუნქტები, რომელთა განკარგულებაშიაც მხოლოდ ძველი სისტემის სასწორებია? ეს საკითხი დაისვა სოიუზხლების თათბირზედაც, მაგრამ პრაქტიკული გამოსავალი ჯერ მაინც გამონახული არ არის. ეს კი იწვევს პურის მიღების დაბრკოლებას, აფერხებს მიღებულ პურის ანგარიშიანობას და გლეხებისათვის კუთვნილ ღირებულების გაცემას.

საჭიროა „სოფ. კავშირმა", ცეკავშირმა და „სოიუზხლებმა" იზრუნონ ამ საკითხზე და მიიღონ პრაქტიკული ღონისძიებანი ამ დეფექტების სასწრაფოდ გამოსწორებისათვის.

2) დიდი მნიშვნელობა აქვს პურის ჩამბარებელ გლეხებისათვის ისეთ პირობების შექმნას, მთავარ პუნქტებზე მაინც, რომ შორი გზით მოსულ გლეხს და მის საქონელს საშუალება ჰქონდეთ ღამის გათევისა და დასვენებისა. ამისათვის საჭირო იყო, თანახმად ცენტრის დირექტივისა და სოიუზხლების განკარგულებისა, პურის დამზადების სამ მთავარ დაინტერესებულ ორგანიზაციათა შეთანხმება, რათა მთავარი პუნქტები თავიდანვე შესაფერისად ყოფილიყვნენ მოწყობილნი. მაგრამ ჩვეულებრივ ეს ორგანიზაციები ერთმანეთს უყურებენ. კერძოდ „სოიუზხლები", რომელსაც ოლქში აქვს 5 მთავარი მიმღები პუნქტი ძირეულ დამამზადებელ პუნქტებიდან საკმაო მანძილით დაშორებული, მოვალე იყო დღევანდლამდის მიეღო პრაქტიკული ზომები და თავის პუნქტებთან მაინც მოეწყო შორი გზიდან მოსულ პურის ჩამბარებელ გლეხებისათვის ღამის გასათევი ბინები და საქონლის დასაყენებელი ბაკები. „სოიუზხლების" საოლქო კანტორის ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ ერთ უმთავრეს პუნქტზე — სახელდობრ წნორის წყალზე, სადაც პურის დამზადების კამპანიის მთელს პერიოდში რამდენიმე ათასი ურემი მივა პურით დატვირთული, — ისინი შეუთანხმდნენ ადგილობრივ სამომხმარებლო კოოპერაციას, რომელიც დააკმაყოფილებს გლეხებს ბინით და საკვებით. მაგრამ რამდენად შესძლებს ამის განხორციელებას ადგილობრივი კოოპერატივი, ამაზე „სოიუზხლების" საოლქო კანტორას არ უფიქრია. ჩვენ კი ვიცით, რომ კოოპერატივი, რომელსაც წნორის წყალზე აქვს ერთი პატარა სასადილო და ორი თუ სამი დასაძინებელი ოთახი, სადაც ისედაც მრავალი ხალხი იყრის თავს, პურის მომტან —ჩამბარებელ გლეხებს ვერ დააკმაყოფილებს ბინებით და მათ თავის საქონლიანად მოუხდებათ მინდორში გათევა ღამისა. (სხვა მთავარ მიმღებ პუნქტებზე ამ მხრივ მდგომარეობა უარესია.

საჭიროა ამ საკითხის სასწრაფოდ მოგვარება დაინტერესებულ ორგანიზაციების მხრიდან.

3) არა ნაკლებ მნიშვნელოვან საკითხად უნდა იქნეს მიჩნეული დროებითი მოძრავ სახანძრო რაზმების მოწყობა თუ ყველა დამამზადებელ პუნქტებთან არა, მთავარ მიმღებ პუნქტებში მაინც. ჩვენ ვიცით წარსული წლის პრაქტიკიდან, რომ სალეწ მანქანებთან დაგროვილი ძნების ზვინები გადაიწვა იმის გამო, რომ წინასწარ არ იყო მიღებული გამაფრთხილებელი ზომები და არ იყო მოწყობილი სახანძრო რაზმები. ამაზე აქამდე უნდა ეზრუნა სახანძრო სამმართველოს და კახეთის ოლქში მაინც, სადაც მზადდება ნახევარ მილიონამდე ფუთა ხორბლეული, მიეღო ზომები დროებითი სახანძ. რაზმების მოსაწყობად, რომ ამ საქმის ორგანიზაცია სასწრაფო ხასიათისაა და კვლავ დაყოვნება დანაშაულად ჩაითვლება, ეს სჩანს თვით სახანძრო საქმის სამმართველოს მიერ ამ რამოდენიმე დღის წინად ოლქში მოვლინებულ სახანძრო საქმის ინსტრუქტორების გამოკვლევიდანაც. აღსანიშნავია, რომ ამ მოკლე ხანში ოლქში უკვე ჰქონდა ადგილი დიდ ხანძარს. ცეცხლმა სრულიად გაანადგურა სოფ. გიორგეთის კოლექტივის 4.000 ფუთი ხორბალი.

რომ აქვე მახლობლად არსებულ პურის მიმღებ პუნქტთან მოწყობილი ყოფილიყო თუნდაც პატარა სახანძრო რაზმი, ეს ზარალი ნაწილობრივ მაინც თავიდან აცილებული იქნებოდა.

დრო არ ითმენს, საჭიროა ყველა ეს საკითხები, რომელთაც პურის დამზადების კამპანიაში დიდი მნიშვნელობა აქვთ, სასწრაფოდ იქნან მოგვარებული.

ლიგანელი.

პურის ჩაბარება დაიწყო

(გურჯაანის რაიონი)

გურჯაანის რაიონში მოსავლის აკრეფა წარმატებით მიმდინარეობს; რაიონში არსებული იარაღ-მანქანები გამოყენებულია. პურის დამზადებისათვის ჩატარდა სათანადო მუშაობა. კოოპერატივებს მიეცათ პურის დამზადებისათვის საჭირო სამრეწველო საქონელი, ტომრები, ფული, გამონახულია საწყობები, ამ დღეებში დაიწყო კიდეც პურის ჩაბარება. სოფ. კოლაგის კოლექტივმა „ახალ ცხოვრებამ" დიდის ზეიმით ჩააბარა პირველი მოსავალი კოოპერატივს. ათი ურემი დატვირთული ხორბალით გაემართა გურჯაანისაკენ, ურმებს უკან მიჰყვებოდნენ დროშებით და სიმღერით კოლმეურნეობების წევრები.

ასევე წარმატებით მიმდინარეობს პურის ჩაბარება კარდენახში, ყანდაურაში და სხვაგან.

კულაკები ცდილობენ ჩაშალონ პურის დამზ. კამპანია, რა მიზნითაც ავრცელებენ ათასგვარ ჭორებს: სოფ. შაშიანში კულაკებმა გაავრცელეს ხმები, რომ საქონელი ფულზე აღარ გაიყიდებაო, ყველაფერი პურზე გადიცვლებაო. სოფ. ფხოველში კულაკებმა გაავრცელეს ხმება, ვითომ სოფლებზე რაიკომიდან მუშაკები იმ მიზნით არიან მიმაგრებული, რომ ნახონ ვის რამდენი მოუვიდა პური და ამის და მიხედვით გაუწერონ გადასახადიო. სოფ. ყიტაანში კულაკები ჩუმად სისინებდნენ — ვინც სალეწ მანქანა პურს მიიტანს, ჩამოართმევენო.

მიუხედავად კულაკების პროვოკაციისა, სალეწი მანქანები დატვირთულია გლეხობის პურით და კულაკების ჭორებს გასავალი არ აქვს.

ხ. აკიელი.

აღმოვფხვრათ უყაირათობა, დაუდევრობა და ვაჭრუკანული ნაშთები მუშკოოპის პრაქტიკიდან

უმსგავსოებანი მუშკოოპის სავაჭროებში

დამნაშავენი სასტიკ პასუხისგებაში უნდა იქნან მიცემული

საქართველოს პროფსაბჭოს მიერ თბილისის საწარმოების მუშებიდან შედგენილ 35 ბრიგადამ, გუშინ მუშკოოპის სავაჭროებში მოაწყო საქონლის საკონტროლო შესყიდვა. ის, რაც გამოარკვია ბრიგადების „თავდასხმამ", ერთხელ კიდევ ნათელყოფს, რომ მუშკოოპი წინანდებურად უმსგავსოდ მუშაობს.

თავისუფლების მოედანზე, № 3 მაღაზიაში (ყოფ. სამხედრო კოოპერაციის სავაჭრო), ბრიგადამ აღმოაჩინა მომხმარებლების წონაში სისტემატიური მოტყუება. ბრიგადის მიერ შესყიდული საქონელიც წონაში ნაკლები აღმოჩნდა. მომსვლელებს უხეშად ეპყრობიან, პროდუქტებს ხშირად მცირე რაოდენობით არ ყიდიან. მაღაზიაში არ აღმოჩნდა მომპასი, ხოლო საწყობში ბრიგადამ ასეთი აღმოაჩინა რამდენიმე ყუთი. მომპასის მაღაზიაში უქონლობა და მისი საწყობში შენახვა გამგემ იმ გარემოებით ახსნა, რომ მაღაზიაში მომპასისთვის არ იყო საკმაო ადგილი. იმავე საწყობში ბრიგადამ აღმოაჩინა ერთ-ნახევარი ყუთი კარაქი. შეკითხვაზე, თუ რისთვის არ გამოაქვთ გასასყიდათ კარაქი სავაჭროში, ბრიგადამ პასუხად მიიღო, რომ კარაქი ეკუთვნის გამგეობის ყოფილ წევრს—შირიაევს.

წითელ ბაზარში (ავლაბარი) გამგე შალაბოვი ბრიგადას გინებითა და დაცინვით შეხვდა. ბრიგადამ გამოარკვია, რომ შალაბოვი არის ყოფილი სპეკულიანტი. მყიდველებსაც სისტემატიურად ატყუებენ წონაში. სალაროსთან სისტემატიურად გრძელი რიგებია, რადგან მოლარე სავსებით გამოუცდელია.

მაღაზია № 16-ში აღმოჩენილ იქნა დიდძალი გადამალული სადეფიციტო საქონელი: პაპიროსი, ხელისაბანი საპონი, ჩულქები და სხვ., რომლებიც საგულდაგულოთ შეენახათ პუდრებისა და კამფეტების ყუთებთან ერთად.

მაღაზია № 626-ში აღმოჩნდა დიდძალი გაფუჭებული საქონელი. დაზგის ქვეშ აღმოჩენილ იქნა 23 კილო სავსებით გაფუჭებული კარაქი. 250 კილო საჭმელი ზეთი ფუჭდება, მაგრამ მას გასასყიდად მაინც არ უშვებენ. ბრიგადის შეკითხვაზე, თუ რატომ არ ყიდიან მას, უპასუხეს, რომ გამგეობა არ გვაძლევს გაყიდვის ნებასო.

მაღაზია № 587-ში, ამჟამად ასე საჭირო ტარას ძალზე დაბალ ფასებში ყიდიან.

მწვანილეულობის მაღაზიაში და მის განყოფილებებში მდგომარეობა თითქმის ყველგან ერთნაირია. ან მწვანილი ცოტაა, ან და არის მაგრამ ლპება.

როდის უნდა დაიდოს საზღვარი მუშკოოპის აღმაშფოთებელ „მუშაობას"?

სასურველია სიძნელეთა დღევანდელ მომენტში, ასეთი „მუშაობა" შეფასებული უნდა იქნას როგორც მავნებლობა, ხოლო ასეთი „მუშაობის" მონაწილენი სასტიკად უნდა დაისაჯონ.

უპატრონო მეურნეობა

ნავთის-ჭალის საბჭოთა მეურნეობაში მემინდვრეობა, მეცხოველეობა და მეფრინველეობა არ ვითარდება, არამედ მას აქ მხოლოდ ზარალი მოაქვს. — ბოსტნეული და პურეული ილუპება. — ინკუბატორში მოთავსებული 2.850 კვერცხიდან მხოლოდ 1.000 წიწილა გამოიჩეკა. — ადმინისტრაციას სრულებით არ ეხერხება მუშაობის მოგვარება საბჭოთა მეურნეობაში.

12 კილომეტრის მანძილზე თბილისიდან მდებარეობს ნავთის ჭალის საბჭოთა მეურნეობა, რომელიც ამას წინად საქსახვაჭრობამ თბილისის მუშკოოპს გადასცა. საბჭოთა მეურნეობას აქვს 167 ჰექტარი მიწის ნაკვეთი და მოეპოვება ყველა პირობები, როგორც სასოფლო-სამეურნეო კულტურების განვითარებისათვის, ისე სანიმუშო რენტაბელური მებაღეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის შექმნისათვის და მსხვილი სამრეწველო მასშტაბით მეფრინველეობისა და მეღორეობის განვითარებისათვის.

ამჟამად საბჭოთა მეურნეობას აქვს ბოსელი 52 სული ძროხისათვის, სილოსი (მოწყობა ჯერ არ დამთავრებულა), საფრინველე, ინკუბატორები, საცხოვრებელი სახლი, ქვის თავლა, საკუთარი თორნე და სხვ., მაგრამ ეს შენობები ვერ უზრუნველყოფენ საბჭოთა მეურნეობის სამეურნეო საჭიროებებს და იქ მომუშავე პერსონალს. საბჭოთა მეურნეობას ჯერ კიდევ ბევრი რამ არა აქვს. არა აქვს წყალიც კი. საბჭოთა მეურნეობასთან მიმავალი შარა-გზები ავდარში თითქმის გაუვალი ხდება. მუშების საცხოვრებელი ბინები არ არის. საბჭოთა მეურნეობას მეფრინველეობისა და მებოსტნეობის სპეციალისტები არა ჰყავს, დანარჩენი პერსონალი კი არ შეეფერება იმ მოთხოვნებს, რომლებიც საჭიროა ამჟამად საბჭოთა მეურნეობის მშენებლობის წარმატებით განვითარებისათვის.

როგორია ნავთის-ჭალის საბჭოთა მეურნეობის საქმიანობის შედეგები? მებოსტნეობაში წლევანდელ გაზაფხულზე ნათესი ფართობი სრულიად არ იყო შეფარდებული წყლის რესურსებთან. ამ მიზეზით კულტურების ნაწილი დაილუპა, მაგალითად, 6 ჰექტარი სიმინდი, 1 ჰექტარი კიტრი, 3 ჰექტარი პომიდორი, 0,5 ჰექტარი ყვავილოვანი კომბოსტო, 1 ჰექტარი გოგრა, 1 ჰექტარი ჭარხალი, 1 ჰექტარი საზამთრო და ნესვი — სულ 13,5 ჰექტარი.

საბჭოთა მეურნეობა თავის დროზე არ იყო უზრუნველყოფილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით, რის გამოც მოსავალი აუკრეფელი რჩებოდა. მდგომარეობა შემთხვევით — და ისიც მხოლოდ ნაწილობრივ — გამოსწორდა. სამიწათმოქმედო განყოფილებიდან მიღებული უვარგისი სათიბი მანქანა შეაკეთა და აამუშავა საბჭოთა მეურნეობაში შემთხვევით მისულმა გლეხმა. ამის წყალობით მოხერხდა პურეულის ნაწილის გადარჩენა.

საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაციას არ ეხერხება მუშაობის მოგვარება. მან მოსავლის აკრეფაც კი ვერ გაითვალისწინა თავის დროზე და არ იზრუნა მუშა-ხელის დაქირავებისათვის.

საბჭოთა მეურნეობის მუშათა შრომის დისციპლინა მეტად სუსტია. ადმინისტრაცია ვერ ახერხებს დისციპლინის განმტკიცებას და საბჭოთა მეურნეობა მუდამ იმ საფრთხეშია, რომ მუშები მიატოვებენ მას.

მეცხოველეობისათვის და ჯოგის შერჩევისათვის მუშაობა განვითარების სტადიაშია. სარძეოდ ჯოგი ნაკლებად დამაკმაყოფილებელია. ძროხები მცირე წონის არიან და მცირე პროდუქციას იძლევიან. ძროხა დღეში საშუალოდ 8 ლიტრს იწველის, მაშინ როდესაც ქალაქის მახლობელ მეურნეობაში, ძროხის საგაზე კვების დროს ძროხა დღეში 15 ლიტრზე ნაკლებს არ უნდა იწველიდეს, პირუტყვს ცუდად უვლიან — არ არის ბინები საკვების დასამზადებლად, არ არის კარგი სასმელი წყალი, არ სწარმოებს ძროხის ინდივიდუალური წველის ჩაწერა. არ არის საყინულე და ამიტომ რძე თბილისში ერთხელ ჩამოტანის ნაცვლად ორჯერ ჩამოაქვთ. ბუღები სადგომად არა ვარგან. ხბოების გაზრდა დიდი ზარალით ხდება.

მეფრინველეობაში თითქმის არავითარი მუშაობა არ სწარმოებს და შედეგებიც სავალალო გამოვიდა. მთელ საწარმოო პერიოდში ინკუბატორში 2.354 კვერცხი მოათავსეს, გამოიჩეკა 1652, აქედან 1.010 წიწილა და ცოცხალი დარჩა 642.

ყველა ეს ფაქტები თვალსაჩინოდ მოწმობენ, რომ ნავთის-ჭალის საბჭოთა მეურნეობა საბჭოთა მეურნეობის სახელს არ უნდა ატარებდეს. ნამდვილი მუშაობა არ ყოფილა. იყო მხოლოდ რამდენიმე უგეგმო წამოწყება, რაც ყოველთვის ზარალს იწვევდა.

მუშკოოპმა დაუყოვნებლივ უნდა ჩაატაროს საბჭოთა მეურნეობის სრული რეორგანიზაცია.

მ. კ—ი.

კოოპერაციამ ვერ გარდაქმნა თავისი მუშაობა

მუშათა კოოპერაციის დათვალიერებისათვის

უახლოეს დღეებში მუშათა ბრიგადები შეუდგებიან საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მასიურ დათვალიერებას. დათვალიერების საჭიროება ნათელია. მიმდინარე წლის დასაწყისში მუშათა ბრიგადებმა აწარმოეს სამომხმარებლო კოოპერაციის ყოველმხრივი გამოკვლევა და მის მუშაობაში მრავალი დეფექტები აღმოაჩინეს. საქართველოს პროფსაბჭომ, დათვალიერების მასალების მიხედვით, მაშინვე გამოიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები კოოპერაციის მუშაობის გასაუმჯობესებლად. ეხლანდელი დათვალიერების მიზანია გამოარკვიოს, თუ როგორ შესრულდა ეს ღონისძიებები და რა უშლის ხელს მათ შესრულებას. წინასწარი მასალები მოწმობენ, რომ სამომხმარებლო კოოპერაცია, კერძოდ თბილისის მუშკოოპი, ცუდათ მუშაობდა, მიცემულ წინადადებათა უმრავლესობა არ შესრულებულა.

ასე მაგალითად, ძირითადი ამოცანა მუშათა რეალური ხელფასის გადიდების საქმეში, მუშკოოპმა ვერ შეასრულა. თბილისში კოოპერაციის მიერ მუშისათვის სამსახურის გაწევა დათვალიერების მომენტისათვის შეადგენდა 82 პროცენტამდე. კოოპერაციას მიეცა დავალება ეს პროცენტი 90-მდე აეყვანა. კოოპერაციამ ქსელის 27,2 პროცენტით გადიდებისა და ბრუნვის ზრდის მიუხედავად, მუშისათვის სამსახურის გაწევა გადიდების ნაცვლად ზოგიერთ შემთხვევებში შემცირდა კიდეც.

შედარებით დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ჭიათურაში, სადაც კერძო ვაჭრის წარმატებით განდევნის წყალობით, მუშათა კოოპერაციამ შესძლო მუშისათვის სამსახურის გაწევა დათვალიერების დროს 50 პროცენტის ნაცვლად, 70-75 პროცენტამდე აეყვანა. ბათუმსა და ქუთაისში, მომხმარებელთა პირველ საჭიროების პროდუქტებით არასაკმაო მომარაგების გამო, მუშისათვის სამსახურის გაწევა ზოგიერთ შემცირებასაც იძლევა.

სამრეწველო საქონელზე ფასების შემცირების მიუხედავად, თბილისში ადგილი აქვს საბიუჯეტო ნაკრების ღირებულების გადიდებას, უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ხარჯზე.

განსაზოგადოებულ სექტორში მთელ რიგ საქონლის უქონლობის გამო, მუშა-მომხმარე იძულებულია ისინი კერძო ბაზარზე შეიძინოს, სადაც ფასები ძალზე მაღალია. კოოპერაციამ, კერძოდ თბილისის მუშკოოპმა, თავისი მაღაზიები დღემდე ვერ გადაიყვანა სამეურნეო ანგარიშზე. არ სწარმოებს ხარჯთაღრიცხვის და გასავლის ყოველთვიური შემოწმება. არ გატარებულა აგრეთვე მაღაზიის გამგეების სრული პასუხისმგებლობა თავისი მაღაზიის სამეურნეო მოქმედებისათვის.

სოციშეჯიბრებისა და დამკვრელობის მდგომარეობის ზოგიერთი გაუმჯობესების მიუხედავად, ისინი ჯერ კიდევ არ გამხდარან კოოპერაციის მუშაობის მეთოდად. დათვალიერების დროს მუშათა ბრიგადების მიერ აღმოჩენილი დეფექტები, როგორც მაგალითად, ანტისანიტარია, წონაში მოტყუება, მომხმარებლისადმი უხეში მოპყრობა, კოოპერაციას ჯერ კიდევ არ აღმოუფხვრია. სადუქნო კომისიები და კოოპკომისიები ცუდათ ახორციელებენ საზოგადოებრივ კონტროლს კოოპერაციის მუშაობაზე. თავის მხრივ მუშათა კოოპერატივების გამგეობები არ აწარმოებენ სადუქნო კომისიების წინადადებათა აღრიცხვას.

ა.-კ. სახკომსაბჭოში

იარაღ-მანქანების დარაიონება

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს დადგენილებით, გაუქმებულია იარაღ-მანქანების დამრაიონებელი კომისია. კომისიის ფუნქციები გადაეცა მექანიზაციის ინსტიტუტის რესპუბლიკანურ განყოფილებას—საქართველოს მანქანა-იარაღების საცდელ სადგურებს.

მავნებლებთან ბრძოლა

ბამბის მავნებლებთან ბრძოლის წარმატებით ჩატარების მიზნით, ამიერ-კავკ. სახკომსაბჭომ დაადგინა მავნებელთა საბრძოლო საშუალებები უფასოდ დაურიგდეს მებამბე გლეხებს. მებამბეობის კომიტეტის რწმუნებულს წინადადება მიეცა გამოჰყოს ამ მიზნისათვის 200 ათასი მანეთის წამალი. ამიერ-კავკ. მიწადმოქმედების სახკომისარიატს და მებამბეობის კომიტეტის რწმუნებულის სამმართველოს წინადადება მიეცა შეიმუშაონ მებამბე გლეხების საბრძოლველ მასალებით უფასოდ უზრუნველყოფის ნორმები და მასალის გამოყენებაზე კონტროლის გაწევის წესები. მებამბეობის კოოპერაციას წინადადება მიეცა ჩაატაროს მავნებლებთან ბრძოლა ბამბის იმ ნათესებზე, რომლებიც მიტოვებული არიან მეპატრონეთა იალაღებზე წასვლის გამო.

სახვაჭრობათა წარმომადგენლობის გაუქმება მოსკოვში

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს დადგენილებით, უნდა გაუქმდენ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა სახვაჭრობების განყოფილებები მოსკოვში და მათ ნაცვლად უნდა დაარსდეს სპეციალური გაერთიანება „ზაკსნაბი", რომელიც იმუშავებს ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს წარმომადგენლობის უშუალო ხელმძღვანელობით.

რა ხდება ადგილებზე

ფაბრიკა-სამზარეულო და პურის ქარხანა

ბათუმი, 27 ივლისი. ქალაქის აღმასკომი 1930-31 წელს შეუდგება ბათუმში ფაბრიკა-სამზარეულოს აგებას.

ხარჯთ-აღრიცხვისა და პროექტის შედგენა დამთავრდა. მშენებლობა დაჯდება 440 ათას მანეთად.

ამასთან ერთად განზრახულია პურის ქარხნის აგება, რომელიც 430 ათას მანეთად დაჯდება (ადს).

თამბაქოს საშრობი ფარდულების მშენებლობა ჩაშლის საფრთხის წინაშეა

სოხუმი, 27 ივლისი. თამბაქოს საშრობი ფარდულების მშენებლობა აფხაზეთში ჩაშლის საფრთხის წინაშე სდგას. საგრძნობი ნაკლებობაა საშენებელი მასალის—ლურსმნის და ყავრის. 5 მილიონ ცალი ყავრის მაგივრად მიწსახკომმა მხოლოდ 1.346.000 ცალი დაამზადა.

ყავრის დამზადების ჩაშლას მიწსახკომი ობიექტური მიზეზებით ხსნის. დამნაშავე კი მხოლოდ მიწსახკომია, ვინაიდან ყავრის დამზადების საქმე მან არტელს გადასცა და თითონ არავითარ კონტროლს არ უწევდა მათ.

ზოგიერთ მაზრაში ფარდულების მშენებლობა მხოლოდ 20-25 პროცენტითაა შესრულებული.

ფარდულების მშენებლობის ასეთი მსვლელობა სერიოზულ საფრთხეს ჰქმნის. თამბაქოსათვის არ იქნება გასაშრობი ადგილი და შეიძლება თამბაქოს ნაწილი დაილუპოს, მით უმეტეს, რომ ერთი-ორი კვირის შემდეგ დაიწყება თამბაქოს მოკრეფა. (ადს).

პროფკავშირების კულტთათბირი

პროფკავშირების კულტმუშაობის მორიგი ამოცანები

26 ივლისს, ამხ. შ. ელიავას სახელობის კლუბში (მუშათა ცენტრალური კლუბი) გაიხსნა საქართველოს პროფკავშირების კულტთათბირი.

1-ლ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ე. ბედიას მოხსენება პროფკავშირების კულტმუშაობის მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ.

სოციალისტურ მშენებლობაში,—განაცხადა მომხსენებელმა,—ჩვენ აღებული გვაქვს დიდი ტემპები. კულტმუშაობის ტემპები კი მეტად ჩამორჩენილია.

სოციალისტური მშენებლობის შემდგომი გაშლა მოითხოვს მუშათა კლასის კულტურულ დონის კიდევ უფრო აწევას.

სწორედ ამიტომაც მე-16 ყრილობამ საჭიროდ სცნო კულტურული მშენებლობის გაძლიერება.

საქართველოს პროფესიონალურ კავშირებს ბევრი რამ აქვთ გაკეთებული წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის და სხ. გეგმები დასახული გეგმა შესრულებული არ არის. ასევე შეუსრულებელია საწარმოო-ტექნიკურ უცოდინარობის ლიკვიდაციის და სხვა გეგმები პროფკავშირების კულტგანმანათლებელ საქმიანობაში, კლუბების კულტმუშაობაში, მასების კომუნისტურ და ინტერნაციონალურ აღზრდას აქამდე არა აქვს დაჭერილი სათანადო ადგილი. კლუბების მუშაობაში სჭარბობს აპოლიტიურობა. კლუბები გატაცებული არიან სანახაობებითა და გასართობებით.

საჭიროა ეს მდგომარეობა დაუყოვნებლივ შეიცვალოს და კულტმუშაობა გარდაიქმნას გაშლილი სოციალისტური მშენებლობის ამოცანებთან შეფარდებით.

შემდეგ მომხსენებელი ეხება პროფკავშირების ამოცანებს კულტმუშაობის დარგში და ამბობს, რომ ამ საქმეში მთლიანად უნდა განხორციელდეს ლოზუნგი; „პირით წარმოებისაკენ". კლუბების მორიგ ამოცანას წარმოადგენს ბრძოლა კულტმუშაობის მთლიანი გეგმისათვის. გეგმების შედგენა უნდა უხელმძღვანელოს განათლების კომისარიატმა.

კლუბებში უნდა მოისპოს წრეობა და გამგეობები, რომლების ადგილიც კულტურულმა საბჭოებმა უნდა დაიკავონ. კლუბების მასიური საგანმანათლებლო მუშაობა გადატანილ უნდა იქნას წარმოებებში.

კულტმუშაობის გარდასაქმნელად პროფკავშირებმა უნდა შექმნან დროებითი საკონტროლო კომისიები. საგანმანათლებლო საქმეში ფართოდ უნდა ჩავაბათ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის მოსწავლენი, რომ ამ გზით შევავსოთ კადრების სიმცირე.

მოხსენების შემდეგ თათბირს პატაკით წარუდგა ქართული თვითმოქმედი მუშათა თეატრის წარმომადგენელი ამხ. ჩხეიძე, რომელმაც, სხვათა შორის, განაცხადა, რომ თეატრი თავის თავს დამკვრელად აცხადებს საკლუბო მუშაობაში.

გავაჯანსაღოთ კლუბების მუშაობა

ყრილობის მეორე და მესამე სხდომაზე სწარმოებდა კამათი ამხ. ე. ბედიას მოხსენების გარშემო, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 40-მდე კაცმა.

ორატორები აღნიშნავდნენ, რომ ჯერ კიდევ ორი წლის წინად, გადაწყდა კლუბების მუშაობის გადახალისება და კულტმუშაკების წმენდის ჩატარება, მაგრამ ამ მხრივ დღემდე არაფერი გაკეთებულა. მართალია, ვითომ მოხდა წმენდა, მაგრამ იგი იმდენად ცუდად ჩატარდა, რომ არავითარი გავლენა არ მოუხდენია კულტმუშაკების შემადგენლობის გაუმჯობესებაზე.

ხელმძღვანელობა საკლუბო მუშაობაზე ისევ კანცელიარიულად და ცირკულარების საშუალებით სწარმოებს. ამასთან ერთად ქაღალდები სრულიად გაუგებარი ენით იწერება.

ასეთი „ხელმძღვანელობის" შედეგად კლუბების მუშაობა ყოველგვარ კრიტიკის გარეშე სდგას. იმის ნაცვლად, რომ ჩვენი კლუბები მთელი თავისი შესაძლებლობებით სოციალისტური მშენებლობის მიზნებს ემსახურებოდნენ, აშუქებდნენ დამკვრელობის და სოცშეჯიბრების ამოცანებს და აწარმოებდნენ პოლიტიკურ აღმზრდელობითი მუშაობას, ჩვენს კლუბებში ისევ ყვავის ხალტურა, აპოლიტიურობა, ვიწრო „კულტუროსნობა" და სხვ.

გასულ წელს თბილისის 13 კლუბის შემოსავალი 850 ათას მანეთს უდრიდა. აქედან ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების დასაფარავად დახარჯულა 300.000 მანეთი, კინო და სხვა სანახაობა-გასართობებზე—279.000 მანეთი. ხოლო საპოლიტგანმანათლებლო მუშაობაზე მხოლოდ 50.000 მანეთი. ასეთია თბილისის კლუბების საქმიანობა. პროვინციაში კი, სადაც ხელმძღვანელობა კიდევ უფრო სუსტია (უფრო სწორად რომ ვსთქვათ სულ არ არის), მდგომარეობა გაცილებით უფრო ცუდია.

თათბირის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თბილისის საკონცერტო ბიურო. ის ორგანიზაცია იმ მიზნით არის მოწყობილი, რომ მიზანშეწონილად შეარჩიოს საკონცერტო და საესტრადო ძალები, რომლებიც მიზანშეწონილადვე უნდა გაანაწილოს. ფაქტიურად ეს ბიურო ხელს უწყობს აჟიოტაჟსა და კონკურენციას კლუბებს შორის. არავითარ ყურადღებას არ აქცევს რეპერტუარის საკითხს და ამის გამო ზოგიერთი გასტროლიორები კონტრ-რევოლუციონური შინაარსის ნომრებითაც კი გამოდიან კლუბებში.

კლუბების მუშაობის ახალ საფუძველზე მოწყობის მიზნით, ორატორები საჭიროდ სცნობენ, რომ პროფსაბჭომ თბილისში აიღოს ერთ-ერთი კლუბი, მოაწყოს იგი სანიმუშოდ, რომ სხვა კლუბებმა მისი მაგალითით ისარგებლონ. დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიღებული ზომები საკლუბო მუშაკების კადრის შესავსებლად მთელ საქართველოსათვის. საკლუბო მუშაობის ერთ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოებაც, რომ ჩვენ თითქმის სრულიად არ მოგვეპოვება ლიტერატურა ამ საკითხზე, რასაც აუცილებლად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. საჭიროა აგრეთვე საკლუბო მშენებლობის ფართოდ დაყენება, ვინაიდან ჩვენი კლუბების შენობები სრულიად ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას.

დასასრულ ორატორები მოითხოვდნენ, რომ დაუყოვნებლივ ჩატარდეს საკლუბო მუშაკების წმენდა და უვარგისი ხალხი ჩამოშორებულ იქნას საკლუბო მუშაობას.

გურჯაანი (კახეთი).—(შენდება მუშათა კოოპერატივის ახალი შენობა)

რეკონსტრუქციის პერიოდი და პრესის ამოცანები *)

ჩვენი პრესის ამოცანებს მიმდინარე პერიოდში განსაზღვრავს საბჭოთა კავშირის სამეურნეო და კულტურულ-სოციალისტური მშენებლობის ამოცანები მის ახალ ეტაპზე და ამოცანები საერთაშორისო პროლეტარიატის ბრძოლისა საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

ჩვენი პრესა უნდა ავიდეს ამ ამოცანების გაგების სიმაღლეზე და ამ ამოცანებთან შეფარდებით სავსებით უნდა გარდაქმნას თავისი მუშაობა ზევიდან ქვევით და ქვევიდან ზევით. პრესა სავსებით და მთლიანად უნდა გახდეს ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების მებრძოლ ორგანოდ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის ჩვენში, საბჭოთა კავშირში, და მთელ მსოფლიოში. ის უნდა წარმოადგენდეს ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების ფხიზელ თვალს მრეწველობაშიაც (თვითეულ საწარმოში, საამქროში, აგრეგატში) სოფლის მეურნეობაშიაც) თვითეულ საბჭოთა მეურნეობაში, კოლმეურნეობაში, უბანში, თვითეულ ბრიგადაში და სხვ.) და დაწესებულებაშიაც.

ის უნდა იყოს სიგნალიზატორი შეცდომებისა და ცალკე შეფერხებისა სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე ის ათასი, ათეული და ასეული ათასი ძაფით უნდა იყოს დაკავშირებული მშენებლობის ფრონტის ცალკე უბნებთან და მშრომელთა მრავალმილიონიან მასებთან. ის როგორც, გადამცემი ღვედი, პარტიიდან მასებთან და მასებიდან პარტიასთან, მტკიცედ უნდა იდგეს თავისი ბრძოლის საგუშაგოზე და არასოდეს არ უნდა ღალატობდეს თავის დანიშნულებას.

ის უნდა იყოს მებრძოლი ორგანიზატორი მასებისა სოციალისტური მშენებლობის ამოცანების ირგვლივ, შრომისა და ყოფა-ცხოვრების ახალი მეთოდებისა და ფორმების ირგვლივ. მასების წამყვანი წინ—სოციალიზმისაკენ და მათი აღმზრდელი კომუნიზმის საფუძველზე.

ჩვენმა პრესამ სავსებით უნდა შეითვისოს ის ცვლილებები, რომლებიც მოხდა და ხდება სოფლად. მან პირი უნდა იბრუნოს იმ ახალ ამოცანებისაკენ, რომლებიც ჩვენს წინაშე სდგანან სოფლად. არსებულ კოლმეურნეობების განმტკიცება, ახლების მოწყობა, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე, რაც გამომდინარეობს ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების ნამდვილ მოძრაობიდან ზოგიერთ რაიონებში, ნიადაგის მომზადება ამ ამოცანებისათვის სხვა რაიონებში კულაკობაზე იერიშის გაძლიერებით, პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციების განმტკიცებით, ბრძოლით კულაკურ აგენტურასთან პარტიის შიგნით და „მემარცხენე" ნახტომებთან, მოჯამაგირეების და ღარიბ გლეხების შეკავშირებით კოლმეურნეობებში და მათ გარეშე, საბჭოების და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მუშაობის გამოცოცხლებით და სხვ.—აი ის საკითხები, რომლებიც უნდა გააშუქოს ჩვენმა პრესამ სისტემატიურად სოფლისა და სოფლის მეურნეობის დარგში ჩვენი პარტიის მე-16 ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით. ჩვენმა პრესამ სისტემატიური და შეუპოვარი ბრძოლა უნდა აწარმოოს, რათა პირი ვიბრუნოთ ამ ამოცანებისაკენ. მან უნდა ამხილოს და სასტიკად შეუტიოს მათ, ვინც შეეცდება მათი განხორციელების ჩაშლას და შეფერხებას.

ამ საერთო ამოცანებთან შეფარდებით ჩვენმა პრესამ საქართველოში გადამჭრით და სასწრაფოდ უნდა გამოასწოროს ყველა თავისი ნაკლოვანებები, რომლებზედაც მე ზემოთ ვილაპარაკე.

მან მეტი საკუთარი ინიციატივა და თაოსნობა უნდა გამოიჩინოს, ყოველთვის სხვებისაგან კი არ უნდა სწავლობდეს, არამედ თავისი წვლილიც უნდა შეიტანდეს პრესის საწარმოო, ორგანიზაციულ და მასიური მუშაობის უკეთესი და ახალი ფორმების გამოგონების საქმეში.

ის მტკიცედ და გადაჭრით უნდა გადავიდეს გეგმიან მუშაობაზე. პრესის მუშაობის გეგმა უნდა ეფარდებოდეს ჩვენი სამეურნეო და კულტურულ სოციალისტურ მშენებლობის გეგმას.

ის უნდა განთავისუფლდეს აგიტაციურ რახა-რუხისაგან. და უნდა შემოიღოს მეტი „პროპაგანდიზმი". მან უფრო მკაფიო და სისტემატიურად უნდა დასვას და უფრო ღრმად დაამუშაოს ჩვენი სოციალისტური მშენებლობის და ჩვენი საგარეო და საშინაო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხები.

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის 5 წლიანი გეგმის საერთო პროპაგანდიდან ის უნდა გადავიდეს მის კონკრეტულ პროპაგანდაზე ოლქებისათვის, რესპუბლიკებისათვის, წარმოებებისათვის, საამქროებისთვის, აგრეგატებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისათვის, კოლმეურნეობებისათვის, ცალკე უბნებისა და მათი ბრიგადებისათვის და სხვ.

მან ბოლომდე უნდა მიჰყავდეს საქმე და უნდა შეეძლოს მიღწეული წარმატებების გამტკიცება. მან ცალკე საწარმოთა მიღწევები მთელს საბჭოთა საზოგადოებრიობამდე უნდა მიიტანოს და საუკეთესო საწარმოო გაერთიანებათა მაგალითებზე უნდა აღზარდოს ჩამორჩენილები და უარესები.

მან სისტემატიურად ან პერიოდულად უნდა აწარმოოს უცხოეთის პრესის მიმოხილვა და უნდა დაანახვოს მკითხველ მასებს განსხვავება იმას შორის, თუ როგორ ცხოვრობენ ჩვენში, როგორ ცხოვრობენ და იბრძვიან კაპიტალისტურ ქვეყნებში, კოლონიებში და ნახევრად კოლონიებში.

მას უნდა შეეძლოს მუშების ენთუზიაზმი თავის დროზე აიყვანოს დაბალი საფეხურიდან უფრო მაღალ საფეხურზე, უდიდესი საწარმოო ეფექტის მიღების მიზნით.

მან სისტემატიური და გადამჭრელი ბრძოლა უნდა აწარმოოს ორ ფრონტზე. უნდა დასვას ჩვენი პოლიტიკის საკითხები ისე ნათლად და მკაფიოდ, რომ ისინი არავითარ ეჭვსა და მითქმა-მოთქმას არ იწვევდნენ. მან სისტემატიურად და ყოველგვარი მიჩქმალვის გარეშე უნდა ამხილოს მემარჯვენე უკლონისტობა, „მემარცხენე" გამრუდებებით და მასთან შემარიგებლობის თეორია და პრაქტიკა. ჩვენი პრესის ცეცხლი მუდამ მიმართული უნდა იქნეს პარტიის ხაზიდან გადახრებისა და მათთან შემარიგებლობის წინააღმდეგ, განსაკუთრებით მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ, რომელიც წარმოადგენს ეხლანდელ პერიოდში მთავარ საფრთხეს. პრესამ ამით უნდა აღზარდოს ჩვენი პარტიული და მუშათა მასები ჩვენი პარტიის ნამდვილი პოლიტიკის ნიადაგზე და მარქსიზმ - ლენინიზმისაგან ყოველგვარ გადახრასთან შეურიგებლობის ნიადაგზე.

ჩვენი პრესის მუშაკებმა სერიოზულად ხელი უნდა მოჰკიდონ ჩვენი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის შესწავლას ჩვენი საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების შესწავლას მათთვის უკეთესი სამსახურის გაწევისა და თავისი მუშაობისათვის ოპერატიული ხასიათის მიცემის მიზნით.

ჩვენმა პრესამ სავსებით უნდა გაშალოს ბოლშევიკური თვითკრიტიკა „მიუხედავად პიროვნებისა", ამასთან არ უნდა დაუშვას არავითარი გატაცება „სენსაციით" და არავითარი გადამალვა თვითკრიტიკაში, ნაკლოვანებების, შეცდომების, ცალკე გადამახინჯებების, უმსგავსოების და თვითკრიტიკის ჩახშობის არავითარი მიჩქმალვა. **ჩვენმა პრესამ თვითკრიტიკის იარაღი უნდა გამოიყენოს ჩვენი პარტიის ლენინური ხაზისათვის საბრძოლველად და სოციალისტური მშენებლობის გეგმის გადაჭარბებით შესასრულებლად.**

ჩვენმა პრესამ უნდა განავითაროს ურთიერთ თვითკრიტიკა. გაზეთების ხარისხის გაუმჯობესებისა და პრესის მუშაკთა პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ერთი გაზეთის შეცდომა მისი გამოქვეყნების შემდეგ, თუ ის სასწრაფოთ არ გამოსწორდა, პასივად ჩაითვლება სხვა გაზეთებსაც.

ჩვენს პრესაში სათანადო სიმაღლეზე უნდა . იქნეს დაყენებული კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. კრიტიკამ და ბიბლიოგრაფიამ ჩვენი გაზეთების ფურცლებზე სწორად უნდა გააცნონ მკითხველთა მასებს ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის პროდუქციის ხარისხი, ის უნდა იდგეს მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიის სიწმინდის სადარაჯოზე და გადამჭრელი ბრძოლა უნდა აწარმოოს ჩვენთვის უცხო იდეოლოგიასთან პრესის, ლიტერატურის და ხელოვნების დარგში. **ჩვენი გაზეთების ხელმძღვანელები კრიტიკას და ბიბლიოგრაფიას მეტი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდნენ და პასუხს უნდა აგებდნენ მათთვის, ისევე როგორც ისინი პასუხს აგებენ მოწინავე წერილებისათვის.**

ჩვენმა პრესამ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს ენისა და სტილის გაუმჯობესებას. ენა გასაგები უნდა იყოს მკითხველებისათვის. განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს თარგმანებსაც, რომელიც ხშირად მთლად ამახინჯებს სათარგმნელ მასალას, და კომკავშირული პრესის ენას,—იმ პრესის, სადაც ხშირად ფრაზიორობით, რახარუხით, და უადგილოდ ჩაჩხირული მაღალფარდოვანი სიტყვებით ფარავენ შინაარსის უბადრუკობას.

ყველა ჩვენმა გაზეთებმა უნდა შემოიღონ სამხედრო განყოფილება ან კუთხე და სისტემატიურად გააშუქონ წითელი არმიისა და წითელი ფლოტის ცხოვრება და მიღწევები, სამხედრო საშიშროების, მშრომელთა გასამხედროების და საბჭოთა კავშირის თავდაცვის საკითხები.

უნდა მოხდეს ჩვენი გაზეთების გარდაქმნა მასიური მუშაობის ახალი ფორმების მიხედვით; უნდა მოგვარდეს სისტემატიური მუშაობა მკითხველ მასებთან, საჭიროა მუშკორებთან და გლეხკორებთან მუშაობა აყვანილი იქნეს უფრო მაღალ საფეხურებზე და მას სისტემატიური ხასიათი მიეცეს, ამ მუშკორებისა და გლეხკორების დარაზმვის მიზნით პარტიისა და ხელისუფლების ბრძოლითი ამოცანების ირგვლივ და მათი კვალიფიკაციის, თეორიული დონის და პრაქტიკული მუშაობის დონის ასამაღლებლად. ჩვენი გაზეთები კარგად უნდა იცნობდნენ თავიანთ მუშკორებს, გაზეთების მუშაობაში უნდა ჩააბან მუშათა მოჯამაგირეთა და ღარიბ-საშუალო გლეხთა მასების აქტივის ახალ-ახალი ფენები. საკოლმეურნეო მშენებლობის ზრდასთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთები მუშკორებისა და გლეხკორების რიგებს უნდა ავსებდნენ კორესპონდენტთა ახალი რაზმებით, კოლმეურნეკორესპონდენტთა ახალი რაზმებით.

ჩვენმა ცენტრალურმა გაზეთებმა მჭიდრო კავშირი უნდა დაიჭიროს ქვედა საფეხურის პრესასთან, ხელმძღვანელობა გაუწიოს მას, მისი საშუალებით უფრო ღრმად ჩაიხედოს ქალაქისა და სოფლის ცხოვრებაში და მისი მეოხებით მუშათა, გლეხთა და კოლმეურნეთა წრეში გამონახოს მუშკორების, გლეხკორებისა და კოლმკორების ახალი რაზმები.

ჩვენმა პრესამ უნდა გააძლიეროს ჩვენი ნაციონალური პოლიტიკის და განსაკუთრებით, პრაქტიკის გაშუქება, ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლასთან დაკავშირებით, პრესამ სისტემატიურად უნდა გააშუქოს პარტიული ორგანიზაციების და ცალკე რესპუბლიკების ამოცანები ამ ახალ ეტაპზე. მან გადამჭრელი ბრძოლა უნდა აწარმოოს იმ რუსული დიდმპყრობელური შოვინიზმის და ადგილობრივი ნაციონალიზმის ყოველ გამოხატულებასთან, რომლებიც ძირს უთხრიან ამიერ-კავკასიის ფედერაციას და აფერხებენ მის ფაქტიურ და რეალურ გადასვლას ახალ ეტაპზე. მან უნდა გააძლიეროს აღმზრდელობითი მუშაობა საქართველოს და ამიერ-კავკასიის მშრომელთა უფართოეს მასებს შორის და ამ მუშაობის დროს მიზნად დაისახონ კომუნიზმისა და ნამდვილად რევოლუციონური ინტერნაციონალიზმის დანერგვა.

ჩვენმა პრესამ უნდა გააძლიეროს მუშაობა მწერალთა შორის, ჩააბას ისინი თავის საქმიანობაში და დარაზმოს თავის ირგვლივ, ამასთან ერთად არა მარტო კომუნისტი და კომკავშირელი ჟურნალისტები და მწერლები, არამედ უპარტიო საბჭოთა მწერლები და ჟურნალისტები; აგრეთვე ინჟინერები, აგრონომები, ექიმები, მასწავლებლები, ეკონომისტები და სხვები, ისინი ვისაც აქვს უნარი და სურვილი გარკვევით და პატიოსნად ემსახუროს ჩვენს სამეურნეო და კულტურულ სოციალისტურ მშენებლობას ყველა ეტაპზე.

ის ძნელი, რთული და საპასუხისმგებლო ამოცანები, რომლებიც ბეჭდვითი სიტყვის წინაშე სდგანან, მთელი სიგრძე-სიგანით სვამენ საკითხს პრესის მუშაკთა კადრების შესახებ. სათანადო კადრების გარეშე შეუძლებელია ამ ამოცანების შესრულება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი პრესის ყველა ნაკლი წარმოსდგება იმისაგან, რომ ჩვენ გაზეთის მომზადებულ მუშაკთა მეტად მცირე კადრი გვყავს, ვინაიდან გაზეთს ადამიანები აკეთებენ და მისი პროდუქცია მთლიანად და სავსებით დამოკიდებულია იმათ ღირსებაზე, ვინც ამ გაზეთს აკეთებს.

პრესისათვის საჭირო კადრების პრობლემა ჩვენ უნდა გავხადოთ პრესის ცენტრალურ პრობლემად ამ პერიოდში. არ შეიძლება პრესის კადრების ერთბაშად შექმნა, კადრები მუშავდებოდნენ წლობით. ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა დავსვათ კადრების მომზადების საკითხი და დაუყოვნებლივვე გადავჭრათ იგი პრაქტიკულად. პრესისათვის საჭირო კადრების პრობლემის გადაჭრა საერთოდ უნდა მიმდინარეობდეს შემდეგი ხაზით:

სარედაქციო აპარატების გაწმენდა უვარგისი, უცხო და არამტკიცე მუშაკებისაგან;

სარედაქციო აპარატის კომუნიზაცია და გამუშურება აქტიურ მუშების, მუშკორების, გლეხკორების—მოჯამაგირეთა, ღარიბთა და კოლმეურნეთა გაბედული და გადაჭრილი დაწინაურებით;

დაწინაურებულთა სისტემატიური სწავლება პრაქტიკულ სამუშაოზე სხვადასხვა კურსებისა და სემინარიების მოწყობით.

კურსების, წრეების და სემინარიების მოწყობა მუშკორებისა და გლეხკორებისათვის და მათი სისტემატიური მუშაობა:

სახკოლო გადამზადება გაზეთის ძველი მუშაკების და ახლების მომზადება; საუკეთესო მუშაკების გადარჩევა ჟურნალისტიკის სახელმწიფო ინსტიტუტში გასაგზავნად; ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტთან ჟურნალისტიკის განყოფილების მოწყობა;

მიმაგრება გაზეთებზე საგაზეთო მუშაკთა განსაზღვრული კადრებისა, განსაკუთრებით იმათი, ვისაც გაუვლია საამისო სპეციალური სკოლები და კურსები.

აი საერთოდ ის ამოცანები, რომლებიც დგანან პრესის წინაშე მიმდინარე პერიოდში, მაგრამ ამოცანათა ამოცანას წარმოადგენს ნათლად გაგება ჩვენი პრესის მნიშვნელობისა, იმის, რომ პროლეტარიატის და მისი ავანგარდის—კომუნისტური პარტიის—უმაღლეს ამოცანას წარმოადგენს სოციალიზმის გამარჯვება საბჭოთა კავშირში და მთელ მსოფლიოში.

პრესამ უნდა იცოდეს, რომ იგი პროლეტარიატისა და მისი ავანგარდის ხელში წარმოადგენს იარაღს ამ ამოცანის შესასრულებლად. პარტია და მუშათა კლასი ყოველთვის და ყველაფერს, უკლებლივ უმაღლეს ამოცანას უქვემდებარებს, მოიყვანს მოძრაობაში მასებზე ზემოქმედების ყოველი ბერკეტი, მათ შორის პრესასაც, ამ ამოცანისათვის სამსახურის გასაწევად.

ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი პრესა დღემდე ასრულებდა იმ ამოცანებს, რომლებიც დაკისრებული ჰქონდა მას.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენი პრესა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, სასახელოდ შეასრულებს იმ ამოცანებს, რომლებიც მას დღევანდელ რეკონსტრუქციის პერიოდში დაეკისრა და უდიდეს სამსახურს გაგვიწევს ჩვენი უმაღლესი ამოცანის განხორციელებაში—სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებაში საბჭოთა კავშირში და მთელს მსოფლიოში.

ხ. მამულია.

---

*) დასასრული. იხ. „კომუნისტი" № 175

ქრონიკა

უცხოელების ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა ფეიქრობის სპეციალისტი ფრანგი ინჟ. რენე ბარელი, რომელიც მიწვეულია ლენინაკანში სამუშაოთ.

ჩამოვიდა აგრეთვე „ასოშიეტედ პრეს"-ის კორესპონდენტი ლი როი.

თბ. სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში

საქ. განათლების კომისარიატმა დაამტკიცა თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორატის შემადგენლობა. ინსტიტუტის დირექტორად დანიშნული დოც. ი. ვაშაყმაძე, დირექტორის მოადგილეებათ: დოც. გ. თავზარაშვილი (სასწავლო ნაწილის გამგე) და ამხ. სიმონ დოლიძე (სამეურნეო-ადმინისტრატიული ნაწილის გამგე). ინსტიტუტი დარჩა ყოფილი უნივერსიტეტის შენობაში.

პედაგოგიურ ინსტიტუტში შესვლის შესახებ განცხადებების მიღება გრძელდება აგვისტოს 15-მდე, რის შემდეგაც დაიწყებს მუშაობას მიმღები კომისია. მეცადინეობა პირველ კურსზე დაიწყება სექტემბრის 1-ლს, ხოლო დანარჩენ კურსებზე 25 სექტემბერს.

ცვალებად წითელ ლაშქრელთა საყურადღებოთ

ამხ. ფრუნზეს სახელობის № ქართულ მსრ. დივიზიის ცალკე მესანგრე ასეული 1 აგვისტოს იწვევს ცვალებადელთა შეკრებას. 1906 წელში დაბადებული ასეულის ცვალებად შემადგენლობის წითელი ლაშქრელები ვალდებული არიან ამ რიცხვისათვის დილის 7 საათზე გამოცხადდნენ მესანგრეთა ქუჩაზე № 21-ში.

თბ. ალმასკომში

◆ ქუჩების მორწყვა. კომუნალურმა განყოფილებამ გადასწყვიტა სისტემატიურად აწარმოოს ქუჩების მორწყვა.

◆ ბრძოლა მალარიასთან. კომუნალურ განყოფილებას დაევალა აწარმოოს საბურთალოს ჭაობების მაზუთით მორწყვა.

სხვადასხვა

◆ **თბილისის ალმასკომის სავალდებულო დადგენილებით** სავაჭრო-სამრეწველო სადგომების დაკავება საცხოვრებელ ბინებათ აკრძალულია.

◆ **გაზიანი წყლების სიმცირე.** უკანასკნელ დღეებში თბილისის ბაზარზე შესამჩნევი გახდა ხელოვნური გაზიანი წყლების სიმცირე. თბილისის ადგ. მრეწ. განყოფილებამ წინადადება მისცა ქარხნებს გაადიდონ გაზიანი წყლების გამოშვება.

◆ **საზამთროების მიღება.** თბილისის სამომხმარებლო კოოპერაციის მისამართით ყოველდღიურად ღებულობენ 3-4 ვაგონ საზამთროებს.

◆ **ახალწვეულთა საღამო.** დღეს საღამოს ფიზკულტურის საზაფხულო კლუბში (ეორდანის ქ. № 3) მუშკოოპის კულტსექტორი აწყობს სპეციალურ საღამოს 1908 წელს დაბადებულ ახალწვეულთათვის. მუშკოოპის წევრ ახალწვეულთათვის შესვლა უფასოა.

◆ **ბინათკავშირის ახალი თავმჯდომარე.** ამხ. ვარძიელის სხვა სამუშაოზე გაწვევის გამო, ბინათკავშირის თავმჯდომარეთ არჩეულია დაწინაურებული მუშა ამხ. გრ. ბაკურია.

—:—

შეცდომის გასწორება

ამხ. ფ. მახარაძის წერილში „ახალი მშენებლობა თბილისში", რომელიც მოთავსებული იყო გაზ. „კომუნისტის" № 168, დაშვებულია შემდეგი შეცდომები: სვეტი მე-4, ცხრილი—მოსახლეობის ზრდის საშუალო ყოველწლიური %:

სწერია:
1926-1930 წ. 9,4, უნდა იყოს:
1926-1930 წ. 2,4

სვეტი მე-5 თავიდან მე-8 სტრიქონი, სწერია:

ეს გარემოება გაკვირვებას უნდა იწვევდეს.

უნდა იყოს: ეს გარემოება გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს.

1-ლ აგვისტოს წინ

მოხსენებები

საერთაშორისო ანტი-იმპერიალისტურ დღესთან დაკავშირებით, საქ. თავდაცვა-ავიაქიმი ატარებს მოხსენებებს თბილისის წარმოება-დაწესებულებებში. მოხსენებების მიზანია 1-ლი აგვისტოს მნიშვნელობის განმარტება და თავდაცვა-ავიაქიმის ამოცანების გაშუქება.

მოხსენებები წარმოებებში მიმდინარეობს მუშა-მოსამსახურეების აქტიური მონაწილეობით. მოხსენებების ირგვლივ გამართულ კამათში მუშა-მოსამსახურეები გამოსთქვამენ სურვილს მიიღონ უახლოესი მონაწილეობა ავიაქიმის უჯრედების მუშაობაში, საზოგადოების პრაქტიკულ ორგანიზაციებში. მუშა-მოსამსახურენი მოითხოვენ, რომ შემდეგში ავიაქიმმა უფრო გააძლიეროს თავისი საქმიანობა და ჩააბას თავის რიგებში რაც შეიძლება მეტი ძალები.

მოხსენებები ჩატარდა პოლიგრაფტრესტის საწარმოებში, გეოდეზიურ სამმართველოში, საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოში და სხვ.

ლენრაიონი ემზადება 1-ლ აგვისტოსათვის

ლენრაიონის ავიაქიმის ორგანიზაციებში მიმდინარეობს გაცხოველებული მუშაობა პირველ აგვისტოსათვის. 27 ივლისს ავიაქიმის და რემედასის უჯრედების მდივნების გაერთიანებულ თათბირზე ვრცელი მოხსენებით 1-ლ აგვისტოს მნიშვნელობის შესახებ გამოვიდა საქ. ავიაქიმის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. მ. დოივაშვილი. მოხსენების შემდეგ თათბირმა დაამტკიცა 1-ლ აგვისტოს ჩატარების რაიონული გეგმა.

ლენრაიონის ავიაქიმის საბჭომ გამოიწვია შეჯიბრებაში 1-ლ აგვისტოს საუკეთესო ჩატარების მიზნით „26"-ის რაიონის საბჭო.

თათბირმა დაადგინა 1-ლ აგვისტოს მიავლინოს ყაზარმაში მუშების და მუშა-ქალების ბრიგადები, რომლებიც შეაკეთებენ ყაზარმის და წითელარმიელების ლოგინს და ტანსაცმელს.

სამზადისი აჭარისტანში

ავიაქიმის აჭარისტანის ორგანიზაცია იტყობინება, რომ ბათომი და აჭარისტანის სოფლები გაცხოველებით ემზადებიან ანტი-იმპერიალისტური დღისათვის.

31 ივლისს მოწვეულია ავიაქიმის, რემედასის და არმიის ნაწილების საერთო კრებები მუშებთან ერთად. კრებებზე გაკეთებული იქნება მოხსენებები საბჭ. კავშირის თავდაცვის შესახებ.

ამავე დღეს პროფკავშირების სტადიონზე ჩატარებული იქნება ავიაქიმის წრეების შეჯიბრება სროლაში.

30 ივლისს მოეწყობა მოქალაქეების მასიური „ქიმიური ნათვლა", მათი გატარება შხამიან გაზებით სავსე შენობაში.

31 ივლისს მოეწყობა საჰაერო ქიმიური „თავდასხმა" ბათომზე და ქიმიური ომის ინსცენიროვკა.

ეწყობა გასამხედროებული ველო-გადარბენა.

1-ლ აგვისტოს აზიზიეს მოედანზე დანიშნულია გრანდიოზული მიტინგი, ამავე დღეს, 4 საათზე, გაიმართება ავიაქიმელების ალლუმი.

სოფლად 1-ლ აგვისტოს, მოეწყობა მიტინგები და სასროლო შეჯიბრებები.

ღონისძიებები საბჭოთა აპარატის წმენდის გასაუმჯობესებლად

თბილისის საოლქო კომიტეტში შესდგა დაინტერესებულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების თათბირი. თათბირმა მოისმინა ამხ. ასრიბეკოვის საინფორმაციო მოხსენება საბჭოთა აპარატის წმენდის მიმდინარეობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა უკანასკნელ ხანებში საბჭოთა აპარატის შემოწმებასა და წმენდაში მიღწეული შედეგები და მიუთითა აგრეთვე მთელ რიგ ნაკლოვანებებზე. მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ვარძიელმა, გორდელაძემ, მაისურაძემ, ერისთავმა, ვარლამოვმა და არუთინოვმა. კამათში მონაწილე ამხანაგები მიუთითებდნენ დღემდის ჩატარებულ აპარატების წმენდის დეფექტებზე და აუცილებელ საჭიროდ სცნობდნენ მომავლისათვის ამ დეფექტების გამოსწორებას, პარტიულ, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციების ყურადღების გამახვილებას საბჭოთა აპარატის შემოწმებისა და წმენდისადმი.

კამათის დამთავრების შემდეგ თათბირის მიერ მიღებულ რეზოლიუციაში აღნიშნულია: მიუხედავად საგრძნობი გაუმჯობესებისა, საბჭოთა აპარატის წმენდა დღემდე ვერ გადაიქცა ცენტრალურ, პოლიტიკურ ამოცანად პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალური ორგანიზაციების მუშაობაში. დღემდე შემოწმებულ დაწესებულებების უმრავლესობაში საბჭოთა აპარატის წმენდა ატარებდა ერთეულთა გაწმენდის ხასიათს, ხოლო მნიშვნელოვანი ამოცანა, როგორიცაა აპარატის მუშაობის სისტემის შესწავლა, აპარატის სტრუქტურა და ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების საკითხი, ყურადღებიდან იქნა გამოშვებული. აპარატის წმენდაზე მუშგლეხინის ხელმძღვანელობას ახასიათებს მთელი რიგი ნაკლოვანებები, მუშგლეხინის აპარატი სუსტად არის ჩაბმული საბჭოთა აპარატის წმენდაში. თბილისის საოლქო კომიტეტის და რაიკომების მიერ დღემდე არ იყო საკმაო სისტემატიური და თანამიმდევრობითი ხელმძღვანელობა აპარატის წმენდაზე. მთელ რიგ დაწესებულებებში შემმოწმებელი კომისიები გაიტაცა მთლიანად ყველა თანამშრომლების წმენდაში გატარებამ და გასაწმენდი კანდიდატურების მიმართ არ იქნა წამოყენებული საკმაოდ დასაბუთებული ბრალდებები, რაც სახელს უტეხდა თვით აპარატის წმენდას და ზოგან წმენდა იღებდა უბრალო „გასართობ" ხასიათს. ადმინისტრატიულ-სამეურნეო აპარატის ზოგიერთი ხელმძღვანელები ზერელედ ეპყრობოდნენ აპარატის წმენდის საკითხებს და ზოგან აშკარად უვარგის, სოციალურად უცხო ელემენტების დაცვით ხელსაც კი უშლიდნენ მას. როგორც საქართველოს პროფსაბჭოს, ისე პროფკავშირთა ცენტრალური გამგეობების მიერ არ იყო საკმაო ხელმძღვანელობა აპარატის წმენდაში ფართე მშრომელი მასების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. მთელ რიგ ადგილებში არასისწორით იქნა შერჩეული დამხმარე კომისიები და უმეტეს შემთხვევაში ისინი მუშაობდნენ პროფკავშირების ხელმძღვანელობის გარეშე. ჯერ კიდევ არ არის სათანადო მუშაობა ჩატარებული გაწმენდილთა შესაცვლელად დასაწინაურებელი კადრების მომზადებისათვის.

თათბირმა თავის დადგენილებაში აუცილებელ საჭიროდ სცნო შემმოწმებელმა კომისიებმა დაწვრილებით შეისწავლონ ყველა მასალებით გასაწმენდ თანამშრომლის მიმართ და ამ გზით უზრუნველჰყონ აპარატიდან გასაძევებელ პირთა სისწორით შერჩევა. მუშგლეხინმა უნდა გააძლიეროს შემმოწმებელი კომისიების შემადგენლობა. პარტიის რაიკომებს, სათანადო პროფორგანიზაციებთან ერთად დაევალა, მოკლე ხანში, რაიონის პარტიულ და პროფაქტივის მოწვევა შემმოწმებელი კომისიების მონაწილეობით, სადაც უნდა დაისვას განსახილველად თბ. საოლქო კომიტეტის და საქართველოს ცენტრ. საკონტროლო კომისიის დადგენილებები. თათბირმა მიზანშეწონილად სცნო საქ. საკონტროლო კომისიის დადგენილება—მეოთხე კვარტალში მხოლოდ კოოპერატიულ და სავაჭრო ორგანიზაციების წმენდით დაკმაყოფილების შესახებ. თათბირმა დაადგინა ძირეული საბჭოთა აპარატის წმენდა შეჩერებულ იქნას მიმდინარე წლის პირველ ოქტომბრამდე. ზაფხულის პერიოდი გამოყენებული უნდა იქნას მოსამზადებელ მუშაობის ჩასატარებლად და ფართედ განემარტოს ღარიბ-საშუალო გლეხთა მასებს საბჭოთა აპარატის წმენდის ამოცანები. თათბირმა არასწორად სცნო მუშკოოპის თანამშრომელთა მთლიანი წმენდა და დაადგინა შეჩერებულ იქნას ის ერთი თვის განმავლობაში. ამ ერთ თვეში უნდა ჩატარდეს მოსამზადებელი მუშაობა, მუშკოოპის აპარატის პირადი შემადგენლობის შესწავლა მუშათა ბრიგადების ფართე და აქტიური მოზიდვის საშუალებით. თათბირმა დაადგინა სპეციალური მოხსენება იქნას მოსმენილი თბ. კომიტეტის ბიუროში საბჭოთა აპარატზე მუშათა შეფობის შესახებ. თათბირმა საჭიროდ სცნო ბრიგადის წევრთათვის, რომლებიც წმენდაში მონაწილეობას იღებენ კურსების მოწყობა და დასაწინაურებელთა კადრების თავის დროზე მომზადება.

რიონჰესი.—საფუძვლის ჩაყრა გენერატორული სადგურის შენობისათვის.

ამერიკელი მეცნიერები თბილისში

თბილისში ჩამოვიდნენ ამერიკელი მეცნიერები—ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროფესორი—**მალვინ დრეზბახი**, პროფ. **ვილიამ ბერრი** და ფილადელფიის უნივერსიტეტის პროფესორი **ვალტერ ხიიდი.**

საბჭოთა კავშირში მათი ჩამოსვლის მიზანს შეადგენს საბჭოთა მეცნიერების ახალ მიღწევებთან გაცნობა და კულტურული ყოფაცხოვრების შესწავლა. მათ უკვე ჩამოიარეს საბჭოთა კავშირის მთავარი ცენტრები და გაეცნენ სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობას.

თბილისში ამერიკელი მეცნიერები დაათვალიერებენ ბოტანიკურ ბაღს, მუზეუმებს და გაეცნობიან სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობას.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ამერიკელმა მეცნიერებმა განაცხადეს, რომ მეცნიერული შემოდგომისათვის, მათი აზრით, არც ერთ ქვეყანაში არაა ისე კარგი და შესაფერისი ნიადაგი, როგორც საბჭოთა კავშირში და მათის აზრით, მხოლოდ ამ გარემოებით აიხსნება ის, რომ უკანასკნელ წლებში საბჭოთა მეცნიერებას აქვს საერთაშორისო მნიშვნელობის მიღწევები.

საექიმო ქსელის მოწყობა

შირაქის ნავთის სარეწაოებზე

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა დაავალა სამკურნ. განყოფილებას მიიღოს სასწრაფო ზომები შირაქის ნავთის სარეწაოების მუშებისათვის სამკურნალო ქსელის მოსაწყობად. პირველ რიგში გადაწყვეტილია გაიხსნას 10 საწოლიანი საავადმყოფო წითელ წყაროზე. არსებული საექიმო პუნქტი გადაკეთებული იქნება ამბულატორიად, რომელთანაც მოეწყობა აგრეთვე კბილის სამკურნალო კაბინეტი.

მირზაანის ნავთის სარეწაოების მუშებისათვის გადაწყვეტილია გაფართოებულ იქნას არსებული საფერშლე პუნქტი, რომელიც საექიმო დახმარებას აღმოუჩენს პატარა შირაქის ნავთის სარეწაოების მუშებსაც.

გარდა ამისა ჯანსახკომმა გადასწყვიტა ჭაბურღილის ამოსავალ თვითეულ კოშკთან მოაწყოს ე. წ. პირველი საექიმო დახმარების აფთიაქები. დიდი აფთიაქი მოეწყობა მირზაანის ნავთის სარეწაოებთან.

აფთიაქისათვის, საავადმყოფოსათვის და ამბულატორიისათვის საჭირო მედიკამენტებისა და საექიმო იარაღების ნაწილი უკვე გადაგზავნილია დანიშნულებისამებრ.

ამიერ-კავკასიის საუკეთესო მსროლელები

24 ივლისს დამთავრდა ამიერ-კავკასიის სასროლო შეჯიბრება, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის მსროლელები. გუშინ შესდგა მსაჯთა კოლეგიის სხდომა, სადაც დამუშავებული იქნა შეჯიბრების საბოლოო შედეგები.

პირველი ადგილი სროლაში მცირე ყალიბიანი თოფიდან — 50—100—300 მეტრის მანძილზე დაიკავა საქ. თავდაცვა-ავიაქიმის გუნდმა (1444 მოხვედრა 1800-დან), მეორე ადგილი დაიკავა აზერბეიჯანის ავიაქიმის გუნდმა (1.400 მოხვედრა),

სროლაში „როს"-ის სისტემის თოფიდან 400—600 მეტრის მანძილზე პირველი ადგილი დაიკავა აზერბეიჯანის გუნდმა (890 მოხვედრა 1200-ან), მეორე ადგილი დაიკავა საქართველოს ავიაქიმის გუნდმა 789 მოხვედრა).

სროლაში სამხაზიანი შაშხანა თოფიდან გამარჯვებული გამოვიდნენ საქართველოს და აზერბეიჯანის ავიაქიმის გუნდები.

შეჯიბრებაზე სწარმოებდა ჩქარი სროლა საბრძოლო თოფებიდან 5 კილომეტრის მანძილის გადასვლით. პირველობა აქ ხვდა საქ. ავიაქიმის გუნდს.

წელს პირველად საბჭოთა კავშირში, ჩატარებული იქნა ქალების შეჯიბრება სროლაში. სროლაში მცირე ყალიბიანი თოფიდან გამარჯვებული გამოვიდნენ: ლაგუნოვა მარ. (აზერბეიჯანი, პირველი ადგილი), ბაბენკო ფ. (სომხეთი, მეორე ადგილი), გორიაჩევა ა. (მესამე ადგილი).

სროლაში საბრძოლო თოფებიდან პირველი ადგილი ხვდა ა. გორიაჩევას (აზერბეიჯანი), მეორე — ვართანოვას (საქართველო), მესამე — ლაგუნოვას (აზერბეიჯანი).

სრ. საკავშირო სასროლო შეჯიბრებაში კოლეგიამ მიავლინა 11 მსროლელი.

ამიერ-კავკასიის სასროლო შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ სასროლო სპორტი ამიერ-კავკასიაში დღითიდღე ვითარდება და უმჯობესდება. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს ამჟამად ჰყავთ მრავალი საუკეთესო მსროლელი, რომლებიც კარგად ხმარობენ იარაღს და იციან მისი გამოყენება. კერძოდ, სასროლო შეჯიბრებას, მიღწევებთან ერთად, ჰქონდა მრავალი ნაკლი. სომხეთის ავიაქიმმა შეჯიბრებაზე მიავლინა მხოლოდ ქალების გუნდი. ამის გამო შეუძლებელია მსჯელობა სომხეთის ავიაქიმის სასროლო სპორტის მდგომარეობაზე. აზერბეიჯანის ავიაქიმმა არ მიავლინა შეჯიბრებაზე არც ერთი თურქი მსროლელი და თურქი ქალები. ეს გარემოება აღნიშნულია ა.-კ. ავიაქიმის პრეზიდიუმის მიერ და გამოტანილია სათანადო დადგენილება.

ფიზკულტურა და სპორტი

კავკ. წ.-დრ. არმიის სასროლო-სასპორტო შეჯიბრება

დაიწყო კავკ. წით.-დროშოვან არმიის ნაწილების შეჯიბრება სროლაში. სროლის წინასწარი შედეგები ასეთია: პირველი ადგილი დაიკავა აზერბეიჯანის დივიზიის გუნდმა. სროლაში 400 მეტრის მანძილზე 600 ტყვიიდან მოხვედრილი იქნა მიზანში 473 ტყვია. სროლაში 600 მეტრის მანძილზე მოხვედრილი იქნა 373 ტყვია. საერთოდ 1,200 შესაძლებელ მოხვედრიდან მიზანს მიაღწია 816 ტყვიამ, რაც საუკეთესო სროლის შედეგების მაჩვენებელია.

კარგი შედეგები აქვს სროლაში 1-ლ კავკ. მსრ. დივიზიის გუნდს. 400 მეტრის მანძილზე მოხვედრილი იქნა მიზანში 447 ტყვია, 600 მეტრის მანძილზე—321 ტყვია.

შეჯიბრებამ სროლაში გამოაშკარავა არმიის ნაწილების საუკეთესო მომზადება სროლის სქემაში. არმიელები კარგად იცნობენ იარაღს, ადვილად მიზანში ამოღება და სროლის ხერხები. სროლის პირველ დღეს გამარჯვება ხვდა არმიელს პშენიცინს (154 მოხვედრა), კუნცევიჩს (141 მოხვედრა) და ქავთარაძეს (144 მოხვედრა).

შეჯიბრების მეოთხე დღეს ქალაქ გარედ შესდგა ოცეულების გადარბენა 15 კილომეტრის მანძილზე სროლით და დაბრკოლებების გადალახვით. მიუხედავად დიდი სიცხისა, გზის სიძნელისა და მტვერისა, არმიელებმა ბრწყინვალედ შეასრულეს მიცემული ამოცანა. გზა ერთი კილომეტრის მანძილზე მოწამლული იყო შხამიანი გაზებით. არც ერთ არმიელს არ ჩამოუხსნია გაზის საწინააღმდეგო ნიღაბი. ფინიშთან ყველა არმიელები მივიდნენ ერთად, არ იყო არც ერთი ჩამორჩენილი.

კოოპერაცია შეჯიბრების ადგილზე მუშაობს ძალიან სუსტად. კოოპერაციის ხელმძღვანელების დაუდევრობით, არ არის გასაგრილებელი სასმელები, არ არის მოწყობილი სავაჭრო წერტები საკმაო რაოდენობით. ვაკეზე, სადაც ტარდება სროლა, არ მოიპოვება არც ერთი სავაჭრო პატარა სასროლო მოედანზე ბორჯომის წყალი და სხვა სასმელები აწყვია მზეზე. შეჯიბრების მონაწილენი აღშფოთებულნი არიან კოოპერაციის მოუქნელობით და საქმისადმი დაუდევრათ მოპყრობით.

არაჩვეულებრივი სიცხე თბილისში

ამ უკანასკნელ დღეებში თბილისში ტემპერატურამ ძალიან აიწია. 25, 26 და 27 ივლისს მზეზე მაქსიმალური ტემპერატურა 60 გრადუსზე მეტი იყო. განსაკუთრებით მაღალი ტემპერატურა იყო 27 ივლისს—66,9 გრ. ტემპერატურა ჩრდილში (მაქსიმალური) 25 ივლისს იყო 33 გრ., 26-ს 34,9 გრ. და 27-ს 37,8 ასეთი მაღალი ტემპერატურა თბილისში ამ უკანასკნელ წლებში არ ყოფილა. შედარებით დიდი ნოტიობის გამო, სიცხე განსაკუთრებით საგრძნობია.

უნდა აღინიშნოს, რომ მთელ საქართველოში ადგილი აქვს ტემპერატურის აწევას. ასე, მაგალითად, გორში ტემპერატურა ჩრდილში 27 ივლისს უდრიდა 32,4 გრ., ლაგოდეხში—34,5 გრ., სამტრედიაში—32,4 გრ., საგარეჯოში—32,7 გრ., ცხინვალში—33,1 გრ.

სოხუმშიაც არაჩვეულებრივი სიცხეა—ტემპერატურა ჩრდილში 27 ივლისს 33 გრ. იყო. 27 ივლისს ყველაზე მაღალი ტემპერატურა იყო თბილისში, შემდეგ ჯულფაში, განჯაში და ერევანში.



თადარიგის არმიელები ბანაკად.—სწმენდენ იარაღს

რკინისგზებზე

სამარშრუტო მატარებლის დამტვრევა

26 ივლისს სადგ. კუხეთში (აღმოსავლეთის უბანი) დაიმტვრა ბათომიდან ბაქოსაკენ დაბრუნებული სამარშრუტო მატარებელი № 710.

მატარებელი დაიძრა სადგურიდან ცივი წყაროსაკენ. გასასვლელ ისარზე შემადგენლობიდან ლიანდაგს ასცდა ათი ცისტერნა. მათ შორის ორი ჩაიჭრა მიწაში და გადაბრუნდა გვერდზე.

ხაზი კუხეთ—ცივი-წყაროს შორის დაიკეტა და მატარებლების მოძრაობა შესწყდა. შემთხვევის ადგილზე გაგზავნეს დამხმარე მატარებელი მუშებით. ცისტერნების მალე ამოღება შეუძლებელი იყო და ამის გამო საჭირო შეიქნა მოსავლელი ხაზის დაგება. მოძრაობა აღდგენილ იქნა მოსავლელი ხაზით 27 ივლისს, დილის 4 საათზე და 15 წუთზე.

მოძრაობა შეწყვეტილი იყო 14 საათის განმავლობაში. ყველა მატარებლები ამ ხნის განმავლობაში იდგენ გზაში და სადგურებზე.

მატარებლის დამტვრევა გამოიწვია ხაზის გაფართოებამ.

კიდევ ავტომობილის კატასტროფა

26 ივლისს, ნაშუადღევის 3 საათზე, ამიერკავკ. რკინის გზის დირექციის ავტომობილმა, რომელსაც მართავდა შოფერი პეტრე სუპრიმოვი, განიცადა ძლიერი კატასტროფა. კატასტროფა მოხდა შემდეგ პირობებში: მანქანაში ისხდნენ 4 მგზავრი და შოფერი. რომელიც მოდიოდა სასადილო „ვერდენი"-დან. მანქანას მთვრალი შოფერი არ ზოგავდა და სიჩქარეს აორკეცებდა. დიდი სიძლიერით მომავალი მანქანა დაეჯახა ჯებირს და მანქანაში მსხდომი მგზავრები ყველანი მიწაზე გადმოცვივდნენ. სამი მგზავრი მსუბუქად დაშავდა ხოლო ერთი ანტონინა როდოძინა, სასიკვდილოდ. მანქანა დაზიანდა. შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა გამომძიებელი მესარქიშვილი და მილიციის წარმომადგენელი. გამომძიებელ მესარქიშვილის დასკვნით, კატასტროფა გამოიწვია შოფერის სიმთვრალემ. შოფერი დაპატიმრებულია.

შემთხვევები

უბედური შემთხვევა

ხარფუხში, საზამთრო მოედნის მახლობლად, წყაროს წყლისათვის რიგში დგომის დროს ჩამოინგრა ქვის კედელი, რომელმაც მძიმედ დააშავა დავით მეტრეველი, ივანე სარქისოვი, ფლორენცია დოლიძე, დავით გელაშვილდაშვილი, ნინა სარქისოვი და ელისაბედ გურგენიძე. ყველა დაშავებულნი მოთავსებული არიან ქალაქის 1-ლ საავადმყოფოში.

დახრჩობა ბანაობის დროს

მტკვარში ბანაობის დროს დაიხრჩო გ. აკოფოვი (ცხრა ძმის ქ. № 46). გვამი ვერ აღმოაჩინეს.

მეორე სართულიდან გადმოვარდნა

მაუდის ქარხნის საერთო საცხოვრებლის მეორე სართულიდან გადმოვარდა ლეონიდე რუხაძე და მძიმედ დაშავდა. დაშავებული მოთავსებულია საავადმყოფოში.

დაჭრა

ალი ასკარ ოღლიმ დანით მძიმედ დასჭრა ასკერ მამედ ოღლი. ბოროტმოქმედი დაპატიმრებულია.

ჯიბგირობა

ფუნიკულიორზე ვერა კოსტინსკაიას ჯიბიდან ამოაცალეს საფულე 60 მანეთი ფულით, შემნახველი სალაროს წიგნაკით და სხვა საბუთებით. ტრამვაიში ასვლის დროს, პეტრე აბგაროვს ჯიბიდან ამოაცალეს 147 მანეთი.

ქურდობა

რისიმე მანუკოვის ბინიდან (ავლაბრის შეს. № 3) მოიპარეს 800 მანეთის საოჯახო ნივთები.

გიორგი გვიმრაძის ბინიდან (საბჭოს ქ. № 235) მოიპარეს 400 მან. ნივთები.

ამის გარდა 26-27 ივლისს თბილისში ადგილი ჰქონდა წვრილი ქურდობის 7 შემთხვევას.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტში დღეს, 29 ივლისს, საღამოს სრულ 6 საათზე შესდგება მიმღები კომისიის სხდომა. კომისიის წევრთა ამხ. პოპოვის, ზაჟრაძის, გრიგორიანის მეგრელიშვილის, კერვალიძის, ბაბუციძის, ბალდასაროვის, მანეთაშვილის, ვაშაძის, აზაროვის, ვარამაშვილის, გარსევანოვის, ერემინის, ნასყიდაშვილის, იაგნეტინსკის, მეშველიანის, შირზახანოვის, ნაზარეტიანის, რონზანის, შლებრიშვილის, სამოილოვის და პეტრუზოვის დასწრება სავალდებულოა.

—:—

საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის განმანაწილებელი განყოფილება, ცენტრალურ კომიტეტში (ოთახი № 22), განმეორებით იწვევს შემდეგ ამხანაგებს: ს. პატიუკი (ამიერ-კავკ. სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭო), ნიკოლოზ მრიკოტენკო (ამიერ-კავკ. რკინის გზა), იოსებ მილინი, ბარნაბ თევზაძე და აკაკი ჩხარტიშვილი.

—:—

საქართველოს კ.პ. (ბ) ცეკას კულტურისა და პროპაგანდის განყოფილება იუწყება, რომ, ცენტრალური კომიტეტის სამანდატო კომისიის მიერ წითელი პროფესუროს ინსტიტუტის ამიერ-კავკასიის მოსამზადებელ განყოფილებაში დამტკიცებულნი არიან შემდეგი ამხანაგები: ერვანდ მოსესოვი, აშოტ არუთინოვი, ს. ჩელამბეევი, ბერგმანი, ზაბულენკო, ვართანიანი, იაკობ ბაბეიო და იური ვაჩნაძე. ამხ. ბულინოვს, მურადოვს და ს. პეტროსიანს ეცნობებათ დამატებით.

საზაფხ. ეთერი (სახ. ოპ. ბაღი) I სეანს. დ. 9 ს. 15 წ.
მხატვრული სურათი ნარკომ-ფილმის ნაწარმოები
ბავშვის გულისათვის

საზაფხ. აპოლო (დარბ. ბაღი) I სეანს. დ. 9 ს. 15 წ.
მილლი ტაუტ-კორსო, ფ. ნიკიტინი მხატვრულ სურათში
სიცოცხლე სრული სისწრაფით

სპარტაკი (ყოფ. არფასტო) I-ლი სეანსის დასაწყისი 7 ს.
არსენ ჯორჯიაშვილი
პროგრამის გარეშე
ხელოვნების ოლიმპიადა

საზაფხულო პალასი 1-ლი სეანსის დას. 7 ს. 30 წ.
უცხოეთის ახალი ფილმი
სამი ჯიბი
რეჟისორი რიხარდ ეიხბერგი.
ოპერატორი ჰენრიხ გერტერი.
0—21

საზაფხულო აპოლო
(დარბაზის ბაღში)
დღეიდან, 29 ივლისიდან
მილლი ტაუტ-კორსო, ფ. ნიკიტინი
(სურ. „იმპერიის ნამსხვრევი"-ს გმირი)
მხატვრულ ფილმში
სიცოცხლე სრული სისწრაფით
(ხომალდები ზღვაში)
სავსებით შესაძლებელი ამბავი
რეჟისორი
ედუარდ იოგანსონი.
ნ. 1114

მასწავლებლები
უმაღლესი ცოდნით
ამზადებენ მოწაფეებს:
სპეც-ტეხნიკუმებისათვის, მუშფაკებისათვის და საბუხჰალტრო კურსებზე შესასვლელად.
პირობების გაგება 4—7 საათამდე. კარგარეთელის ქ. № 3-A, ბინა № 2. (ყოფ. პირაგოვის ქ. კინო აპოლლოს მახლობლად). 25—25

სახელმწიფო სრულიად საკავშირო
გაერთიანება
„ლექტეხსირიო"
1930-31 სასწავლო წლის დასაწყისიდან ჩრდილოეთ-კავკასიის სპეციალურ ტეხნიკურ კულტურათა ინსტიტუტთან ქალ. კრასნოდარში, და სასოფლო-სამეურნეო და სატყეო ტეხნიკუმთან ქალ. მაიკოპში
ხსნის სამკურნალო და ეთეროვანი მცენარეების სპეც. განყოფილებებს.
განყოფილებები გაიხსნება მიმდინარე წლის შემოდგომაზე, სწავლის ვადა როგორც ინსტიტუტში, ისე ტეხნიკუმში განსაზღვრულია სამი წლით.
კურსების მსმენელებს სახელმწიფო სრულიად საკავშირო გაერთიანება „ლექტეხსირიო" აძლევს სახელმწიფო სტიპენდიას.
ინსტიტუტში შემსვლელებს დამთავრებული უნდა ჰქონდეთ ცხრაწლედი, ტეხნიკუმში შემსვლელებს კი შვიდწლედი, ან მათ უნდა ჩააბარონ შესამოწმებელი გამოცდა ამ პროგრამების ფარგლებში.
სწავლის მსურველთა განცხადებები ცნობებით ასაკის, ეროვნების, განათლების, პარტიულობის, სოციალური მდგომარეობის და პროფკავშირის წევრობის შესახებ და იმ ცნობით, თუ რომელი ორგანიზაცია გზავნის სწავლის მსურველს ან სასურველად სთვლის მას, წარმოდგენილ უნდა იქნას არა უგვიანეს ა/წ. 3 აგვისტოსი.
მსმენელად ჩარიცხვის დროს უპირატესობა ეძლევა კოლმეურნე გლეხებს, ღარიბ და საშუალო გლეხებს და მოჯამაგირეებს.
განცხადებები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: თბილისი, კალოუბნის ქ. № 8 საკ. გაერთ. „ლექტეხსირიო"-ს ამიერ-კავკასიის კანტორა.
სრ. საკავშ. გაერთიანების „ლექტეხსირიო"-ს
ნ. 1122 ამიერ-კავკასიის კანტორა.

შუა აზიის მებამბეობისა და საირიგაციო პოლიტეხნიკური ინსტიტუტი („სასპი") ტაშკენტში.

1. ინსტიტუტში ახლად მისაღებთა განაწილება.

ფაკულტეტები	აზერბ.	სომხ.	საქ.	[illegible]	[illegible]	სულ
1. საბჭ. და კოლექტ. მეურნეობების	15	5	3	2	15	40
2. წყალთა	10	5	3	2	10	30
3. ტექნოლოგიური	7	5	3	2	8	25
4. მექანიური	8	5	3	2	7	25
5. საამშენებლო	10	5	3	2	10	30
სულ	50	25	15	10	50	150
მოსამზადებელი განყოფილება მხოლოდ ადგილობრივ ძირითად ეროვნებათათვის	20	8	7	5	10	50

2. განცხადებები მიიღება ამიერ-კავკასიის ფედერაციის რესპუბლიკათა განათლების სახალხო კომისარიატების პროფგანათლების მთავარ სამმართველოებში 10 აგვისტომდე.

3. მისაღებთა საერთო რიცხვის განაწილება ძირითადი ჯგუფების მიხედვით:

ა) მუშები, მოჯამაგირენი, მშრომელი შინამრეწველნი, კოლმეურნენი და ამ ჯგუფების შვილები არა ნაკლებ 80 პროცენტისა;

ბ) ადგილობრივი ძირითადი ეროვნებანი არა ნაკლებ 60 პროცენტისა;

გ) ქალები არა ნაკლებ 25 პროცენტისა.

4. მოსამზადებელ განყოფილებაზე იგზავნებიან მხოლოდ ადგილობრივ ძირითად ეროვნებათაგან გამოსული პირები, რომლებსაც დამთავრებული საშუალო განათლება არა აქვთ, მაგრამ მათი საერთო განათლება 7-დ წლ. პროგრ. მოცულობაზე ნაკლები არ არის.

5. ტაშკენტში ჩასვლის ვადაა 25 აგვისტო;

6. შუა აზიის მებამბეობისა და საირიგაციო პოლიტეხნიკური ინსტიტუტში გაგზავნილნი მიიღებენ ადგილს საწოლით საერთო საცხოვრებელში.

7. სტუდენტთა ოჯახებს ბინა არ მიეცემათ.

8. ტაშკენტამდე ჩასასვლელი სამგზავრო ხარჯი და გაგზავნასთან დაკავშირ. სხვა ხარჯები ეკისრებათ გამგზავნ ორგანიზაციებს.

მებამბეობის მთ. კომიტ. რწმუნებული ბირიუშევი.

შუა აზიის მებამბ. და საირიგაციო პოლიტეხნ.
ნ. 1118 ინსტ. დირექტორის მოადგილე კოჟუხინი.

ამხ. ფრუნზეს სახელობის მე-2-ე ქართულ მსროლელ დივიზიის ცალკე საკავშირო ასეული აცხადებს 1906 წ. დაბ. და სხვ. ცვალებად შემადგენლობის წ. მოლაშქრეთა საყურადღებოდ

რომლებმაც გაიარეს სამთვიანი მომზადება 1929 წ. და ჩარიცხულნი არიან ცალკე საკავშირო ასეულის ცვალებად შემადგენლობაში, რომ საერთო შეკრების გასავლელად ზემოხსენებულნი ვალდებული არიან გამოცხადდნენ ცალკე საკავშირო ასეულში (ძნელაძის ქ. № 21) ა/წ. 1-ლ აგვისტოს, 6 საათზე.

შეკრებიდან მორიდებულნი მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში.

3—1 ნ. 1127 ასეულის დრ. მეთაური: ახალაშვილი.

თბილისის ყოფილ სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და სამეცნიერო მუშაკთა

საყურადღებოთ ცხადდება,

რომ დაბადებულნი 1908 და აგრეთვე 1907—01 წლებში, რომლებსაც გაწვევის ვადა უთავდებათ 1930 წ. 1-ლ სექტემბერს, **ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ** პედაგოგიური ინსტიტუტის სპეც. ტეხნიკურ ნაწილში 27 ივლისიდან 10 აგვისტომდე გაწვევის ვადის ფორმალურად მოსაწესრიგებლად.

ნ. 1120 სპეც. ტეხ. ნაწ. გამგე ლოლომაძე.

ოთხშაბათს, 30 ივლისს, საღამოს 8 საათზე, ტრამვაელების კლუბში (პლეხანოვის პრ. 182)

საქ. საბჭოთა კინოს მეგობართა საზ-ბა აწყობს

საქართვ. სახკინმრეწვის ახალი მხატვრული კინო-ფილმის

„ბრმა ქალი"-ს

(რეჟ. მ. კალატოზოვი)

საზოგადოებრივ განხილვას

განხილვის შემდეგ აზრთა გაცვლა-გამოცვლა. შესვლა მოსაწვევი ბილეთებით.

ნ 1115 საბჭოთა კინოს მეგობ. საზ-ბის გამგეობა.

ქვემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულად

- — მეტრ. ამონაწ. № 971—შალიკო ფურცელაძის სახელზე. 4070
- — მუშკ. წიგნ. № 12905—სევასტი ცქვიტინიძის სახელზე. 4068
- — საბჭოს მანდ. № 79 და თეთრეულობის ორდერი—ზაქარია შიოს-ძე არჩუაძის სახელზე. 4072
- — პურის წიგნ.—ნიკოლოზ გოგოლაძის სახელზე. 4073
- — კავშ. წიგნ. № 432—ნიკოლოზი ივანეს-ძე ქუშაშვილის სახ. 4069
- — პურ. წიგნ.—ნურა ლავრენტის ასული ლებანიძის სახელზე. 4065
- — უმუშევართა წიგნ. № 8389—მარია ბაგდასარის ასული ოგანეზოვას სახელზე. 4058
- — პირად. მოწმ. გაცემ. სახელმწ. კონსერვ. და პირად. მოწმ. გაცემ. ამხ. სტალინის სახ. ქარხნ.—შალვა პლატონის-ძე მეიფარიანის სახ. 4067
- — ატესტატი გაც. მე-15 შრ. სკოლიდან № 111—ალექსანდრე ნესტორის-ძე ჩახავას სახელზე. 4067
- — სამხ. აღრიცხ. წიგნ.—ალექსი ბოსოვის სახელზე. ნ. 1117
- — პურ. წიგნ. № 1113—კოსტა ბასილიძის სახელზე. ნ. 1117
- პურის წიგნ. – ამბროსი მატკავას სახელზე. ნ. 1117
- — პირად. მოწმ. № 14, სამგზავრო ბილეთი № 00001910 და მუშკოოპ. წიგნაკი – იონა ქათამაძის სახელზე. ნ. 1117
- — პურის წიგნ. № 1971 – მიხეილ ჭეჯელაშვილის სახელზე. ნ. 1117
- — პროფკავშ. წიგნ. № 39119—აკაკი ფოფხაძის სახელზე. ნ. 1117
- — საწ. წიგნ., გაც. საყუდიდან—კერვალიშვილის სახელზე. ნ. 1117
- — პირად. მოწმ.—ბაბილინე კურვალიშვილის სახელზე. ნ. 1117
- — კოოპ. წიგნ. № 7597—მელიტონ სპირიდონის-ძე კელენჯერიძის სახელზე. ნ. 1117
- — მუშკ. წიგნ. № 2573 და დამზღ. სალ. წიგნ. № 17443 – ივლიტა მანაგაძის სახელზე. ნ. 1117
- — პურ. წიგნ.—გიორგი კორმუშკოძის სახელზე. ნ. 1117
- — პურ. წიგნ. № 31937—ჟორჟიკა გამყრელიძის სახელზე. უფ.
- — მუშკ. წიგნ. № 31832 ალექსანდრე კვაჭლიას სახელზე. 4064
- — განათლ. მუშაკთა პროფკავშ. საწ. წიგნ., მუშკ. წიგნ. და დაზღვ. წიგნ., ალექსანდრა ვასილის ასული შულგინას სახელზე. 4057
- — პურ. წიგნ. „ა"—გიორგი მაზმიშვილის სახელზე. 4060
- — პარტბილეთი № 008523—ნიკოლოზ კობიძის სახელზე. 4062
- — მუშკ. წიგნ. № 27512 და პურ. წიგნაკი № 976 – დავით ჩეკურაშვილის სახელზე. 4061
- — მუშკ. წიგნ.—ავაკა ავაკოვას სახელზე. 4059
- — მუშკ. წიგნ. № 46935 – გრიგორი მიხეილის-ძე გაბუნიას სახ. 4055
- — ზაკტპ. წიგნ. № 51100, ავიაქიმის წიგნ. № 242900, პირად. მოწმ. კ/13 კარპეჩ რაუდ. კიკნაძის სახელზე. 4050
- — პროფკავშ. წიგნ. № 31042—გიორგი ზაქარიაშვილის სახელზე. 4050
- — ეპოს საწევრ. წიგნ. № 20608 – ივლიანე თეოფანეს-ძე კუპრეიშვილის სახელზე. 4050
- — 7-დ წლ. დამთავ. მოწმ. № 151, დაბადების მოწმ. № 1445, სოც. მდგომარეობის მოწმ. № 372 სევერიანე ალექსანდრეს-ძე თურქაძის სახელზე. 4050
- — ჩამონაბერი „ვ" № 613762 გაცემ. პ. ჩ/4 მიერ – შალვა ქარქაშაძის სახელზე. 4074
- — პირად. მოწმ. № შ/3, სასურს. ბილ. № 018120, კავშ. წიგნ. № 8217—მე-3 ინდუსტ. სესხის № 093061 – 08, 023917 – 06, 0,12755 – 08 – ნესტორ შველიძის სახელზე. 4074
- — ჰუმანიტარულ ტეხნიკ. დამთავრ. ატესტ. № 708—თამარა ჯორბენაძის სახელზე. 4074
- — ეპოს საწევრო წიგნაკი № 1072—ერასტი სარალიძის სახ. 4078
- — შვიდწლედის ატესტატი – ელენე ვასილის ასული აფციაურის სახ. 4083
- — საშუალო სასწავლებლის დამთავრების ატესტატი—მარიამ ივანეს ასულის გამხარაშვილის სახ. 4082
- — საამშენებლო კავშირის წიგნაკი № 13/44647, პირადობის მოწმობა № 1470 – დავით აბაზაძის სახ. 4081
- — პროფკავშირის წიგნ. № 25613 და პირადობის მოწმობა – კალისტრატე ფადლავას სახ. 4080
- — მუშკოოპის საწ. წიგნაკი № 103640 – ბორის ზაიცევის სახ. 4077

დამწუხრებული მეუღლე თამარა, დედა ივლიტე, შვილები სერგო, ვენერა, სევერიანე და თინა აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს მათთვის დაუვიწყარი

მიხაკო კოსტანტინეს ძე ქლენტის

გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს სოფ. ქოლობანში (გურია).

ხიდისთავის მომხმარებელი კოოპერატივის გამგეობა და სარევიზიო კომისია მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ამავე კოოპერატივის მთავარი ბუჰგალტერის, ენერგიული მუშაკის

მიხაკო კონსტანტინეს ძე ქლენტის

გარდაცვალებას ბორჯომის სანატორიუმში. დაკრძალვა დღეს სოფ. ქოლობანში (გურია). ნ. 1124

ნაგომარის მომხმარებელთა კოოპერატივის მუშაკები: კაცაძე, თენეიშვილი, უჯმაჯურიძე, ვასაძე, ღლონტი, თალაკვაძე, მიქაიშვილი, სანაიშვილი ღრმა მწუხარებით აღნიშნავენ კოოპერატივის რიგებიდან საუკეთესო მუშაკის, ხიდისთავის მუშათა კოოპერატივის ბუხჰალტერის

მიხაკო კონსტანტინეს ძე ქლენტის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა დღეს სოფ. ქოლობანში (გურია) ნ. 1123

საქამიასერის კოოპერატივის თანამშრომლები: სიმონ რამიშვილი, დათიკო ცხომელიძე, ვასილ გიორგაძე, ევგენია ხუნდაძე, სერგო კინტრაძე, კოლია ჭკუასელი, ალექსანდრე ზაქარეიშვილი, იასონ ალანია, სიმონ მეფარიშვილი, მიხაკო ძნელაძე, ვასილ ვაჩეიშვილი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ საუკეთესო ბუხჰალტერის

მიხაკო ქლენტის

გარდაცვალების გამო. (დეპ.)

შემმობელმა სიკვდილმა ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ ხელიდან გამოგვსტაცა პაწია—ნორჩი

მედიკო ტაბიძე

რასაც ვაუწყებთ თავზარდაცემული მშობლები: დედა შურა, მამა საშა, ბებიები: ასმათი და ელისაბედი, ბაბუები: სტეფანე და ნიკო, დეიდები: ლუბა, ნინა და მარო ქმარ-შვილით, სონია და თამარა, მამიდა თინა, ბიძები: შალვა ცოლ-შვილით მარგო და ციცინათელათი, სამსონი, კოლია და კოტე ტაბიძენი და კრავეიშვილები. დაკრძალვა დღეს, 29 ივლისს, 4 საათზე ქ. ხონში, ლენინის ქ. № 57 მესამე უბ. სასაფლაოზე. 4071

დამწუხრებული მეუღლე მაკა, შვილები: შალიკო, ოლიფანტე, მარო და გრიშა, რძლები: თამარა, სოხია და შურა, სიძე მასიკო მექვაბიშვილი შვილებით: ნალა, კაპიტო, მიტუშა, ეთერი, ზინა და თამარი, ძმები: არჩილი, ილარიონ და ალექსი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ფილიპე ივანეს ძე სიხარულიძე

დაკრძალვა ჩოხატაურში დღეს, 29 ივლისს, 3 საათზე. ნ. 1126

დამწუხრებულნი მეუღლე ბარბალე, შვილები: დესპინე, დომნიკა და ნიკოლოზი ბახიები, ესტატე, კოტია და შვილიშვილი ჟორა აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 25 ივლისს უეცრად გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ჯაფო მახარობლის ძე ბახია

დაკრძალვა დღეს, 29 ივლისს, სოფ. ვედიდკარში. ნ. 1125

გაუბედურებული ცოლი ნინა, შვილები: დათუნა და გუცა, ძმა სარდიონი, ქვისლი ბაგრატ კიკალიშვილი და ცოლის ძმა ილიკო ქავზინაძე ოჯახებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

ემელიან ანტონის ძე კოკეიშვილი.

დაკრძალვა ფოთში, 29 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათზე. ნ. 1119

წითელი ჯვრის ც. კ.

აცხადებს ყველა თბილისში მყოფ სან-რაზმელების და სათადარიგო მოწყალების დათა საყურადღებოდ, რომ ა/წ. 31 ივლისს, 4 საათზე

დანიშნულია შეკრება

წითელი ჯვრის შენობაში (კრილოვის ქ. № 15).

სამხ. სასან. გან. უფროსი (ლომია).

3—1 ნ. 1128 მდივანი (ზაალიშვილი).

შვიდწლედების კოლმეურნ. ახალგ. სკოლებათ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით

განსახკომს ესაჭიროება

ქართ., რუსულ, სომხ. და თურქულ კოლმ. ახალგ. სკოლებისათვის: **აგრონომები, აგროტეხნიკოსები, ბუნებისმეტყველების, ფიზიკა-მათემატიკის და საზოგადოებათმეცნიერების მასწავლებლები.**

სკოლებში მუშაობის პირობების შესახებ ყოველგვარი ცნობის მიღება შეიძლება ყოველ დღე განათლების სახალხო კომისარიატში, ოთახი № 4—ამხ. მაისურაძესთან.

3-1 ნ. 1121 შრომ. სკოლების ინსპექტორი გ. გოგუაძე.

დამწუხრებულნი: შვილი ვერა გეგეჭკორი, ძმა ბესარიონ ჩიქოვანი, მაზლი ვასილ გეგეჭკორი მეუღლით ნადიათი და შვილებით, ძმის შვილები ქუქულია და მარგალიტა ანთელავასი, გოგია ჩიქოვანი დანელიასი შვილებით, სიძეები: ვარლამ ანთელავა და კონსტანტინე დანელია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს დაუვიწყარ

ალათი ჩიქოვანი-გეგეჭკორის

გარდაცვალებას. დასაფლავება მცხეთაში, 30 ივლისს, დღის 6 საათზე, გამოსვენება ვ. გეგეჭკორის ბინიდან ნ. 4063

სამუდამოდ გაუბედურებული დედა ოლღა, მამა ტარიელ შარვანის ძე და ძმა ვალიკო კობახიძეები, ბებია დესპინე წირღვავა, რძალი ლიუბა ყოლბაია და დეიდა ლიზა ეხვაიასი—აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ მათი საყვარელი, ერთად-ერთი ქალიშვილის ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე

მარო ყოლბაიას

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება 30 ივლისს, დღის 5 საათზე, საკუთ. ბინიდ. ვაკე, მეორე პარალელური ქ. № 5. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე. 4052

სამუდამოდ გაუბედურებული: ბებია დესპინე წირღვავა და დეიდა ლიზა ეხვაია ვაცნობებთ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დავკარგეთ ჩვენი ერთად-ერთი იმედი, ჩვენი გაზრდილი და ნაამაგევი ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე

მარო ყოლბაია. 4051

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფი მეუღლე მაქსიმე ანთელავა, ბიძაშვილი მარო ზუხუბაია, ძმა გიორგი ანთელავა შვილით—ფოტინე აფაქიძისა, დისშვილი მანია ქმრით—გრიშა გვასალიები იუწყებიან, რომ მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

თამარა ქუჩულორია-ანთელავას

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ხუთშაბათს, 31 ივლისს, ქ. გუდაუთაში. 4062

კოოპერატიული წრის მსმენელნი და აქტივი მწუხარებით ვაუწყებთ ნაცნობებს და მეგობრებს, რომ უდროოდ გარდაცვლილ

მერი (გელოვანი) ყურაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავათ სამშაბათს, 29 ივლის, 7 საათზე, დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი. ბორჯომის ქ. 16. 4054

ღრმად დამწუხრებულნი დედ-მამა ალექსანდრე და მარუსია, ბებია ფოტინე, ბაბუა კოსტა, ბიძა მიშა სოსელიები, ელისაბედ წულუკიძე აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ

ციალა სოსელიას

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა სამშაბათს, 29 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათზე, კუკიის სასაფლაოზე. 4051

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ეფემია, შვილი მიტუშათი, ცოლისდა ეკატერინე ჩერქეზიშვილისა შვილებით და დები დარიკო გძელიშვილისა, ლოლა გოგრიჩიძისა, სონა დავითაშვილისა და მაშო დალაქიშვილისა, უახლოესი მეგობარი შაქრო ბითაძე მეუღლით იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძველი რევოლიუციონერი

ილია დიმიტრის ძე მაჭავარიანი

სოფ. ქვემო-ხვითში, დასაფლავება ამავე სოფელში სამშაბათს, 29 ივლისს. ნ. 1119

სოფელ ქვემო ხვითის კოლმეურნეობის არტელი მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 25 ივლისს გარდაიცვალა მათი არტელის წევრი და ძველი რევოლიუციონერი

ილია დიმიტრის ძე მაჭავარიანი.

დასაფლავება ამავე სოფელში 29 ივლისს. ნ. 1119

დამწუხრებული მშობლები ილია და ნინო ღრმა მადლობას უძღვნიან ყველა ნათესავებს, ნაცნობ-მეგობრებს, რომლებმაც პირადი დასწრებით, დეპეშით და წერილებით გაიზიარეს ჩვენი მწუხარება

მიხეილ (მიშა) ილიას ძე ხეთერელის

უდროოდ დაკარგვის გამო. ნ. 1117

თავზარდაცემული მშობლები. საშა და გრგო კობაიძეები შვილებით სულიკო და გოგიათი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ შვილის

ვახტანგ სიმონის ძე კობერიძე-კობაიძის

უდროოდ დაკარგვას. სამოქალაქო პანაშვიდი 29 ივლისს, საღამოს 7 ს. გურამიშვილის ქ. № 9. დასაფლავება ოთხშაბათს, 30 ივლისს, საღამოს 5 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. 4046

ტირაჟი—57.920
საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი", კამოს ქ. № 6
№ 904